

MK
K-23

193
e873771

192



მულთანი ქარბი

საქართველო



«ნაბადული»



Кульязма һәм һирәк
китаптар Бүлгө

Отдел рукописной
и редкой книги




С(Башк)
894.343-93
3 285

MK
K23

მ უ ს თ ა ი ქ ა რ ი ვ ი

სამჭეხე



«ნაკადული»

19 თბილისი 66

ძვირფასო მეგობრებო!

„ნაკადულმა“ ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ხომ მანვე გამოსცა ჩემი საბავშვო მოთხრობა „ჩვენი ოჯახის სიხარული“ და ლექსების კრებული „ძახილი ურალიდან“. მწერლისათვის კი დიდი ბედნიერებაა, როცა მისი წიგნები შორეული მეგობრებისათვის ახლობელი და გასაგები ხდება.

მე მიყვარს ჩემი ბაშკირეთი, მისი ტრამალები, მისი მთები, მისი ნაკადულების რაკრაკი და ტყეთა შრიალი; მაგრამ კაკასიონის მთებსაც მეტად საინტერესო და ამაღელვებელი წიგნივით ვკითხულობ. მუსიკასავით ვისმენ მისი ჩანჩქერების ჩქრი-ალს; ხოლო ქართული პოეზია პატარაობიდანვე მაჯადოებდა.

ამ მოთხრობაში გამოგონილი თითქმის არაფერია.

1950 წელს ვცხოვრობდი ერთ პაწაწინა აულში, რომელიც ურალის მთებში მდებარეობს. ჩემი მომავალი მოთხრობის გმირებიც სწორედ იქ გავიცანი, შემიყვარდნენ და გადავწყვიტე შეამზნა თქვენთვის ზოგიერთი რამ მათ შესახებ.


ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი მოთხრობა ოდნავ მაინც გაგრძნობინებთ ჩემი მიწის სითბოს, დაგანახვებთ ჩემი ცის სილაყვარდეს, და, რა თქმა უნდა, გაგრძნობინებთ ჩემი პატარა გმირების გულების ცემას.

ღე ამ წიგნმა კიდევ უფრო განამტკიცოს ჩვენი მეგობრობა.

მუსთაი ჭარიძე

С873771





სოფელი არწივეთი

ყოფილხართ ოდესმე არწივეთში? არა? მიკვირს სწორედ. ცხოვრობდე ამქვეყნად და ისეთი ლამაზი სოფელი, როგორიც არწივეთია, არ გენახოს?!. ასეთი სოფელი მთელ ღუნიანზე მეორე არ მეგულება. თქვენ კი არ გინახავთ... მაგრამ არიან ქვეყნად ადამიანები, რომლებმაც არა მარტო ნახეს ეს მხარე, არამედ აქ დაიბადნენ და აქვე დავაქაცდნენ კიდევ. ბედნიერები! თვითონ განსაჯეთ, განა ბედნიერება არ არის დაბადებისთანავე არწივეთში აღმოჩნდე? და მაინც ადამიანებისას ვერაფერს გაიგებ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მე არწივეთშიც მინახავს ბევრი ახირებული. ისინი, ყოველგვარი იძულების გარეშე, თავისი სურვილით, აიკრავენ ხოლმე გულანაბადს და ცხრა მთას იქით, ყველაზე უშორეს ქვეყნებსა და ქალაქებში მიემგზავრებიან. მიემგზავრებიან, გულს მოიჯერებენ ხეტიალით, საკუთარი თვლით ნახავენ ყველაფერს, მერე დაბრუნდებიან უკან, მშობლიურ აულში, და ყვებიან ათასნაირ საოცარ და თავშესაქცევ ამბებს. მე ომზე არაფერს ვამბობ. ომში ჩვენი სოფლიდანაც ბევრი წავიდა და მათგან არც ერთს არ ჰქონია სასერიო-

სა და თავშესაქცევის ნახვის სურვილი. ომის დროს ასეთი რამისათვის არავის სცხელა. მშვიდობიანობისას კი თვით ზვირიკა, ჯანგამოცლილი ბერიკაცები ოცნებობენ შორეულ ქვეყნებზე. მართალია, მათ ახალგაზრდებით არ შეუძლიათ გასაფრენად ფრთების აწყობა, მაგრამ მაინც ოცნებობენ; ოცნებობენ იმ შორეულ ქვეყნებზე, სადაც ხარობს ფორთოხალი და ლიმონი, უკიდევანო ზღვებსა და ოკეანეებზე, ქვეყნებზე, სადაც ზამთარი არ იცის, ქვეყნებზე, სადაც უსასრულო, დღესავით ნათელი ღამეებია.

„ეჰ, ნეტავი წაგვიყვანა და საკუთარი თვალებით გვანახა!“ — ნატრობენ ბევრნი. მაგრამ ჯერ არ შევხვედრივარ ისეთ ადამიანს, რომ ერთხელ მაინც წამოსცდენოდა: „ეჰ, ნეტავი წამიყვანა და არწივეთი მანახა“.

ხანდახან მიკვირს, რატომ არიან ადამიანები ასეთი უინტერესონი და გულგრილნი? ჩვენში რომ დარჩეს, მე კიდევ მეცოდებიან ასეთები...

როგორც ვთქვი, ბევრმა არწივეთელმა უკვე მოასწრო ქვეყნიერების ნახვა-შემოვლა; მაგრამ მათზე, ვისაც არასოდეს უფიქრია მშობლიური კერის მიტოვება, ვერ ვიტყვი, უბირიანო. თეთრსა და შავს არჩევენ. აი თუნდაც ჩვენი მწყემსი შარიფულა-აგაი! უკვე სამოცი წლისა გახდა და სოფლის ორლობეს არ ვასცილებია, ქვეყანას კი საკუთარი ხელისგულივით იცნობს! რას არ მოგიყვებათ!

„წითელ საღებავს წითელი ზღვის წყლისაგან იღებენ, შავ საღებავს — შავი ზღვისაგან, თეთრს — თეთრი ზღვისაგან... უფრო იქით, — ამბობს, — უფრო იქით მწვანე ზღვაა, ყვითელი ზღვაა, ცისფერი ზღვაა. რა ფერის საღებავსაც ინატრებ, იმ ფერის საღებავს ამოგიხაზავენ... და კიდევ, — თვალებს ჭუტავს შარიფულა, — თბილ ქვეყნებში არის ისეთი ტრამალი, სადაც მზის ამოსვლისას კვერცხს თუ დააგორებ, ეს კვერცხი შეუფერხებლად იგორებს მიმწუხრამდე“.

ესეც თქვენი შარიფულა!

არსად არ ყოფილა, სოფელს არ ვასცილებია და ყველაფერი კი იცის!

ა. აგაი — ძია, ყოველი უფროსი მამაკაცი.

ჩვენი არწივეთი დევს წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებით დაფარულ ურალის მთებს შორის. სოფლის ერთ მხარეს კალკან-ყული — ფარის ტბა ლივლივებს, მეორე მხარეს კილის-ყული — მახვილის ტბა. კალკანი ცოტათი შორსაა, კილისი კი თითქმის ემიჯნება სოფელს. გაზაფხულზე, როცა მათა ფერდობებზე ბალახი აბიზინდება, კალკანი ახალჩამოწველილ რძესავით თბება, კილისის წყალი კი მაინც ყინულივით ცივია. თუ შეხვედი, ზაფხულის თაკარას სიცხეშიც კი გაგყინავს და აგიწვავს მთელ სხეულს.

ქვეყნად არაფერი არ იბადება თავისთავად და ამ ტბათა გაჩენის შესახებაც მრავალი ლეგენდა არსებობს. თითქოს, ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა ურალის მიწას გადამთიელებსაგან იცავდნენ, ერთ-ერთ გოლიათს ისარმა მკერდი გაუბო. ჩაიკეცა გოლიათი. მახვილი, მარჯვენა ხელში რომ ეჭირა, ერთ მხარეს გადაუვარდა, ფარი — მეორე მხარეს. მახვილის დაცემის ადგილას ცივი ტბა გაჩნდა, ფარის დაცემის ადგილას კი — თბილი ტბა. და თუ იკითხავთ, რატომ განსხვავდებიან ასე ერთმანეთისაგანო, იგივე შარიფულა ავიხსნით:

„იმიტომ, რომ მახვილი ბოროტების იარაღია. ადამიანთა საქმე-ტად არის მოგონილი. ფარი კი სიკეთის იარაღია, ადამიანთა სიცოცხლეს იცავს.“

ორთავე ტბა ღრმაა და ლამაზი. მაგრამ მარტო ამ ტბებით როდი განისაზღვრება არწივეთის მშვენიერება. მის გარშემო, თითქოს ერთმანეთს სირბილში გასჯიბრებიანო, ცის კაბადონისაკენ დაძრულან მაღალი მთები. მთებს შორის მწვანე ხავერდითა და ნაირფერი ყვავილებით მოქარგული ხეობები და საძოვრები გადაშლილა. მზიარული კისკისით გეგებება ანკარა წყარო. ხანდახან კლდიდან კლდეზე მოხტუნავე ნიამორსაც მოჰკრავთ თვალს, და გაზაფხულის წყალუხვობიდან მოყოლებული, გვიანი შემოდგომის ყინებამდე, აქ ერთი წუთითაც არ წყდება ჩიტების ჭიკჭიკი.

გაზაფხულის ჭექა-ქუხილის დროს მთებში გაბმული გუგუნია. თითქოს თვითონ მაღალი მთები ებჯინებიან ლურჯ ღრუბლებს და ზათქითა და ქუხილით ცდილობენ შეანგრიონ ცის თაღი.

ზაფხულობით ტყეში მკლავისიმსხო ქარქვეტა იზრდება, ხოლო ჭალებში ტყის ტოროლას თავისოდენა ხენდრო იცის... მათა მიუვალ მწვერვალებზე: იქ, სადაც კაცის შვილთაგან ჯერ კიდევ არავის

დაუდგამს ფეხი, მთის არწივები ზრდიან ბარტყებს. შეიბუმბლებიან
თუ არა, ამოფრინდებიან ბუდეებიდან და მძლავრი ყიპ-ყიპით და-
სტრიალებენ სოფელს. სწორედ ამიტომ დაარქვეს ჩვენს სოფელს
„არწივეთი“.

საუბარი კუკრეკის მთაზე

კილისის ტბასთან აღმართულ მაღალ მთას კუკრეკ-თაუ¹ ჰქვია. ამ
მთის ჩრდილო ფერდობი წიწვიანი ტყით არის დაფარული, ხოლო
სამხრეთი მხარე მთლიანად მოტიტვლებულია. როცა მზე ანათებს
და ამ მთას უყურებ, იგი ნახევრად გადახოტრილ თავს მოგაგონებს.
ამ მხარეში ხეები მათა ჩრდილო ფერდობებზე იზრდება მხოლოდ,
თითქოს თავიანთი ტოტებით ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან უნდა
დაიფარონ მთებიო.

თუ კუკრეკ-თაუს მწვერვალზე ახვალ და მიდამოს მოავლებ
თვალს, დაინახავ, რა შორს, რა შორს გარბის ცის კიდე, ხოლო ქვე-
ვით, მდინარე ურალის ნაპირზე განლაგებული სოფელ ტირმეს სახ-
ლები პაწაწინტელა სკებს ჰგვანან. თვით კოცონის კვამლიც, მეცხ-
ვარეებს მთის ფერდობზე რომ დაუნთიათ, უფრო პატარა მოჩანს,
ვიდრე შარიფულას ჩიბუხიდან ამოსული კვამლი.

მხოლოდ კირამეტის მთა, რომლის კალთებზეც ზაფხულის ყვე-
ლაზე ცხელ დღეებამდე დევს თოვლი, კაშკაშებს მზეზე და თავისი
სითეთრით ადვილად გამოარჩევს სხვა მწვერვალებისაგან. ეს მწვერ-
ვლები ხომ ყოველი მხრიდან ლურჯი ტალღებივით მოემართებიან
მისკენ. რაც უფრო შორიდან უყურებ ამ მწვერვალს, მით უფრო ახ-
ლოს გეჩვენება, თითქოს იზრდება შენ თვალწინ და მაღლა-მაღლა
მიიწევს, გგონია, შენს შესახვედრად მოემართება.

ბიჭების უმეტესობას ოცნებად გადაჰქცევია კირამეტის მწვერ-
ვალზე ასვლა, მაგრამ მწვერვალამდე რომ მიადწიო, მთელი დღე და
ღამე ფრიალო კლდეების პირას სახიფათო დაკლაკნილ ბილიკებზე
უნდა იარო, გადალახო გაუვალი ტყეები და ღრმა ხეხევი. თუმცა
ვისაც თავი ვაუკაცოდ მიაჩნია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მაინც ავა
კირამეტის მწვერვალზე, უსათუოდ ავა...

¹ კუკრეკ-თაუ — მთა-გული.

ახლა კი კუკრეკ-თაუს სამხრეთ ფერდობებზე შარიფულას ცხვრები დასეირნობენ და არხეინად კენეტენ ბალახს. სულ მალა, მთის კორტოხზე, სხვადასხვა ასაკის ხუთი ადამიანი ზის. ჩავარდნილი ლოყები და წითელი უღვაშები რომ აქვს, ყველაზე უფროსია. მას შარიფულა-აგაის ეძახიან. უკვე იცნობთ კიდევც... დანარჩენ ოთხზე კი, რა თქმა უნდა, თქვენ სიტყვაც არ გაგიგონიათ. ან რაა გასაკვირი? ჯერჯერობით მათ სახელის მოსახვეჭი არაფერი გაუკეთებიათ. სამმა მათგანმა სწორედ გუშინ დაამთავრა მეხუთე კლასი. ძლივს გაიტანეს თავი თავიანთი ყოფაქცევით და სწავლაშიც ხშირად მოიკოჭლებდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. არც კუდები და არც საშემოდგომო არ გამოჰყოლიათ... არც ერთი არა ჰგავს ერთმანეთს და სახელებიც სხვადასხვა ჰქვიათ.

გამხდარ ბიჭს, ცხვირი სოლს რომ მიუგავს, გაბდულას ეძახიან. მას კუბრივით შავი თმა აქვს; შიშით თითს ვერ მიაკარებ, ვაითუ მერე ველარ მოვაცილოო. ეს ჯირკუტანა და მსუქანი ბიჭი, დატყაპული ცხვირითა და გობივით მრგვალი სახით რომ გამოირჩევა ყველასაგან, ვაზირია. ბუთუნა ლოყები ზამთარ-ზაფხულ თურაშაული გაშლივით უღაჟღაჟებს. ვაზირი ძალზე ხშირად ახამხამებს თვალებს: ჩვეულებადა აქვს. ერთხელ ახალმოსულ მასწავლებელს ეგონა, ეშმაკობსო, და თვალების ხამხამისათვის გაკვეთილიდანაც კი გააბრძანა. მართალია, თვალებს ახამხამებს, მაგრამ შურდულის სროლაში ბადალი არა ჰყავს.

აიდარი მთელს არწივეთში ერთადერთი წითელთმიანი ბიჭია. მას ზედმეტ სახელად „გარეულ თხას“ ეძახიან. კარგი სირბილი იცის და ამიტომაც ეძახიან.

იქვე, შორიახლო, გოგონა ზის, შვიდი წლისაც არ იქნება; თხის კუდივით გაბზეკილ კიკინებზე წითელი ბაბთა უკეთია. გოგონა ლამაზია და ლამაზი სახელიც ჰქვია — გულნური — „მზის სხივებში განვეული ყვავილი“. ყველაფერი რიგზე იქნებოდა, რომ გოგონას წინა კბილები არ აკლდეს. ასეთ ადამიანს ხომ არავითარი საიდუმლო არ უმაგრდება ენაზე.

ახლა ოთხივენი სულგანაბულები უსმენენ შარიფულა-აგაის. ჩა-

მავალი მზის სხივი ბრწყინავს შარიფულას შებოლილ უღვაშებზე და მის ქვედა ტუჩს წვრილ-წვრილი ათინათები ეცემა; ამასთან. მოხუცი ლაპარაკობს დინჯად, ჩუმად და ამიტომ მისი ყოველი სიტყვა ელერს ისე, თითქოს მეტად დიდ საიდუმლოს უმქლავნებს ბიჭებსო. ნეტავი რას უყვება აგაი? მოდით, მოვუსმინოთ.

— გინდა არწივის თვალსაწიერს შესდგომიხარ — გინდა კირამეტის მწვერვალზე ასულხარ, — ამბობს შარიფულა, — ლამამობით მის თავზე ვარსკვლავები იყრიან თავს, პეპლებივით დახტიან, დაფარფატებენ და თვალისმომჭრელად ციმციმებენ. გაიშვირე ხელი. ჩამოწყვიტე, რომელიც გინდა! აი რა დაბლა ეშვებიან ვარსკვლავები! ზოგი, უფრო ანცი ვარსკვლავი, შემთხვევით კლდესაც ეჭახება ხოლმე და ნამსხვრევებად იქცევა, სწორედ ამას ეძახიან ჩვენში ვარსკვლავთცვენას.

საოცარია კირამეტი! საოცარია და ლამაზი. მაგრამ კირამეტს დარდიცა აქვს. ზედ მწვერვალზე პაწია ტბა ბრწყინავს. სწორედ ეს ტბაა კირამეტის დარდი. ოდესღაც ტბაში ოქროსა და ვერცხლის თევზები დასრიალებდნენ. ჰო ოდესღაც. ალბათ ვარსკვლავები ამ თევზებთან სათამაშოდ ეშვებოდნენ ქვევით, მაგრამ თევზები დიდი ხანია ამოწყდნენ. დღეს ტბაში, წამლადაც რომ გინდოდეს, ერთ პაწია ჰანარსაც ვერ იპოვით. და აი, ვარსკვლავები არ ღალატობენ თავის ჩვეულებას, ძველებურად ეშვებიან კირამეტის მკერდზე; მაგრამ კირამეტს დარდი უღრღნის გულს, ეს დარდი ავმა კაცმა გაუჩინა. ავმა კაცმა მხოლოდ ერთი ქარიყლაპია ჩააგდო ტბაში და ამ ქარიყლაპიამ შვიდ დღესა და შვიდ ღამეში გადასანსლა ყველა თევზი. ჰოდა, ბოღმა მოაწვა ზვიად მწვერვალს, ჰოდა, სევდა დაეუფლა ტბასაც. ნელ-ნელობით შრება. მთლიანად რომ ამოშრეს, კირამეტი დაბრმავდება, ვერც ზანტად მოცურავე ღრუბლებს დაინახავს, ვერც მზეს და ვერც მის თავზე მოცქრიალე ვარსკვლავებს... მართალია, ღორმუცელა ქარიყლაპიას ბოლოს და ბოლოს თვითონაც ამოსძვრა სული, მაგრამ რაღა დროს, ტბაში არც ერთი ცოცხალი არსება აღარ დაუტოვებია, ყველანი წინ წაიმძღვარა. და მე იმ მამაც ჭაბუკზე ვოცნებობ, ვინც ამ ტბას დაშრობისაგან გადაარჩენს: ვინც კვლავ მოაშენებს მასში ოქროსფერ და ვერცხლისფერ თევზებს. აბა რა სანახავი იქნება, როცა ერთ მშვენიერ დღეს ეს თუთრად მოკაშკაშე

მაღალი მწვერვალი დარდისგან ჩამოიქცევა და მისგან მხოლოდ ნან-გრევებილა დარჩება... განა ეს საწყენი არ იქნება, ძმებო?... — იკითხა შარიფულამ.

მაგრამ „ძმებს“ სიტყვაც არ უთქვამთ...

ვინ იქნება წინამძღოლი?

როცა ჩამავალი მზე შორეულ ტყეს დაეხვინა, შარიფულამ თავისი ფარა ფერმისაყენ გარეკა. ბიჭებმა კი შინისაყენ გასწიეს.

მიდიოდნენ ჩაფიქრებულნი, ბოლოს ვაზირმა დაარღვია ღუძილი:

— ჰოო, კირამეტის საქმე სწორედ რომ ცუდად ყოფილა...

— ყველაფერი იმ საძაგელი ქარიყლაპიას ბრალია! — მუშტი მოკუმა აიდარმა.

— რას ერჩი ქარიყლაპიას, — ჩაერია გაბღულა, — აი, ის ბოროტი კაცია მოსაკლავი, — უცებ გაჩუმდა, თავი გააქან-გამოაქანა და გადაწყვეტით თქვა: — არა, კირამეტის ასე დატოვება არ შეიძლება!

— მოდით, ბევრი, ძალიან ბევრი ქვირითი მოვაგროვოთ, — მოიფიქრა ვაზირმა, — და ტბაში ჩავყაროთ. თევზი ხომ ქვირითიდან ჩნდება?

— ტბაში ქვირითი კი არა, ცოცხალი თევზი უნდა ჩაიყაროს! — უხეშად გააწყვეტინა აიდარმა.

— წითელ ქვირითს ჩვენს მაღაზიაში ჰყიდიან. — მოულოდნელად მიახარათ გულნურმა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. აშკარა იყო, არც ერთს არ უნდოდა, ამ მნიშვნელოვანი საუბრის მოწმე ყოფილიყო ეს კოკროქინა გოგო.

— აბა, მოუსვი აქედან ბაყაყური! — დაუცაცხანა თავის დას აიდარმა. მაგრამ გულნური სულაც არ ფიქრობდა წასვლას.

— რატომ უნდა მოვუსვა? შენ თვითონ მოუსვი, თუ კარგია!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, გითხრეს წადიო და წადი!

— შენ თვითონ წადი!

— კარგი, — უცებ მოლბა აიდარი და ბრძანება დაპირებით შეც-
ვალა, — ახლა თუ დამიჯერებ, ტოროლას ბარტყს მოგიყვან. შე-
იძლება ორიც მოგიყვანო!

— აბა დაიფიცე!

— გეფიცები!..

გულნურმა თანხმობის ნიშნად თავისი კიკინები შეარხია და
ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა სოფლისაკენ. შორს, მოსახვევთან, ერთხელ
კიდევ გაივლია მისმა ჭრელმა კაბამ და თვალს მიეფარა.

ჩვენს მხარეში მამაკაცებს თუ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე აქვთ
გადასაწყვეტი, ფეხზე დამდგარნი არასოდეს არ ლაპარაკობენ,
სხდებიან და ჭკუა-გონებას იკრებენ, ჰოდა, ბიჭებიც მწვანე ბალახ-
ზე დასხდნენ. მათაც ხომ სჭირდებოდათ ჭკუა-გონების მოკრება.
ერთი რამ ცხადი იყო, უეჭველად უნდა ეხსნათ კირამეტის მთა,
მაგრამ როგორ ეხსნათ? — აქ უკვე ყველა თავისებურად ფიქრობდა.

აიდარმა თქვა, მოდით, დახმარებისათვის პირდაპირ კოლმეურ-
ნეობის მეთევზეთა ბრიგადას მივმართოთო. ამაზე ვაზირი აღშფოთ-
და:

— დახმარებისათვის, დახმარებისათვის... რა გააწყალე გული.
წადი და მთელ ქვეყანას გააგებინე, რომ არაფერი შეგიძლია. საცო-
დავი... ფუ! — გადააფურთხა და ზიზღით მიაბრუნა თავი.

აიდარი აენტო, საჩხუბრად მოემზადა. გაბღულა მიხვდა, ბიჭე-
ბი კარგს არაფერს აპირებდნენ, და შუაში ჩადგა.

— ახლა ჩხუბის დრო არ არის! — თქვა მან. — გვიჯობს, საქ-
მეს მივხედოთ. მაგრამ, ვიდრე რაიმეს გადავწყვეტდეთ, ერთმანეთს
შეგფიცოთ, რომ ჩვენს გადაწყვეტილებას არავის გავუმხელთ. ეს
საიდუმლოა. დე ჩამოგვახრჩონ, დე ნაკუწ-ნაკუწად აგვიჩხონ, საი-
ღუმლო მაინც არ გავცეთ! ის, ვინც ენას კლიტეს ვერ დაადებს, მო-
ღალატე და გამყიდველი იქნება! შეგფიცოთ!..

მან გულზე მიიღო ორივე ხელი და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ვფიცავ!

— ვფიცავ! ვფიცავ! — გაიმეორეს აიდარმა და ვაზირმაც.

— აი რა, — თქვა გაბღულამ, — ჩვენ ერთი ვედრო ქვირითია-
ნი თევზი უნდა დავიჭიროთ და შესაძლოა, ორი ვედროც.

— რას ამბობ! — წამოხტა ვაზირი. — რა საჭიროა დაჭერა?! მე

ვიცი, სადაც ინახავენ თევზს კილისელი მეთევზეები. დალამდება თუ არა, ორს კი არა, სამ ვედრო თევზს მოგიტანთ. ოღონდ კალათი უნდა დავწნათ თევზის ჩასაყრელად.

— ეგ არ ივარგებს, კეთილ საქმეს ჭუჭყიანი ხელებით ვერ გააკეთებ. — ამაყად წარმოთქვა გაბდულამ.

ეს სიტყვები მას შარიფულასაგან ჰქონდა გაგონილი, მაგრამ ვაზირი ვერ გააოცა.

— შეხედეთ, რა მკაცრად ლაპარაკობს! — იქედნურად გაიღიმა ვაზირმა და თვალები მოჭუტა. — თითქოს ჩვენი უფროსი იყოს.

— ბიჭებო, — გამოცოცხლდა აიდარი, — ამ საქმეს ხომ მართლა სჭირდება წინამძღოლი! როგორ მოვიქცეთ, ა?

ბიჭები გაჩუმდნენ. მათთვის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის ერთი ხელის დაკვრით გადაჭრა ძნელი იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ უნდა გადაეჭრათ?

— წინამძღოლს ირჩევენ, — თქვა გაბდულამ, მან ძალზე კარგად იცოდა ყოველგვარი არჩევნების წესები.

ვაზირმა კი, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა თავმდაბლობით, ახლაც ვერ შეიკავა თავი. წვრილი, შავი თვალები სწრაფად აახამხამა და ხვეწნა დაიწყო:

— ბიჭებო... ა, ბიჭებო!.. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს ვყოფილვარ წინამძღოლი... აიდარი კლასის მამასახლისი იყო, გაბდულა კედლის გაზეთის რედაქტორად ავირჩიეთ; იგი რაიონულ შეკრებაზეც იყო... მხოლოდ მე ერთი... — ვაზირს ხმა აუკანკალდა. თვალებზე ცრემლი მოადგა.

გაბდულას ხმამ, მთის ქარივით ცივმა და მკაცრმა, უცებ დაადუნა ვაზირი:

— წინამძღოლობას თხოულობენ განა?!

ვაზირი წამით გაჩუმდა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია. ეტყობა, ძალიან უნდოდა წინამძღოლობა. ახალი წინადადებაც სწრაფად წამოაყენა:

— წილი! მაშინ წილი ვყაროთ, ანდა ჯოხზე დავეზომოთ. ვისი ხელიც ყველაზე მაღლა მოექცევა, წინამძღოლიც ის იქნება!

— წილის ყრა და ჯოხზე დაზომება მხოლოდ თამაშის დროს გამოდგება, — თქვა აიდარმა, — მეთაურის არჩევა კი თამაში როდია,

მე ვფიქრობ, სირბილში შეჯიბრება მოვაწყვით. ვინც ყველაზე ადრე მიიბრუნს, მეთაურად ის ჩავთვალთ.

ვაზირი ძალზე ცუდად დარბოდა. სამაგიეროდ შურდულს ისროდა კარგად. ამაში მაინც ჰქონდა უპირატესობა. მან ნაძალადევად გაიციანა:

— ხა-ხა-ხა! რას მოიგონებ კიდევ, ა?! მორბენალი ავირჩიოთ წინამძღოლად? წინამძღოლი ხომ იგივე მეთაურია. სიტყვა მეთაური წარმოდგება „თავიდან“, მაშ რა შუაშია ფეხები? თუ არ იცი, ნურც არაკუნებ ენას. ყველას სჯობია სროლაში გავეჯიბროთ. ვინც ყველაზე მარჯვედ ისვრის — წინამძღოლიც ისაა. ვკითხვით გაბდულას!

გაბდულას ერთი სული ჰქონდა, სანამ თავის სიტყვას იტყოდა, და მაინც აუჩქარებლად იკითხა:

— გინდათ ვითხრათ, რა იქნება სწორი?

— თქვი, გაბდულა!

— ყველაზე სწორი იქნება, თუ ვიჭიდავებთ. ერთმანეთის ძალას გამოვცდით. ვინც გაიმარჯვებს, წინამძღოლიც ის იქნება!

გაბდულასთან დავა ამაო იყო. მაგრამ ბიჭებმა მაინც დიდხანს იდავეს. ხოლო, როცა ვაზირმა თქვა: „დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა წინამძღოლად ფიზიკურად ყველაზე ტლანქსა და ძლიერს ირჩევდნენო“, ამის გამო მას კინაღამ მოხვდა.

ბოლოს და ბოლოს სიმართლემ თავისი გაიტანა. მიღებულ იქნა ყველა წინადადება. ჯერ სირბილში უნდა გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინც მიასწრებდა სოფლის ბოლოს ეულად მდგარ ფიჭვის ხესთან, ის გაიმარჯვებდა. აიღარმა ჯოხის წვერით ხაზი გაავლო და ბიჭებმაც შარვლები დაიკარწყახეს.

ვაზირმა დაითვალა:

— ერთი, ორი, სამი!

აიღარი ისარივით გავარდა წინ, ჰო, ჰო, როგორ გარბოდა! გეგონებოდა, ფეხით მიწას არ ეხებოა, მხოლოდ ქუსლებს თუ მოჰკრავდით თვალს. გაბდულა დიდხანს არ რჩებოდა აიღარს, ვაზირი კი მალე ჩამორჩა.

„წითური ეშმაკი, — გაიფიქრა მან აიღარზე, — ფეხებში ქვა რომ ესროლო, მაინც არ წაიბოროძიებს!

აიდარი მართლაც არ აპირებდა წაფორხილებას, მან გრძელი სადავის მანძილზე ჩამოიტოვა გაბღულა, პირველი მივიდა დათქმულ ადგილამდე და ფიჭვის ხელები შემოხვია. მალე გაბღულაც მივარდა.

საწყალმა ვაზირმა კი ნახევარი გზა რომ გაირბინა, უცებ მიწაზე დაეცა, ასწია მარჯვენა ფეხი და ტერფს დაუწყო სინჯვა. ეტყობა, ეკალს ან ხიწვს ეძებდა. მერე წამოდგა და კოჭლობით დაეწია მეგობრებს.

— ასე სირბილი შეიძლება? — გაიცინა აიდარმა, ცოტათი მაინც დაგეზოვა ფეხები.

— ეკალი შემესო, — თქვა ვაზირმა, — ჩათვალეთ, რომ შეჯიბრში მონაწილეობა არ მიმიღია!

ვაზირას ტერფი ბიჭებმა დიდი ყურადღებით გასინჯეს, განსაკუთრებული ვერაფერი უპოვეს. ვაზირს თავის მართლება არ დაუწყია. ეტყობა, შეურთიგდა მარცხს. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭებმა თავიანთი განუყრელი საბრძოლო იარაღები — შურდულები მოიმარჯვეს. შეჯიბრის პირობები ერთხმად იქნა მიღებული. ფიჭვის სულ ქვედა მოტეხილ ტოტზე აიდარის ამოქარგული მრგვალი ქუდი — არახჩინი ჩამოკიდეს. გადაითვალეს ოცდაათი ნაბიჯი და იმ ადგილას მიწაში ჯოხი ჩაარჭვეს, სამ-სამი თხილისოდენა ქვა მოაკლეს თავიანთ მარაგს და საქმეს შეუდგნენ. დათქვეს, ვინც სამი ქვიდან სამივეს მოარტყამდა არახჩინს, გამარჯვებულად ის ჩაითვლებოდა. ალფავიტის მიხედვით დაიწყეს. პირველად აიდარმა ისროლა. მისმა ქვამ შხუილით გადაუქროლა არახჩინს. მეორე ქვა ყრუდ მოხვდა ფიჭვის ტანს... მესამედ აიდარი დიდხანს უმიზნებდა, ეტყობა, ფიქრობდა, ამჯერად ჩემს ქუდს ნაკუწ-ნაკუწებად ვაქცევო, მაგრამ ქვა სულ სხვა მიმართულებით გაფრინდა. არახჩინი კი უძრავად ეკიდა თავის ადგილას.

ახლა ვაზირის ჯერი იყო. ერთ ხანს ვაზირი თვალებს ჭუტავდა და დაქინებით უყურებდა ნიშანს. მერე აღჩქარებლად ჩადო შურდულში ქვა და მოჭიმა. სწორედ ამ დროს დატყაპულ ცხვირზე კოლო დააჯდა. ვაზირს კოლოსათვის ყურადღება არ მიუქცევია. აიდარმა კი გულში გააკიცხა გრძელცხვირა: „შტერი ხარ, კოლოვ! დიდი შტერი ხარ! რალა მაინცდამაინც ცხვირზე დააჯექი, თვალში ვერ ჩაუფრინდიო!“

ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა აიდარს ლანძღვა-გინება, რომ ხის ტოტს მისი სანაქებო არახჩინი მოსძვრა და მიწაზე დაეცა.

— პირველ ბლინს კარაქი წავეუსვით! — ამაყად წარმოთქვა ვაზირმა.

გაბდულა ფიჭვისაკენ გაიქცა, აიღო ქუდი და ძველ ადგილას დაკიდა.

მეორეჯერ გაიშხულია ქვამ და არახჩინი ისევ ძირს ჩამოვარდა. აიდარის თავში რალაცამ გაიჭახუნა, თითქოს ქუდს კი არა, მას მოხვდა ქვაო.

— მეორე ბლინსაც წავეუსვით კარაქი! — კიღევ უფრო გაიბადრა ვაზირი.

მესამე ნასროლი საკამათო გამოდგა. ჩამოვარდნით კი ჩამოვარდა არახჩინი, მაგრამ უფრო იმის გამო, რომ ტოტი შექანდა. და როცა ვაზირმა გამარჯვებულის ხმით წამოიძახა: „მესამე ბლინსაც წავეუსვით კარაქიო!“ აიდარმა ზიზღით უთხრა:

— ძალიან ნუ ჩქარობ, თორემ კარაქი არ გეყოფა.

— გშურს არა? — ჩაიციხა ვაზირმა. — თუმცა თვითონაც იცოდა, რომ მესამე ნასროლი მიზანში არ მოხვდა, მაგრამ უნდოდა გაეჯავრებინა ტრაბახა მორბენალი. — აი, ასე უნდა, ძმაო, სროლა! ეს შენი სირბილი კი ნუ გგონია — მიწაზე ფეხების ტყაპა-ტყუპი!

— ენა როგორ არ გელლება ამდენი ტრაბახით! — უთხრა საყვედურით გაბდულამ. — სიმართლე მაინც თქვი, სულ ერთია მესამე ნასროლი არ გეთვლება!

ვაზირმა მხრები აიჩეჩა... მან კარგად იცოდა, რომ გაბდულასაც აიდარის ბედი ელოდა... ასეც მოხდა. გაბდულამ სამჯერ მოჭიმა შურდული და მხოლოდ ერთხელ მოარტყა. ასე, ამგვარად, ის მეორე ადგილზე გავიდა.

მზე ჩადიოდა. ეულად მდგარი ფიჭვის ჩრდილი კარტოფილის მიწდორს დაეცა. ბიჭებმა საჭიდაო მოედანი გამოძებნეს. წილი ყარეს. ჯერ ვაზირსა და აიდარს უნდა ეჭიდავა. ხელისგულეებზე დაიფურთხეს და ერთმანეთის პირდაპირ დადგნენ.

— ვიჭიდაოთ თუ მშვიდობიანად დავცილდეთ? — ნამდვილი მოჭიდავესავით ჰკითხა ვაზირმა აიდარს.

— ვიჭიდაოთ და მშვიდობიანად დავცილდეთ! — უბასუხა, აი-
დარმა და კვლავ ხელისგულზე დაიფურთხა.

როგორც გაზაფხულის ღღესასწაულზე — საბანტუიზე იციან ხოლმე მოჭიდავეებმა, ბიჭები მკერდით შეეჯახნენ ერთმანეთს. მერე ხალათის კალთებზე დაიწყვეს ხელები, დაიხარნენ და ერთმანეთს წელში შეუვარდნენ. თითოეული მათგანი ცდილობდა, ორივე ბეჭით დაედო მიწაზე მოწინააღმდეგე. მძიმედ სუნთქავდნენ, არც ერთი უთმობდა, არც მეორე. აიდარმა რამდენჯერმე თავი მუცელზე მიაბჯინა, უნდოდა, ზეაეტაცნა და თავზე გადაეტარებინა, მაგრამ ვაზირი მძიმე იყო და აიდარს ეგონა, ფილტვები ჩამაწყდა და გული ყელში მომებჯინაო. დიდხანს ჭიდაობდნენ. ფალავანთაგან არც ერთი არ ცდილობდა, გამოეყენებინა სარმა ან რაიმე ეშმაკობა ეხმარა. მოულოდნელად ვაზირმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, აიდარი მკერდზე მიიკრა და ასწია. აიდარმა ჰაერში გაასავსავა ფეხები... სიმძიმეს ვერც ვაზირმა გაუძლო, უკან გადავარდა და მეტოქეც თან გადაიყოლა. ამ დროს, დაძაბულ სიჩუმეში, გაისმა რაღაც უცნაური ხმა. მიწაზე გაშლართულ აიდარს ვაზირის ცისფერი ხალათის ნაგლეჯები შერჩა ხელში. ვაზირი სწრაფად წამოდგა და ბიჭებმა დაინახეს, რომ გაოფლილ და აალებულ სხეულზე ხალათის სახელოებილა შერჩენოდა. კისერზე კი უღელივით ედგა საყელო.

— ხა-ხა-ხა! — ველარ შეიკავა თავი გაბღულამ. — ახლა კი ნამდვილ დევგმირსა ჰგავხარ.

აიდარმა დაცემის დროს ქვას დაჰკრა გვერდი, მაგრამ ახლა ტკივილი აღარ ახსოვდა და ისიც აჰყვა გაბღულას სიცილს.

— ხა-ხა, ვეფხვის ტყავით შემოსილი რაინდი!

ვაზირმა არ იცოდა, რაში იყო საქმე, და ხელი ხალათის კალთისაკენ წაიღო, უნდოდა ოფლი მოეწმინდა, მაგრამ მისი ხელები შიშველ მუცელს შეეხო. ახლალა მიხვდა, რომ აიდარს მისი ცისფერი ხალათის ნაგლეჯები ეჭირა. მერე საყელო მოისინჯა და ამაყად თქვა:

— მთავარია, თავი გეხას მთელი, თორემ ასეთი კონკები რამდენიც გინდა, იმდენი იშოვება!

ვაზირი ამაყი ბიჭი იყო. გახეული ხალათის გამო ზოგიერთივით არც ტირილს დაიწყებდა და არც ჩხუბს ატეხდა. იგი ასეთ წვრილმანებს არაფრად თვლიდა... და მეორეც, ვაზირს შინ კიდეც ეგუ-

ლებოდა ერთი ხალატი. მართალია, იგი ისე იყო მზისგან გამოხუ-
ნებული, რომ პატრონსაც უძნელდებოდა მისი ფერის გარჩევა, მაგ-
რამ ვაზირისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ხეობაში ბინდი ჩამოწვა. აგრილდნ. საჭიდაო ადგილი დიდი ხა-
ნია გაითელა და ერთიანად მოსწორდა. „დევეგმირები“ კი ჯერ კი-
დეც ცდიდნენ ძალას. მაზირს მსუქან ბეჭებზე ოფლი წვეთებად ჩა-
შოსდიოდა, გაბდულას კი არაფერი ეტყობოდა. ჰოდა, სწორედ გაბ-
დულასნაირებზე უთქვამს ხალხს: „ვიღრე კარგ ცხენს ოფლი გამოუ-
ვა, უხეირო ცხენს სული გასძვრებაო“. გაბდულა სწორედ კარგი
ცხენივით იყო. ბოლოს, ეტყობა, მობეზრდა ამდენი ზოზინი, უცებ
დაიხარა, გადმოაყირავა და მხარზე მოიგდო მოწინააღმდეგე, მერე
ასწია და უკან გადმოისროლა. ვაზირი არ ელოდა ასეთ ილეთს და
ტომარასავით დაასკდა მიწას. ჭიდაობა ისე სწრაფად დამთავრდა,
რომ ბიჭებმა უცებ ვერც გაიხსენეს, ასე შეუპოვრად რატომ ებრ-
ძოდნენ ერთმანეთს. ბოლოს აიღარს გაახსენდა:

— არჩევნები დამთავრდა, — განაცხადა მან, — ახლა კი დროა,
წინამძღოლმა დაგვაულოს რაც უნდა.

ოთხი თვალი ერთდროულად მისჩერებოდა გაბდულას. უპირა-
ტესობა აშკარად მის მხარეზე იყო. იგი მათზე მამაცი და ღონიერი
აღმოჩნდა.

ვაზირს მეტად კეთილი გული ჰქონდა. მან არ იცოდა, რა იყო
შურისძიება და წყენა.

— ჩვენ შენი ერთგულები ვართ, გაბდულა, ჭირშიც შენთან ვიქ-
ნებით და ლხინშიც. — თქვა მან.

— ბიჭებო, — ძლივს ამოღეჭა გულაჩუყებულმა გაბდულამ, —
ზღაპარშიაც ხომ სამნი იყვნენ — ერთი მორბენალი, მეორე — მარჯ-
ვე მსროლელი, მესამე — მოჭიდავე.

— წინამძღოლი კი ერთი უნდა იყოს!

— შენ ჩვენი წინამძღოლი ხარ, ვაშა! — დაიძახა აიღარმა.

— ვაშა! — აჰყვა ვაზირიც. ისე ხმამაღლა დაიყვირა, რომ მთებ-
შაც გაიმეორეს: „ვაშაააა!“

გაბდულამ ტანსაცმელი ჩაიბერტყა, ქამარი გაისწორა და მკაც-
რად, როგორც მეთაურს შეეფერება, გასცა თავისი პირველი ბრძანე-
ბა:

— კირამეტის საშველად ჩამოყალიბებულ რაზმს მიეკუთვნოს სახელწოდება „სამფეხა“, თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ. ჩვენ ხომ სამნი ვართ. მერე კიდეც, ასეთი ცეკვაც არის. — დაუმატა ვაზირმა.

აიღარმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

ასეთი ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ ბიჭებმა ერთმანეთს ხელი გადახვიეს და შინისაკენ გაემართნენ.

ამ წუთს თვით „სამფეხა“ ძალზე ძლიერი ჩანდა, ხოლო ისინი, რასაც „სამფეხა“ ეყრდნობოდა, საუკუნო ფიციტა და მეგობრობით დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

ვაზირის პირველი მარცხი

მარჯვე მსროლელი კარგ ხასიათზე იყო. წინამძღოლისათვის მარჯვენა ხელი მოეზვია და ისე მიაბიჯებდა. ფიქრობდა: თორმეტი წელიწადია ქვეყანაზე ვცხოვრობ და არასოდეს არავითარი თანამდებობა არ მქონია, არ მქონია და არც მოვმკვდარვარ, ჰოდა, არც ახლა მომივა რამე. ყველა ხომ წინამძღოლი არ იქნება. სამაგიეროდ იგი „სამფეხას“ ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენია, უიმისოდ „სამფეხა“ დაიშლება, რად უნდა ამას ლაპარაკი. აი როგორი საჭირო აღამიანი გახდა იგი! ვაზირს უნდოდა ვინმესთვის რაიმე ესია მოვინებინა, სიკეთე გაეკეთებინა. მან შარვლის მარცხენა ჯიბეში მისთვის მეტად ძვირფასი ნივთი მოსინჯა. ეს ნივთი სულ ახლახან იშოვა და მისი ყურებით ჯერ თვითონაც არ დამტკბარიყო.

— იცით რა, — თქვა მან მოულოდნელად, — წინამძღოლს უიარალოდ სიარული არ შეეფერება, — ჯიბიდან ძვლისტარიანი ძველი დანა ამოიღო და დიდსულოვნად გაუწოდა მეთაურს, — აიღე, გაბდულა, შენია იგი!

წინამძღოლი და მარდი მორბენალი გოცებისაგან გაქვავდნენ, თვალეზი გაუფართოვდათ. ისინი მეტად ძვირფას და იშვიათ ნივთს ხედავდნენ!

— სად იშოვე? — შეკრთომა და შიში გაისმა გაბდულას ხმაში.

— რას კითხულობ! გაძლევენ — აიღე! — გაიცინა ვაზირმა.

წინამძღოლი არ ჩქარობდა საჩუქრის აღებას. დანა, რა თქმა უნდა, ძალიან მოეწონა, ის იყო ხელიც უნდა გაეშვირა, მაგრამ თავში ერთმა აზრმა გაუელვა: „შემთხვევით ხომ არ მოხვდა ვაზირთან ეს შესანიშნავი ნივთი?“ მას გაახსენდა, რომ ამ სწორუბოვარ მსროლელს არა ერთხელ აღმოსჩენია „შემთხვევით“ რაღაც-რაღაც ნივთები.

— სიმართლე თქვი, სად იშოვე, ისე თითხაც არ მივაკარებ შენს დანას. — თქვა მკაცრად გაბღულამ.

— რა სიმართლე გითხრა?.. გაძლევენ — აიღე. მორჩა და გათავდა!

— არა, ისე არ ავიღებ! შენ გეკითხებიან. სად იშოვე-მეთქი! ვაზირი დაიბნა:

— სად ვიშოვე?.. სიმართლე რომ გითხრა...

— რა, სიმართლე რომ მითხრა?

— მე ეს შარიფულას... შარიფულას ჩანთიდან ამოვიღე. — აღმოხდა ბოლოს ვაზირს, მაგრამ იგრძნო, რომ უხეირო რაღაცა თქვა, და შეშფოთებით ჰკითხა: — რა, არ მოგწონს?

გაბღულას სიბრაზისაგან თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა.

— მოიპარე? — გაკვირვებით და განრისხებით წამოიძახა მან და ვაზირისაკენ წაიწია. — მოიპარე ხომ, წამგლეჯო?!

— არ მომიპარავს. ამოვიღე. ჩანთიდან ტარი იყო ამოშვერილი... — თავის გამართლება სცადა ვაზირმა; თან უკან-უკან იხევდა, მაგრამ გაბღულას სილა მაინც ვერ აიციდინა.

— ქურდო!

გაბღულამ ისევ მოიქნია ხელი, მაგრამ აიღარმა შეაჩერა.

— რას იტუქუყიანებ ხელს! — ზიზლით თქვა მან.

წინამძღოლმა ძლივს მოითქვა სული, მერე ვაზირს შეხედა და თავისი მეორე ბრძანება გასცა:

— შარიფულას ძვლისტარიანი დანის მოპარვისათვის გაირიცხოს „სამფეხადან“. ამიერიდან აღარ ჩაითვალოს ჩვენს მეგობრად, არც ხმა გავცეთ! თავსლაფი მაგას!

— თავსლაფი ქურდს! — გაუსწორა აიღარმა.

ვაზირი თითქოს ციდან მიწაზე ჩამოაგდეს. გულდაკოდილი იდგა,

თავი დაეხარა და ნეხვის ჭიას უყურებდა. ჭია ნელ-ნელა გამოძვრა თავის სოროდან, მიმოიხედა და ზანტად განაგრძო გზა. ნეხვის ჭიის ზედი შეეხარბა ვაზირს. ჭიას მასზე უკეთესად ჰქონდა საქმე. გრილი ქარი ატრიალებდა ვაზირის ხალათის ნაგლეჯებს, შუბლიდან ოფლი მოჰონავდა და ჭუჭუიან კვალს ტოვებდა. ქუთუთოები ასწითლებოდა და თვალებს ახამსამებდა. საცოდავი სანახავი იყო, მაგრამ ბიჭებს მტკიცე ხასიათი და რკინასავით მაგარი გულები ჰქონდათ და არ შეპბრალებიათ იგი. წინამძღოლის გადაწყვეტილება ურყევი იყო.

ამავე საღამოს შერისხულ ვაზირს მესამე ბრძანებაც მოესმა, მკაცრი ბრძანება:

— დანა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს პატრონს! დაეცეს მის ფერხთა წინაშე და პატიება სთხოვოს! წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ სოფელს მოედება სამარცხვინო ზედმეტი სახელი „ქურდი“!

წინამძღოლმა შეუბრალებლად გაიმეორა:

— ვაზირი ქურდია! არც ერთი ჩვენგანი არ გაუწვდის მას დახმარების ხელს, დალაპარაკების ღირსადაც არ ჩავთვლით.

„სამფეხას“ ორი წევრი ერთბაშად შემობრუნდა და სოფლისაკენ დაეშვა. „სამფეხას“ მესამე საიმედო დასაყრდენი, საწყალი ვაზირი, მარტოღმარტო დარჩა. ხეობაში სულერთიანად ჩამობნეულდა, ის კი იმავე ადგილას იღვა და თავის მარცხზე ფიქრობდა. წინამძღოლის უკანასკნელმა ბრძანებამ იგი საგონებელში ჩააგდო. „დანა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს პატრონს“. ხვალ რომ მისი აღსასრულის დღე ყოფილიყო, ალბათ ამ ბრძანებას არ შეასრულებდა, მაგრამ იგი აღსასრულს არ ჰვრებდა, ამიტომ ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ ზანტად აითრია წელი და ფერმისაკენ გაემართა.

შარიფულა გზაზე შეხვდა. საქმეს მორჩენილიყო და შინ ბრუნდებოდა.

— აგაი, — ძლივს გაბედა ვაზირმა, — აი თქვენი დანა... მე ეს კუკრეკ-თაუს ფერდობზე ვიპოვე...

ვაზირს სიმართლის სათქმელად მხნეობა არ ეყო, არც პატიება უთხოვია. მწყემსს კი დაკარგული დანის დანახვა გაუხარდა და ბიჭს მადლობა გადაუხადა.

— ყოჩაღ, ბიჭიკო! ძალიან მადლობელი ვარ! გეტყობა, პატიოსანი კაცი ხარ!

წინაპრებს უთქვამთ: ერთი მადლობა ათასი უბედურებისაგან გიხსნისო, მაგრამ ახლა ვერც შარიფულას ქებამ და ვერც მადლობამ ვერ იხსნა ვაზირი ყველაზე დიდი უბედურებისაგან — მეგობრები დაკარგა.

შინაური საქმეები

ახლა შინ მივაკითხოთ ბიჭებს.

ვისგან დავიწყეთ? მოდი, წინამძღოლისაგან დავიწყეთ, თორემ შესაძლოა — ეწყინოს კიდევ.

გაბდულას ოჯახი სამი სულისაგან შედგება. დედამისი მწველავია და ზაფხულის დადგომისთანავე საზაფხულო საძოვრებზე წავიდა. შინ გაბდულა და მოხუცი ბებია ნაგიმა დარჩნენ. ბიჭის მამა ომში დაიღუპა. სოფელში დღესაც სიყვარულით იგონებენ მეგარმონე მუჰამედს.

შემადრწუნებელი ცნობა მუჰამედის დაღუპვის შესახებ ომის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე მოვიდა. ამ უწყებაში ეწერა: „გმირულად დაეცა სამშობლოსათვის“. დედა და ბებია დიდხანს ტიროდნენ, ტიროდნენ ცრემლმეუშრობლად, შერევი სულ მთლად დაღუმდნენ. ისე გავიდოდა დღე, რომ ერთხელაც არ დაილაპარაკებდნენ. მამის შვიდი წლისაც არ იყო გაბდულა, მაგრამ მისი პაწაწა გული გრძნობდა, რომ რაღაც დიდმა უბედურებამ შემოაბიჯა მათ სახლში და თავისებურად ხელს არ უშლიდა უფროსებს გლოვაში.

მამის ძველ ქურთუკში გახვეული გაბდულა ხანდახან მთელი საათობით იჯდა ჭიშკრის წინ, ქვაზე. ამ წელიწადს გაზაფხული თბილი იყო და მზიანი. ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისშივე აბიზინდა ბალახი, აჭიკტიკდნენ ჩიტები. ტბაში ნაფოტამ იწყო რიალი. ქალები, გაბდულას სახლს რომ ჩაუვლიდნენ, ჩერდებოდნენ, შემოხედავდნენ ბიჭს და ერთმანეთს გადაუჩურჩულებდნენ, „საწყალიო“. ზოგი კი თავსაფრის ბოლოთი ფარულად მოიწმენდდა ლოყაზე გადმოგორებულ ცრემლს. იმ ხანად გაბდულას კარგად არ ესმოდა, რა იყო

მამა და რას ნიშნავდა უმამობა. და მაინც მის გულში ისადგურებდა ჯერ კიდევ შეუცნობელი, გაურკვეველი სევდა. მერე, მოგვიანებით, მოვიდა მუჰამედის მედალი „მამაცობისათვის“. ეს მედალი ფრონტელმა მეგობრებმა გამოგზავნეს. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. ამ ექვსი წლის მანძილზე, ყოველ ხუთშაბათს, ბებია ნაგიმა საგულისგულოდ აპრიალებს ამ მედალს და მერე ისევ კამოდის ზემოთ, ჩაშავებულ ჩარჩოში ჩასმული შვილის სურათის ქვეშ კიდებს.

დღესაც ხუთშაბათი იყო; გაბდულამ, შინ შევიდა თუ არა, დაინახა, რომ ბებიას მედალი ჩამოეღო და წმენდდა.

— უმამო ბავშვი იგივეა, რაც ულაგამო ცხენი, — მთლად წახვედი ხელიდან, სად დაეხეტებოდი ამ დრომდე, — აბუზლუნდა ბებია, — აი, იაკუბი რა კარგი ბიჭია, მისგან მაინც აგელო მაგალითისულ თავის სახლის წინ ტრიალებს, თავის დროზე ჭამს და თავის დროზე სვამს. მუდამ გაწკრილებული ტანსაცმელი აცვია. შენ კი აპყევი იმ ეშმაკის ფეხ ვაზირას და კუდში დასდევ! ერთი ჩაიხედე სარკეში, რას გავხარ! ო, ალაჰ!

— ვაზირი თვითონ დამდევს, ბებო, და კიდევაც მდევდა ამის ნება რომ ჰქონდეს... — ჩაიბუტბუტა გაბდულამ.

რა იცოდა ბებია ნაგიმამ, რომ მისი ბაღიში, მისი გაბდულა, „სამფეხას“ წინამძღოლი გახდა. რომ სცოდნოდა, ალბათ სხვანაირად დაელაპარაკებოდა შვილიშვილს...

— იაკუბს მაინც მიჰბაძე, — განაგრძობდა ბუზლუნს ბებია.

— რას შემომიჩნდით ამ იაკუბით, ბებია? — წყენა დაეტყო გაბდულას.

იაკუბი მთელ ქუჩაზე ყველაზე წყნარი და გამგონე ბიჭი იყო. დიდი ნიჭით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც კარგ მოწაფედ ითვლებოდა; სიბეჯითით გაჰქონდა თავი. ისე რომ, სკოლაში მისწავლებლებისაგან, ხოლო შინ დედებისა და ბებიებისაგან ბიჭებს გაწყალებული ჰქონდათ გული. როცა ჩხუბისა თუ თამაშის შემდეგ მტკვერში და ტალახში ამოგანგლულები, დაჩეჩქვილები, შინ ბრუნდებოდნენ, სულ ერთი და იგივე ესმოდათ: „იაკუბისაგან მაინც აიღე მაგალითი“.

სწორედ ამიტომ შეარქვეს ბიჭებმა იაკუბს ზედმეტ სახელად „სა-

შავალითო“, ხშირად ანაწყენებდნენ და ხანდახან სცემდნენ კიდევ-
თვითონ იაკუბი ხელს არავიზე აღმართავდა და არც არავის ედავე-
ბოლა და აბეზღებდა.

ამჯერად ბებიამ საკმაოდ მალე მოათავა ბუზღუნი: მაგიდაზე ფა-
ფით სავსე ჯამი ელოდა გაბღულას. ჯამს ოდნავ შესამჩნევი ორთქ-
ლი ასდიოდა და ბებია ნავიძას შეეშინდა, ჩემს ჩხუბში ფაფა არ
გაუცივდესო.

— ხელები დაიბანე და მაგიდას მიუჯექი! — მკაცრად უთხრა
მან. მერე ღრმად ამოისუნთქა და შვილის სურათის ქვემოთ გაპ-
რიალებული მედალი ჩამოკიდა.

მაგიდის თავზე ნათურა ანათებდა და მის შუქზე ვერცხლის მე-
დალი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ჯამის დროს გაბღულას ერ-
თი წამითაც არ მოუცილებია თვალი მედალისათვის. ფაფა გემრიე-
ლი იყო. ისე რომ, წინამძღოლი ჯერ კარგა გვარიანად შეახურეს,
მერე კი გემრიელი ფაფით გაუმასპინძლდნენ.

ვაზირის დედა კურბანბიკა შვილს ისეთი წიოკობით შეხვდა,
რომ მისი ყვირილით მთელი ქუჩა შეიძრა. რას იზამ, ასეთი ხასია-
თი აქვს კურბანბიკას! ხანდახან, როცა ძროხა დაავიანებს საძოვ-
რიდან მობრუნებას, იგი მაშინაც მთელ ქუჩაზე გაჰყვირის: „ნეტა
მგელი მაინც შეეფეთებოდეს სადმე იმ ამოსავლებ ძროხას! ჰაი,
როგორ გავიხარებდი! ჩემი ხელით მივუტანდი შესაწირავს ექმა-
გოლ-მოლას!“ ზოგჯერ ქათმები გადაფრინდებოდნენ ბაღჩაში. კურ-
ბანბიკა არც ამ შემთხვევას დატოვებდა ისე. „ჭირი გაგიჩნდეთ სუ-
ყველას! — ესმოდათ მეზობლებს ნაცნობი ხმა. — ნაკლები საზრუ-
ნავი მექნებოდა, მოვისვენებდი. აქში-აქში!“

რა უნდა ექნა კურბანბიკას უძროხოდ? უქათმოდ?

შინ შესვლამდე ვაზირმა სიფრთხილისათვის ხალათის ნაფლე-
თები მოიცილა, დაახვია და ილლიის ქვეშ ამოიღო. ჭიშკრის გაღება
და დედამისის შემზარავი კივილი ერთი იყო.

— ვაზირ! უსინდისო ბიჭო! აბა ერთი გაბედე შინ შემოსვლა!
ტყავს გაგაძრობ ცემით! შე არგასაზრდელიო, შენა! შინ უძღური
ხარ, არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, ბიჭების დევნაში კი ცალი
არა გყავს! ერთხელ მაინც აიღე შავალითი იაკუბისაგან...

ვაზირი მთელი თორმეტი წლის მანძილზე თითქმის ყოველდღე
ასმენდა ასეთ მუქარას. ამიტომ, უკვე ბედს შერიგებული, უხმოდ

გემართა შინისაკენ. მართალია, კურბანბიკას ავი ენა ჰქონდა, მაგრამ მისი მუქარა ცარიელ სიტყვებად რჩებოდა. შვილს ხელით არასოდეს შეეხებოდა. პარმალზე ვეებერთელა სკივრს უკან შეკუჭა დახეული ხალათის ნაგლეჯები და ოთახში შეაბიჯა. მამა შინ არ დახედა, საძუშაოზე წასულიყო: სამიგულა ომიდან უფეხო დაბრუნდა. ახლა ის კოლმეურნეობის ბელღებს სდარაჯობდა. ვაზირის ძმა ნასიბი, რომელიც მასზე სამი წლით უმცროსი იყო, კედელს თავით მიჰყრდნობოდა და მაგრად ეძინა; ლოყები გამოჰბეროდა, ეტყობა, რაღაცას ჭამდა და ლუკმის გადაყლაპვა ვერ მოესწრო, ჩასძინებოდა.

— რა უყავი ხალათი, შე უკუღმართო? — ისევ შეუტია შვილს კურბანბიკამ.

— ამ ზაფხულს მე უხალათოდ სიარული გადავწყვიტე, უნდა გავკაჟდე, — მშვიდად უბასუხა ვაზირმა.

— გაკაჟება კი არა, კაი გამოლტვა გინდა შენ! რა უყავი ხალათი?

— პარმალზე დავტოვე. ცოტათი გაირღვა...

— კარგი, ბატონო. იარე იმ აბდალა აბდრაშივით, ბარემ შარვალიც გაიხადე და...

— მე მარტო მკერდის გაკაჟება მინდა...

კურბანბიკას მრისხანება ხმელ თივას მოგაგონებდათ. სწრაფად აენთებოდა და სწრაფადვე ქრებოდა. ახლაც ასე იყო.

— დაჯექი, ბატონო, მშვიერი იქნები, — მოულოდნელად მოლბა იგი.

ისე რომ, ვაზირი თავის წინამძღოლ გაბღულას მსგავსად ცოტაოდენი შეხურების შემდეგ ყურადღებისა და გემრიელი საჭმლის ღირსი გახდა.

სამაგიეროდ აიღარი სახლში არავის გახსენებია. მის ოჯახში ცხრა ბავშვი იზრდებოდა და ცხრა ბავშვში იმის არყოფნა ვერც კი შენიშნეს. აიღარმა საზაფხულო სამზარეულოს მიაშურა, პირდაპირ ქოთნიდან მოსვა შედედებული რძე, მერე აუჩქარებლად გემართა სათივესაკენ, დაწვა და მაშინვე ჩაეძინა.

ვაზირს არ ეძინებოდა. გამოვიდა გარეთ, კიბის თავზე ჩამოჯდა და კარგა ხანს უყურებდა ვარსკვლავებს. უყურებდა და ფიქრობ-

და: კირამეტის თავზე რომ ყველაზე მკრთალი ვარსკვლავია, ის არის ჩემი ვარსკვლავიო. „ნეტა რატომაა, რომ ამქვეყნად მხოლოდ მე ერთს არ მწყალობს ბედი?“ — დარდობდა ბიჭი.

სოფელში კიდევ ერთ ბიჭს არ ეძინა ამ ღამით. ეს გაბდულა გახლდათ. დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა გაბდულას. „სამფეხა“ უნდა აღედგინა. მისი ერთი ბიჯი არ გამოდგა საიმედო. პოდა, „სამფეხას“ მესამე ბიჯი ესაჭიროებოდა. მაგრამ სად უნდა ეშოვა ერთგული მეგობარი? ვინ იყო სანდო? ვიზე შეიძლებოდა დაყრდნობა?

მესამე ბიჯი

როცა გაბდულამ გაიღვიძა, ბებია უკვე შინ აღარ იყო. მან თვალი შეავლო კედელს, სადაც მრგვალი და მბრწყინავი მედალი ეკიდა. გაბდულა წამოვარდა, იფიქრა, მედალს ჩამოეხსნო, მაგრამ აქვე გაახსენდა, რომ ნავიმა ბებია მედალის ხელში აღების უფლებას არავის აძლევდა. ანდა რა საჭირო იყო? განა აქედან არ ჩანდა? მედალი იმ ლითონის ფულზეც დიდი და ბრჭყვიალა იყო, ძველი ბაშკირელი ქალები ყელსაბამივით რომ ატარებდნენ! ნუთუ გაბდულას ამ გაკრიალებულ ვერცხლის მედალზე ამოკვეთილი წარწერა დაავიწყდა? არა, გაბდულამ ეს წარწერა ზეპირად იცოდა და მაინც ერთხელ კიდევ გამოთქმით წაიკითხა: „მამაცობისათვის“. „მამაცობისათვის“ — აღელვებით გაიმეორა მერე თავისთვის. აქამდე იგი არასოდეს დაჰკვირვებია ამ წარწერას. დღეს პირველად ჩასწვდა ვერცხლზე ამოკვეთილი სიტყვების ღრმა აზრს. ესე იგი, მამამისი მამაცი ყოფილა! მაშ რატომაა, როცა სოფელში მუჰამედს ახსენებენ, არ დააყოლებენ ხოლმე „გმირიო“, ალბათ არ იციან, ალბათ...

ზღაპრებში ხომ ასეა: როდესაც გმირი იღუპება, სიკვდილის წინ თავის მახვილს, თოფს და კაპარჭს შვილს გადაუღოცავს... შესაძლოა, გაბდულას მამამაც თქვა: „ჩემი მედალი ჩემს შვილს გადაეცით, დე ატაროს ჩემს სახსოვრად“. ნამდვილად ასე იტყოდა. აბა რატომ გამოგზავნიდნენ ამ მედალს მამას თანამებრძოლები?

გაბდულამ ფრთხილად ჩამოხსნა მამისეული მედალი, მერე თითისწვერებზე შედგა და დროჟამისაგან ჩაჟამებულ სარკვეში ჩაიხედდა. მედალი მკერდზე მარჯვენა მხარეს დაიბნია. წინამძღოლს ძალიან დაშვენდა მედალი, აღარასოდეს არ მოვიცილებო, გადაწყვიტა გუნებაში. აქ ბებია გაახსენდა, გაიფიქრა, ბებიას როგორმე გაეუძლებო, იბუზღუნებს, იბუზღუნებს და გაჩუმდებო.

მედლით მკერდდამშვენებული გარეთ გავიდა. აქ მას აიდარი დახვდა. დიდი ხანია მოსულიყო, სახლში შესვლა ვერ გაებედა და ჭიშკართან ჩამომჯდარი მოთმინებით ელოდა. აიდარმა გაბდულას მკერდზე მედალი რომ შენიშნა, ძალიან გაუკვირდა: „ეს რაღა საჭიროა? მამისეული მედალი რა სათამაშოა?“ — გაიფიქრა გუნებაში, მაგრამ წინამძღოლის წყენას მოერიდა და მხოლოდ გაიღიმა.

— მედალს „მამაცობისათვის“ მარჯვენა მხარეს კი არ იკეთებენ, არამედ მარცხენა მხარეს. გულთან ახლოს.

მეგობრის გულგრილობამ გაბდულა გააკვირვა და, ცოტა არ იყოს, გააბრაზა კიდევ: ეგონა, მედლით განვაცვიფრებო, იმან კი... უჩუმრად მოიხსნა მედალი და მარცხენა მხარეს მიიმავრა, თან ბოლმინანდ გაიფიქრა: „რა ყველაფერი იცის აიდარმაო“.

მერე საქმეზე დაიწყეს ლაპარაკი.

— სიმართლე გითხრა, შარიფულა-ავაიმ ცოტა გააზვიადა კიდევ — კირამეტი ჩამოინგრევას, — მოულოდნელად განაცხადა აიდარმა, — მთები მხოლოდ მიწისძვრის დროს ირყევა და ინგრევა.

— სამაგიეროდ შენ ირყევი, გინდა ჩვენი „სამფეხა“ დაშალო! — შეუტია ხასიათწამხდარმა გაბდულამ, — რისი გეშინია, მხდალო?

— მე გეშინია?

— ჰო, შენ!

— მე არაფრის არ გეშინია. შენ კი, არ ვიცი, რამ ავაფორიაქა? — წყნარად უთხრა აიდარმა. — მე მამაჩემს გამოვკითხე და იმანაც მითხრა, კირამეტის მთაზე ტბა არის და იმ ტბაში ერთი თევზიც არ დაცურავსო. ისიც ასე ამბობს, უთევზო ტბა იგივეა, რაც დაბრმავებული თვალიო. გასაგებია ახლა?

— რაო?

— რა და, თუკი იმ ტბაში თევზებს მოვაშენებთ, ყველაფერი კარგად იქნება. ტბა გამოცოცხლდება.

— მაშ მამაშენმა ყველაფერი იცის?

— ჯერ არა... მაგრამ თუ ძალიან გინდა, ვეტყვი.

გაბდულა გაიბადრა, თვალები აუციმციმდა. მიხვდა, ტყუილად აწყენინა მეგობარს.

— იცი, აიღარ, — თქვა მან, — შესაძლოა, კირამეტი მართლაც არ ჩამოინგრეს, მაგრამ ჩვენ იმ ტბაში თევზების მოშენებით კეთილსაქმეს გავაკეთებთ. ხალხი მაღლობას გვეტყვის. თევზი ყველას სჭირდება. მაგრამ რითი უნდა დავიჭიროთ? უპირველეს ყოვლისა გოდორყური უნდა დავწნათ, დაჭერილ თევზს იმაში მოვთავსებთ. კილისის მეორე ბოლოში ერთი შესანიშნავი ადგილი მეგულება ლაქაშებში. იქ ბევრი თევზი იცის!..

— გოდორყურის დაწვნას რა უნდა, — თქვა აიღარმა, — წუთში დავამზადებ!

ბიჭებმა გადაწყვიტეს, იმავე დღესვე გასულიყვენ კილისის მეორე მხარეს და ტირიფნარში გოდორყური დაეწნათ. ძალიან წუხდნენ, რომ „სამფეხას“ ერთი ბიჭგი გამოაქვდა. ეჰ, დიდი უსინდისო ვინმე კია ის ვაზირი! აიღო და ხელის ერთი დაკვრით ყველაფერი გაათუტა! ახლა, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, მისი შემცვლელი უნდა გამოიხონ. ამ ლაპარაკში იყვნენ ბიჭები, რომ გზაზე „სამაგალითო“ იაკუბი გამოჩნდა. იაკუბს ხელში გრძელი წკებლა ეჭირა და ბატებს ტბისკენ მიერეკებოდა. ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს.

— ეი, იაკუბ, მოდი აქ! — დაუძახა აიღარმა.

იაკუბი შეჩერდა.

— როგორ მოვიდე, ბატებს მივდენი. — თქვა მან და უნიათოდ აიღიმა.

— ბატები უშენოდაც გაიგნებენ გზას, შენ კი, რომ გელაპარაკებიან მოდიო, უნდა მოხვიდე!

იაკუბი რალა იაკუბი იქნებოდა, თუ არ გაიგონებდა. წნელის ტრიალ-ტრიალით ბიჭებთან მიიბრინა.

— დაჯექი! — უთხრა მას წინამძღოლმა.

იაკუბი მორჩილად დაჯდა.

— გინდა დევგმირი გახდე?

— მინდა, რა თქმა უნდა, მინდა... ოღონდ როგორ უნდა გავხდე? — იაკუბს სახე გაუბრწყინდა, იგი გაბდულას მკერდზე დაბნე-

ულ მედალს თვალს არ აშორებდა, მერე მძიმედ ამოიხრა. თითქოს ამით თქვა: „ეჰ, არიან ამქვეყნად ბედნიერი ადამიანები!“

წინამძღოლმა თავით ფეხებამდე გამომცდელად შეათვალიერა იაკუბი. ამგვარმა მხერამ ბიჭი შეაკრთო. მოიკუნტა, სულ მთლად დაპატარავდა. „ნეტავი რას მიპირებენ?“ — ფიქრობდა შეშინებულად.

მაგრამ ჩქარა დამშვიდდა. გაბღულამ დინჯად და დიდმნიშვნელოვნად ჰკითხა:

— იაკუბ, ასულხარ ოდესმე კუკრეკ-თაუს მწვერვალზე?

— რა თქმა უნდა, ავსულვარ!

— კირამეტი დაგინახავს? აი ის მწვერვალი, შორიდან თეთრად რომ მოჩანს.

— როგორ არ დამინახავს?

— აი სწორედ იმ მთის თავზე არის ტბა, ტბაში კი ერთი თევზიც არ დაცურავს.

— რატომ? უთევზო ტბა სად გაგონილა!

— რადგან ვამბობ, ალბათ არის კიდეც. ჩვენმა რაზმმა, რომელსაც „სამფეხას“ სახელწოდება აქვს, გადაწყვიტა, ამ ტბაში თევზების მოშენება. თუ შემოგვიერთდები, მესამე იქნები. რაზმის უფროსი მე ვარ!

იაკუბი დაიბნა, თვალები აახამხამა, სიამოვნებისაგან გაეცინა კიდეც.

წინამძღოლმა გაიმეორა:

— შემოგვიერთდები?

— ჯერ დედას ვკითხავ...

— დიდი დოყლაპია ხარ, იაკუბ! ეს ხომ საიდუმლოებაა. დაიმახსოვრე: ნაკუწ-ნაკუწად რომ აგჩეხონ, ამის შესახებ სიტყვაც არ უნდა დაგცდეს, დედასთანაც კი, გაიგე?

გაბღულამ დაწვრილებით აუხსნა რაზმის ამოცანა:

— ჯერ დავიჭერთ რაც შეიძლება ბევრ ქვირითიან თევზს. ეს თევზი ჯერჯერობით გოდორყურში გვეყოლება; მერე ვედროებში გადავსხამთ და კირამეტზე ავიტანთ. რა თქმა უნდა, გზადაგზა წყლის გამოცვლა დაგვჭირდება. მაგრამ ეს არაფერია: ყოველ ფეხის ნაბიჯზე წყაროებია. თუ გეშინია, პირდაპირ გვითხარი!

— მერე არ გამიწყრებიან?

— ვინ უნდა გაგიწყრეს?

— შეიძლება დედა...

— უმჯობესად გაგიწყრება. მერე რა, გაგიწყრება და თავს დაგანებებს. იმთავითვე ასეა, როცა კაცი რაიმე სერიოზულ საქმეს წამოიწყებს, რატომღაც არ ესმით მისი, ხელსაც უშლიან.

რა თქმა უნდა, იაკუბსაც არ ესმოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კირამეტის ტბაში თევზების მოშენებას. იგი სხვა რამეს დაეხარბა: თანატოლებისაგან დაცინვის მეტი არაფერი ახსოვდა. არც ერთი ბიჭი არ ამხანაგობდა მასთან. ახლა კი მშვენიერი შემთხვევა მიეცა, მათი ტოლი და სწორი გამხდარიყო. მან დაუფიქრებლად მიიღო ბიჭების წინადადება და საზეიმო ფიცი დადო, საერთო საქმის ერთგული ვიქნებო. ასე, ამგვარად, იაკუბი უფროსების დაუკითხავად, საკუთარი ნება-სურვილით, „სამფეხას“ წვერი გახდა.

ამის შემდეგ წინამძღოლმა იაკუბს ახალი მითითება მისცა:

— სამ დღეში ჩვეულებრივ აღამიანად უნდა იქცე, — აღარ უნდა იყო სამაგალითო, შურდული იშოვე და ნიშანში სროლაში ივარჯიშე, თანაც ხეზე ასვლა, ჩამოხტომა და ნიჩბების მოსმა უნდა ისწავლო. ყველაფერი ეს გამოგადგება; და კიდევ, ვაზირს თუ სადმე შეხვდი, არ მიესალმო. — მკაცრად დაუმატა გაბდულამ.

— რატომ?

— ჯერჯერობით ამის ცოდნა არაა საჭირო... შენ ეს გვითხარი, ყველა პირობაზე თანახმა ხარ? თუ თანახმა ხარ, — დაიფიცე.

— თანახმა ვარ! ვფიცავ! — თქვა „სამფეხას“ ახალმა წვერმა.

ერთ ხანს დუმდნენ, ბოლოს წინამძღოლმა საჭიროდ ჩათვალა, ეთქვა:

— ნუ ფიქრობ, ისე დავგლახაკდით, რომ შენზე დაგვიდგა საქმე. პირიქით, შენგან აღამიანი გვინდა გამოვიყვანოთ. ეს იცოდე.

— კარგი. — თავი დახარა იაკუბმა.

ამ წუთიდან ბიჭებმა შორეული მოგზაურობისათვის მზადება დაიწყეს. საერთო გადაწყვეტილებით გაბდულა და აიდარი კილისის ტბის მეორე ბოლოში უნდა გასულიყვნენ გოდორკუტის დასაწნავად. იაკუბს კი, თავისი „სამაგალითო“ ცხოვრებისათვის ბოლო რომ მოეღო, ჯერჯერობით აულში დარჩენა მოუწია.

წინამძღოლმა მას სჯმი დღე გამოუყო; პირველი დღე რახანია დაიწყო...

აიდარი ქუჩაში დარჩა. გაბდულამ კი შინ შეირბინა, პურის ვე-
ება ნაჭერს ხელი დასტაცა, მერე ბებიას მჭრელი დანა დაითრია და
ის იყო აივანზე აპირებდა გასვლას, რომ მოხუც ნაგიმას შეეჩხხა.
გაბდულამ მჭრელი დანა მაშინვე ზურგს უკან დამალა; ბებიამ ეს
ვერ შენიშნა. სამაგიეროდ მაშინვე თვალში ეცა შვილიშვილის
მკერდზე დაბნეული მედალი. გული შეეკუმშა, სახეზე თითქოს ნაო-
ჭები გაულრმაედა და თვალეები დაუნაღვლიანდა. გაბდულას ეგონა,
მიყვირებსო. მაგრამ ბებიას არც უყვირია, არც საყვედური უთქ-
ვამს. ალერსიანად გადაუსვა ბიჭს თავზე ხელი და წყნარად უთხრა:

— შემოდი, შვილიყო, სახლში...

— მე და აიდარი ტბაზე მივდივართ...

— წასვლას მოესწრები. აიდარი ცოტა ხანს მოიცდის.

შინ რომ შევიდნენ, ბებია ნაგიმამ ისევ მიუალერსა შვილიშვილს:

— მედალი კი ძალიან გიხდება!

— მართლა, ბებია? — გაუხარდა გაბდულას.

— ბებია შენ ტყუილს არ გეტყვის. შენ კი ხუთი ზამთარია სკო-
ლაში დადიხარ, აბა ამიხსენი: რისთვის იძლევიან მედალს.

— მამაცობისათვის, გმირობისათვის! ზედაც ასე აწერია, ბებია,
რუსულად აწერია. — სწრაფად უპასუხა გაბდულამ.

ბებიამ ალერსიანად გაუღიმა და თავი დაუქნია.

— კეთილი. დიდი მადლობა, რომ ამოიკითხე და ამიხსენი. მედ-
ლებს ვიღასლა აძლევენ?

— როგორ თუ ვის? გმირებს, შეუპოვარ, თავდადებულ ადა-
მიანებს.

— ეს მედალი ვიღას მისცეს? — ბებია ნაგიმამ ნიკაპის მოძრა-
ობით ანიშნა მკერდზე (ჩვენს მხარეში იმაზე, რაც წმიდად ითვლე-
ბა, ხელით არ უთითებენ).

— შენ ხომ იცი, ბებია? — მამაჩემს! — გაკვირვებით აიჩჩა
მხრები ბიჭმა.

— თუკი ასეა, მაშ ვინ უნდა ატარებდეს?

— რა თქმა უნდა, მამა... მაგრამ მამა ხომ არ დაბრუნებულა...
პოდა, მე ვატარებ ამ მედალს, მამის მოსაგონრად ვატარებ.

ნავიმა ბებია დიდხანს ღუმდა. გაბღულამ წასვლა ველარ მოახერხა და ტახტზე ჩამოჯდა. ბებია ოხრავდა და რალაცაზე ფიქრობდა. შეიძლება, თავისი შვილი აგონდებოდა, რომელიც ერთ დროს აი ასე, გაბღულსავით, იჯდა ამ ტახტზე და ფეხებით ძლივს ეხებოდა იატაკს? გაბღულა მამას ჰგავდა. მისი მიმოხვრა, თავშეკავებული ღიმილი და ლაპარაკი მოხუც ქალს შვილს აგონებდა. და ხშირად, როდესაც უყურებდა შვილიშვილს, ხან სიხარულით ევსებოდა გული, ხან ნაღველი ეუფლებოდა. ასეთ დროს გაბღულა მუდამ თავაზიანი და ალერსიანი იყო. ის ახლაც თანაგრძნობით უყურებდა ბებიას.

ნავიმა ბებიამ კიდევ ერთხელ ამოიოხრა და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო:

— რახან აგრეა, მისმინე... გმირის დაღუპვის შემდეგ მისი მახვილი შვილს რჩება... ხოლო, როდესაც კარგი მსროლელი კვდება, შვილი მამის მშვილდ-ისარს ეპატრონება. როცა საჭირო იყო, შვილები იღებდნენ მამის იარაღს და მტერს ეომებოდნენ. მამის დატოვებული გუთნით შვილი მინდორს ხნავს, მისი ბარით მიწას თხრის, მისი უროთი რკინას აწრთობს. მამის დატოვებული ქუდი შეუძლია ატაროს შვილმა... აი შენც მამის ქუდი გახურავს. მაგრამ მამის დიდება! მამის დიდება ქუდი როდია! მას რიგრიგობით ვერ ატარებენ შვილები. როგორც ბუზრიდან ამოსული კვამლი ვერ ათბობს ჰაერს, ისე მშობლის დიდება არ გადადის შვილზე, ხოლო თუ შენი საქმით, შენი მოქმედებით მამაშენს გაუტოლდები და ამ საქმეებით ხალხი იამაყებს, მაშინ სხვა საქმეა.

— ჩვენ უსათუოდ ჩავიდნთ საგმირო საქმეებს! — წამოიძახა გაბღულამ. — თვითონ ნახავ და ძალიან ვაგიკვირდება!

— ეგრე იყოს! — თქვა ბებია ნავიმამ და წყნარად დაუმატა: — შენ თუ მოგწონს, ატარე, არ გიშლი... მეღალზე გეუბნები...

მაგრამ გაბღულამ უხმოდ მოიხსნა მეღალი და ისევ ძველ ადგილას, მამის სურათის ქვეშ, დაკიდა.

ქუჩიდან სტვენა მოისმა. აიღარი იყო. ეტყობა, მოთმინების ფილა აევსო.

— ახლა წადი... — უთხრა ბებიამ. — ოღონდ დანა არ დაკარგო.

სხვა დროს იგი თავს მოიკლავდა და შვილიშვილს გარეთ არ გაატანინებდა დანას. დღეს კი არაფერი უთქვამს.

— კარგი, ბებია, არ დავკარგავ! — დაიძახა გაბღულამ და კიბეზე დაეშვა.

როცა შვილიშვილის ნაბიჯების ხმა მიწყდა, ბებია ნაგიმა კედელთან მივიდა, ჩამოიღო შვილის მედალი და დიდხანს უცქირა. მერვე სახელო გადაუსვა და ისევ ძველ ადგილას დაკიდა.

„სამავალითოს“ გამოსწორება

შინ დაბრუნებული იაკუბი საგონებელში ჩავარდა: რა ზომები უნდა მიეღო, რომ „სამავალითო“ აღარ ყოფილიყო. რით დაეწყო, არ იცოდა. იგი პატარაობიდანვე მიეჩვია ყოველი გადადგმული ნაბიჯის აწონ-დაწონას. ყოველთვის ეჩვენებოდა, თითქოს ვიწრო, მეტად მორყეულ ხიდზე მიდიოდა და სადაცაა ფეხი გადაუცდებოდა, ხიდიდან გადავარდებოდა. დედამისს იაკუბის მეტი შვილი არ ჰყავდა და მეტისმეტი სიფრთხილით ყოვლისა და ყველაფერის მიმართ შიშს უნერგავდა. იცით, რითი დაიწყო იაკუბის პირველი ნაცნობობა ცხოვრებასთან? მკაცრი „არ შეიძლებაო“. ღობეზე ასვლა არ შეიძლებაო, ქვის სროლა არ შეიძლებაო, საბირას ძაღლთან მიახლოება არ შეიძლებაო. იზრდებოდა ბიჭი და წლებთან ერთად ეს „აკრძალული ზონებიც“ ემატებოდა: ამხანაგებთან ერთად ტყეში წასვლა არ შეიძლება — დაიბნევიო, ტბაში ბანაობაც არ შეიძლება — დაიხრჩვებიო, მთაზე ნუ ახვალ — გადმოვარდები და მიწამდე სული არ დაგყვებაო. ზაფხულში უარახჩინოდ სიარული არ შეიძლება — მზე დაგსიცხავსო, გაზაფხულზე ქურქის გახდა არ შეიძლება — მაშინვე გაცივდებიო. მოკლედ ამ „არ შეიძლება“ სიცოცხლე გაუმწარა იაკუბს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ხომ თავისი დასასრული აქვს.

იაკუბის დედა ფრთხილობდა, მის შვილს ცელქი თანატოლების ჩვევები და მიდრეკილებები არ გადაეღო. იგი წამდაუწუმ აფრთხილებდა იაკუბს: „იმასთან არ ითამაშო, იმასთან არ იმეგობრო, იმას ნუ მოიყვან შინ, ამასთან ნუ დადიხარო“... იაკუბსაც რა ექნა, დედას

ყველაფერს უგონებდა და ამასობაში ამხანაგებიც ჩამოსცილდნენ. თავდაპირველად ეს ამბავი ბიჭებს აღიზიანებდა, დასცინოდნენ და ზოგჯერ მუშტებითაც უმასპინძლდებოდნენ. მერე ესეც მოგებრდათ და მთლად მიანებეს თავი. დაივიწყეს. უკვე აღარავის აინტერესებდა, ცხოვრობდა თუ არა ამქვეყნად იაკუბი. მხოლოდ დედები და ბებები ახსენებდნენ მას ხშირად: ნეტავი ჩვენი ბიჭი იაკუბისთანა იყოსო. თუმცა ჯიუტი ბიჭები ყველაფერს თავისებურად უყურებდნენ და იაკუბისაგან მაგალითის აღება სათაკილოდ მიაჩნდათ.

აი ამ დღეში იყო იაკუბი, როცა გაბდულამ და აიდარმა უხმეს. ის ჯერ დაიბნა. მერე გაიკვირვა, რადგან დიდი ხანია ის არავის დასჭირვებია და არც დაუძახნიათ, უკვე კარგა ხანია სათოფეზე არ იკარებდნენ. მაგრამ, როცა გაბდულამ მშვიდად და მეგობრულად დაუწყო ლაპარაკი, გახარებულმა იაკუბმა გაიფიქრა, მაშასადამე, ყველას არ ჩაუტენევია ჩემზე ხელი, ასეთ მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობის მიღებასაც კი მთავაზობენო. იაკუბმა არ იცოდა, რომ ზოგჯერ ერთი ადამიანის უბედურებას მეორე ადამიანისათვის ბედნიერება მოაქვს. ვაზირი ასე ბრყველად და სამარცხვინოდ რომ არ მოქცეულიყო, ადვილი შესაძლებელია, იაკუბი სამუდამოდ „სამაგალითო“ დარჩენილიყო.

სამაგიეროდ, ახლა ამ „სამაგალითო“ ცხოვრების აღსასრული დადგა.

„მაინც რითი დავიწყო? რითი?“ — ბორგავდა იაკუბი. უნდოდა ჩქარა მოეყვანა სისრულეში წინამძღოლის ბრძანება.

მგონი შურდულით დაწყება აჯობებს. შურდული ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ყველა თავმოყვარე ბიჭი ჯიბით ატარებს ამ მრისხანე იარაღს.

იაკუბმა შინ შეირბინა, დანას ხელი დასტაცა და ეზოს შორეული კუთხისაკენ გასწია. შურდულის გასაწყობი ორკაპი ტოტი შეაგულა, იქვე ჯირკვში ჩარჭობილი ნაჯახი ძლივძლივობით ამოაძრო და ხეს მიადგა. მაგრამ მარცხი განიცადა — შემთხვევით საშურდულე ორკაპის ერთი თითი გადაჭრა. გული დასწყდა. მეორე ხეზე გადაინაცვლა. ამჯერად გაუმართლდა. ორკაპი ტოტი იპოვა და კარგადაც მოჭრა. შესანიშნავი შურდული გამოვიდოდა. ოღონდ ჯერ დანით უნდა გაესუფთავებინა და გაეთალა. „ამ შურდულს წითლად შევლე-

ზავ, — გაიფიქრა იაკუბმა. — ვაზირის შურდულს დავამსგავსებ. შემდეგ მამაჩემის ველოსიპედის ძველი საბურავიდან თასმებს ავჭრი, მისი ძველი ჩექმის ყელიდან კი პატარა მრგვალ ტყავს გამოვჭრი.“ რა თქმა უნდა, აქამდე მას არასოდეს არ გაუკეთებია ასეთი იაჩაღი, მაგრამ უნახავს, როგორ აკეთებდნენ სხვები, ხელშიც სჭერია. ჰოდა, სხვებს თუ შეუძლიათ გაკეთება, ის რატომ ვერ შეძლებს? რა თქმა უნდა, შეძლებს! მერე მოაგროვებს პაწია, მრგვალ-მრგვალ კენჭებს, ცალ თვალს მოჭუტავს, რომ ზუსტად ისროლოს, და ნიშანში ამოიღებს ნალიის თავზე არხეინად მთვლემარე კატას.

იაკუბი ტკბილ ფიქრებში ისე გაერთო, რომ ვერც შენიშნა, ორკაპის გათლისას როგორ გაიჭრა საჩვენებელი თითი. სისხლმა გამოჟონა. იაკუბს შეეშინდა, დანა ხელიდან გააგდო და შეჰყვირა:

— ესეი!¹

დაიძახა და მაშინვე მიხვდა, რომ შეცდა. ბიჭებს უფრო მაგრადაც გაუჭრიათ ხელი, მაგრამ არც ერთი არ გაქცეულა დედასთან. ასეთ შემთხვევაში ისინი მოძებნიან ხოლმე შემპალი ხის მერქანს, ფშვნიან და მის მტვერს ჭრილობაზე იყრიან. აი შემპალი ჯირკიც აქვება, მის ფეხებთან გდია. გამონაჟონი სისხლი ჩამოწმინდა და ის იყო, მკურნალობას უნდა შესდგომოდა, რომ სახლიდან დედამისი გამოვარდა.

— რა დაგეშართა, ჩემო სიცოცხლევ? — სასოწარკვეთით შესძახა მან.

მაგრამ იაკუბი ის იაკუბი აღარ იყო, გულს რომ აიჩუყებდა და დედასაც რომ აღვრევიებდა სიბრალულის ცრემლებს. მან ზურგს უკან დამალა გაჭრილი ხელი და თქვა:

— არაფერი არ მომხდარა! მე შენთვის არ დამიძახნია, კატას ვეძახდი: ბესეი,² ბესეი-მეთქი.

— მაშ მე არ მეძახდი? მე კი შემეშინდა! — დედამ ღრმად ამოისუნთქა და სახლში შებრუნდა.

იაკუბმა ჯირკს შემპალი ნაწილი მოაცილა, კარგად დაფშვნა, მერე სახლისაკენ ზურგი იბრუნა და თითზე დაიყარა. ფხვნილი ვარდისფრად შეიღება, მაგრამ სისხლის დენა შეაჩერა. დაწყებული საქ-

¹ ესეი—დედა.

² ბესეი — კატა.

მის მიტოვება არ შეიძლებოდა. იაკუბმა ისევ აიღო დანა და განაგრძო მუშაობა, მაგრამ ამჯერად საქმე წინ ვერ მიდიოდა. გაჭრილმა თითმა ძალიან გაუჭირა საქმე. ჯერ ტეხა დაუწყო, მერე კი კარგა გვარიანად ასტკივდა. მეტი გზა არ იყო, იაკუბს გამოსწორების გეგმა უნდა შეეცვალა. მან საშურდულე ორკაბი მიფარებულ ადგილას გადაშალა და ფიქრს მიეცა.

რა გაეწყობა! დღეს თუ ხელებით ვერაფერს გააკეთებს, ფეხები ხომ უვნებელი აქვს! ამიტომ მან კუკრეკ-თაუზე წასვლა გადაწყვიტა. იქ წვეტიან კლდის შვერილზე ხტომას ისწავლის — წინამძღოლის დავალებას შეასრულებს. იაკუბმა ერთხელ კიდევ მოიხედა უკან, დედა ხომ არ მიყურებსო, და ნელ-ნელა გაემართა ჭიშკრისაკენ... ღობის ძირას დაგდებული ბურთი აიღო, ხან ზევით აისროლა, ხან ჭიშკარს მიანარცხა, მერე, ვითომ თამაშით გართულძა, ბურთი ქუჩაში გადაისროლა და ჭიშკარი გამოაღო. ჭიშკარმა გაიჭრიალა. ფანჯარაში მაშინვე იაკუბის დედამ გამოჰყო თავი.

— იაკუბ, საით?

— ბურთი ქუჩაში გადამივარდა. — უთხრა იაკუბმა.

სანამ დედამისი ფანჯარასთან იდგა, იაკუბი ქუჩაში თამაშობდა. დროდადრო ჭიშკარს არტყამდა ბურთს და ხმამაღლა ითვლიდა. როგორც იქნა, ფანჯარა დაიხურა. ბურთი ხალისიანად ავარდა ზევით და მთისკენ მიმავალ ორღობეში გაგორდა. ბურთს იაკუბი გამოედევნა. მიგორავს ბურთი, მისდევს იაკუბი, ცდილობს ხელში ჩაიგდოს, მაგრამ როგორც კი დაეწევა, ბურთი მაშინვე ისკუბებს და ისევ წინ მიჭრის. აი უკვე შესახვევიც თავდება. ბურთი რბილ ბალახში გაიხლართა და გაჩერდა. მაგრამ იაკუბმა თავის შეკავება ვეღარ შეძლო და სულის ერთი მოთქმით კუკრეკ-თაუს ფერდობთან მიიჭრა, ახლა უკვე უკან მოხედვის დრო აღარ იყო. იაკუბი პირველსავე კლდეზე აბობლდა. კლდეზე რუხი ლოდები ეყარა. თითო ლოდი სკივრისოდენა იქნებოდა. როცა აულის ბიჭები ომობანას თამაშობდნენ, ამ ლოდებს ეფარებოდნენ ხოლმე და ისე ესროდნენ ერთმანეთს. მაგრამ აქ თამაში ძალზე სახიფათო იყო, ფეხი რომ დაგცდენოდა, გადმოვარდებოდი და კისერს მოიტეხდი.

იაკუბმა ვარჯიში შედარებით მომცრო ლოდებიდან დაიწყო. ლოდთან ლოდზე ხტებოდა, ხელებს უხერხულად შლიდა და წონას-

წორობის შენარჩუნებას ცდილობდა. ერთხელ წაიბორძიკა კიდეც, მუხლისთავი დაარტყა და მკლავი გაიკაწრა, მაგრამ ამას არ შეუშინებია იგი და მანამდე ვარჯიშობდა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ხტომაში კარგად გაიწაფა. მერე უფრო მოზრდილ ლოდებზე გადავიდა.

ამ დროს ვინმეს თვალი რომ მოეკრა მისთვის, ძალიან გაუკვირდებოდა და ამ პატარა კაცუნას მოხტუნავე თოჯინად მიიჩნევდა. მაგრამ მას არავინ ადევნებდა თვალყურს. ყველას თავისი საქმე ჰქონდა. დედამისს კი სიზმრადაც არ დაესიზმრებოდა, რომ მის შვილს ასეთი რამეების გაკეთება შეეძლო. იაკუბი სულის მოსათქმელადაც არ კარგავდა დროს, ხტუნაობდა და ხტუნაობდა, ეს მისთვის უბრალო ბავშვური გართობა კი არ იყო, არამედ ძალიან სასწრაფო და მნიშვნელოვანი საქმე. იგი პატიოსნურად ასრულებდა თავის სიტყვას, რომელიც „სამფენას“ წინამძღოლს მისცა. მართალია, ეცემოდა და იმტვრეოდა, ლოყასა და იდაყვებზე ნაკაწრები გაუჩნდა, შუბლზე კოპი დააჯდა, მაგრამ ყოველი ნაკაწრი იაკუბის გულს კიდეც უფრო აკაყებდა და გამბედაობას ჰმატებდა. იაკუბმა მოულოდნელად სითამამე და შეუბოვრობა იგრძნო, ერთი სიტყვით, როგორც შარიფულა იტყოდა ხოლმე, ალბათ იაკუბის გულშიც არწივი ბუდობდა, მხოლოდ ეგ იყო, რომ აქამდე ფრთების გაშლა ვერ მოეხერხებინა...

ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა და იაკუბის ამბებმა სულ გადაგვავიწყა ვაზირი, რომელიც გუშინ ისე დადარდიანებული დავტოვეთ. დეე იაკუბმა განაცრძოს თავისი საქმე, ჩვენ კი ვაზირს დავუბრუნდეთ. იგი ქუჩის მეორე მხარეს ცხოვრობს, იაკუბისაგან არც ისე შორს.

„გორგალო, გურთივით მგვავალო...“

ომის დროს და ომის შემდგომ წლებშიც თითქმის ყველა ოჯახს უჭირდა. უჭირდათ ვაზირის მშობლებსაც. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ვაზირის დედას კურბანბიკას (ასე ეძახდნენ სოფელში) უცნაური ჩვეულება დასჩემდა. ქმარსა და შვილებს უმაღავდა პურს, შა-

ქარს, მარილს, კარაქს, არაყანს, ჩაის... ზანდუკის, კარადისა და საკუჭნაოს გასაღებების მთელი აცმა დაჰქონდა თან. ეს ჩვეულება კურბანბეკამ მაშინაც არ მოიშალა, როცა მათი ცხოვრება დალაგდა და ოჯახში ყველაფერი უხვად იპოებოდა. იგი ძველებურად ხარბად ითვლიდა პურის ყოველ ნაჭერს და საჭმელი მუდამ კარადაში ჰქონდა გამოკეტილი. სამაგიეროდ ტანსაცმლისა და სხვა ნივთებისადმი არავითარ ყურადღებას არ იჩენდა.

სწორედ ამის გამო იყო, რომ ვაზირი პატარაობიდანვე მიეჩვია სახლში ბუჯგურსა და ძებნას. ერთხელ, ხუთი წლის რომ იყო, მან ბაღის მხარეში ამოდებული ჭვავის კვერი იპოვა; მაგრამ ღორმუცელობა არ გამოუჩენია, თავის უმცროს ძმას — ნასიპს დაუძახა და ნახევარი იმას მისცა. მეორეჯერ მათ ლურსმნით საკუჭნაოს ბოქლომი გააღეს და რძით იჭერეს გული. მერე დედისეულ სკივრს გასაღები მოარგეს და იქიდან „სტუმრებისათვის გადანახული“ შაქარი დაითრიეს. შაქრის ნატეხი დიდი იყო, ამიტომ ნაჯახით დაამტკრიეს. მომცრო ნატეხი ნასიპს შეხვდა. ბიჭები ისე დახელოვნდნენ საკეტების გაღებაში, რომ მათ უკვე თითქმის ყველა ბოქლომის საიდუმლოება იცოდნენ. მაგრამ ბოლოს კურბანბეკას სახლში ყველა ბოქლომი მოიშალა.

მალე კურბანბეკაც მიხვდა, სად ქრებოდა მისი საგულდაგულოდ გადანახული მარაგი, მიხვდა და ბიჭები წყევლა-კრულვით აიკლო. მაგრამ ბიჭები შეუბოვრად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. ბოქლომებზე გულაცრუებულმა კურბანბეკამ ტაქტიკა შეცვალა. სკივრსა და საკუჭნაოში აღარაფერს მალავდა. ისეთ სასუსნავს, როგორცაა შაქარი ან კამფეტი, სხვენზე, ძველისძველი ქურქის ჯიბეში, თექის ჩექმის ყელში ან საკუჭნაოში ჩამოკიდებულ ქალათაში ინახავდა. კარაქმა და არაყანმა სარდაფიდან აბანოს ღუმელში გადაინაცვლა. მაგრამ ამანაც არ გაჭრა. ბიჭები დაჟინებით განაგრძობდნენ ყოველი კუნჭულის ბურჯგვენას და ყველა საიდუმლო კუნჭულს აგნებდნენ. გადანახულის აღმოჩენა ბოლოს და ბოლოს აზარტულ თამაშად და ერთგვარ საშიშ ხელობად გადაექცათ.

ამგვარი თამაშის დროს არც ფულის პოვნა იყო გამორიცხული. მოდი და ნუ გაგიხარდება! ღუმელში ხელი მოაფათურო და ჭრაქის ქვეშიდან ხუთმანეთიანი გამოაძვრინო! მერე ამ ფულით თათლის

კვერები იყიდო და ამხანაგებთან ერთად გემრიელად შეექცე. ვაზირს ასეთი რამ ძალიან მოსწონდა და ასეც იქცეოდა.

ეჰ, რამდენი წყევლა-კრულვა დასტყდომია ვაზირს თავს! ის კი მაინც არ იშლიდა თავისას. მაგრამ ფულის პოვნა მერე და მერე უფრო გაძნელდა... იპოვეს ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ კი გამჭრიახობა აღარ ეყოთ.

დღეს კი ვაზირს, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, უსათუოდ უნდა ეპოვა ფული. ეს არც თამაში იყო და არც ხუმრობა. გუშინდელი შერცხვენა უღრღნიდა გულს; ამ სირცხვილს მეგობრებთან შერიგება თუ ჩამორეცხავდა. მან სათანადო გეგმაც შეიმუშავა — იპოვოს ფული, დუქანში თაფლის კვერი იყიდოს, გაუმასპინძლდეს მეგობრებს და ამის შემდეგ სთხოვოს მათ პატიება! ჩვენს მხარეში ასეთი წესია: თუ ვინმეს დაუმსახურებლად მიაყენეს შეურაცხყოფა, მაშინ შეურაცხყოფელი განაწყენებულს უმასპინძლდება და პატიებას სთხოვს. ვაზირსაც სწორედ ასე უნდოდა გაეკეთებინა.

ღამის მორიგეობიდან დაბრუნებულ მამას წინკარში ეძინა. დედა სამუშაოდ წასულიყო. ვაზირს მოწმე არ სჭირდებოდა, ამჯერად ნადავლის გაყოფას არ აპირებდა. ამიტომ ნასიპი ტბაზე გაგზავნა ბატების სამწყემსავად. როგორც კი მარტო დაიგულა თავი, მაშინვე ფულს დაუწყო ძებნა. ყველა კუნჭული გადააქოთა. წიგნები სათითაოდ გადაათვალიერა, სამარილედან მარილი წამოყარა და კარის ლავგარდნებში ხელი მოაფათურა, ლუმელშიც შეჰყო თავი, მაგრამ ვერაფერი იპოვა. მოუთმენლობამ შეიპყრო; განაწყენებული და აღელვებული შუა ოთახში გაჩერდა და კიდევ ერთხელ ყურადღებით შეათვალიერა ყველაფერი. მოულოდნელად თვალი მოჰკრა საკმაოდ მსხვილ მატყლის ძაფის გორგალს. გორგალი ლუმელზე ეგდო. ვაზირმა სწრაფად დასტაცა ხელი, შეატრიალ-შემოატრიალა, ხელით მოსინჯა. ეტყობოდა, ნაჩქარევად იყო დახვეული. ძალიან რბილი იყო. ვაზირმა გორგალი ყურთან მიიტანა, თითები მოუჭირა. გორგალის შიგნიდან რაღაც შრიალი მოესმა. აქ რაღაც უნდა იყოსო, გაიფიქრა და სმენა დაძაბა. ისევ მოუჭირა თითები, მერე იპოვა ძაფის ბოლო და გორგალის დაშლას შეუდგა. მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, იმედი მიეცა და გულმა ძალუმად დაუწყო ფეთქვა. ასე უცემს ხოლმე გული მონადირეს, როდესაც დათვის კვალს მიაგნებს. შლიდა ვა-

ზირი გორგალს და თან სახელდახლოდ მოგონილ სიმღერას ღიღინებდა:

— გორგალო ჩემო ბურთივით მრგვალო,
ხომ არ გინახავს ჩემი ფულეზა?..

და გორგალის მაგივრად თვითონვე წამოიმღერებდა:

— მე გორგალი ვარ ბურთივით მრგვალი,
დამარღვიე და გაიგებ მაშინ...
— შენ თუ არ მეტყვი, თვითონ გაიგებ...

ჩქარობდა ვაზირი, ცოტაც და, ძაფის თხელ ფენაში უკვე გამოჩნდა რამდენჯერმე დაკეცილი მწვანე ქალაღი. კიდევ ორი ფენა და ეს ქალაღი ვაზირის ხელთ იყო. ოჰო! ამას რას ხედავს მისი თვალები! ახალთახალი ორმოცდაათმანეთიანი, ახალთახალი ოცდახუთმანეთიანი და ერთიც ხუთმანეთიანი. ეს ხომ მთელი სიმღიდირა! მაგრამ მას არ სჭირდება ამდენი.

— სამი ქალაღია, — ამბობს მხიარულად ის, — მამა, დედა და შვილი. ჩვენ შვილიც გვეყოფა.

ვაზირმა ხუთმანეთიანი ჯიბეში ჩაიდო. დანარჩენი ფული ისევ ისე დაკეცა და გორგალში დააყოლა. ახვევდა ძაფს და თან ღიღინებდა:

— გორგალო ჩემო, მრგვალო გორგალო,
დაინახე ან გაიგე რამე?
— მთვარემ დაინახა, მზემ რომ მოიტაცა...
მე კი არაფერი მინახავს...

გორგალი რომ დაახვია, იგი ძველ ადგილზე დადო და მალაზიისაკენ გაიქცა. იყიდა თაფლის კვერები და შარვლის ჯიბეში ჩაიტენა. გამყიდველმა ქალმა რატომღაც ეჭვით შეხედა, გეგონებო, ვაზირი იმ ბიჭებს ჰგავდა, რომელთაც ფულის გადახდა არ შეუძლიათ. სინამდვილეში კი გამყიდველმა ქალმა წელს ზემოთ მოშიშვლებულ ვაზირს რომ შეხედა, სულ სხვა რამე იფიქრა: ეტყობა, დედამისი დღეს სარეცხს რეცხავს, და საწყალ ბიჭს მეტი ხალათი არა აქვსო.

რა იცოდა, რომ ეს „საწყალი ბიჭი“ სხეულს იკაჩებდა.

ვაზირი შინ დაბრუნდა. თაფლის კვერი ფარდულში, მოწნული კედლის წნელებს შორის ჩალაში გადაძალა. გადაწყვიტა, რომ ხელ-

საყრელ დროს შეურჩევს და სიტყვას გადაუკრავს ბიჭებს, ეტყვის. რაღაც საიდუმლო უნდა გაგიმხილოთო; სამივენი ავლენ მთაზე, მერე ჯიბიდან სათითაოდ ამოიღებს თავის კვერებს და ბალახზე დაალაგებს. ბიჭები გაოცებულები გადახედავენ ერთმანეთს. ის კი დაიწყებს გაყოფას. ვაბდულასა და აიდარს სამ-სამ ცალს მისცემს, თვითონ კი ორს დაიტოვებს, და თუ საჭირო იქნება, იმ ორ ცალსაც არ აიღებს: ის ხომ მასპინძელი იქნება.

ვაზირი ისე გაიტაცა ოცნებამ, რომ ქვეყნად ყველაფერი გადაავიწყდა. იგი იმ წუთებში უბედნიერესი კაცი იყო.

ქუჩაში ამაყად გამოვიდა; შიშველი მუცელი წინ გამოეშვირა, ხელები კი ზურგს უკან დაეწყო, იგი თავისთავის კმაყოფილი იყო.

ამ დროს მთიდან მომავალი იაკუბი შემოეფეთა. საოცარი სანახავი იყო: მთელი სხეული დალურჯებული ჰქონდა.

— ეი, „სამაგალითო“, საიდან მოდიხარ? — დაინტერესდა ვაზირი.

— მე „სამაგალითო“ არა ვარ. მე იაკუბი ვარ. — მტკიცედ უბასუხა იაკუბმა.

— ეგ რა არის, დათვს ეომებოდი, დევვმირო?

იაკუბს მეგობრების გაფრთხილება გაახსენდა. მაგრამ რატომღაც იუხერხულა უბრად გასცილებოდა ვაზირს. თუმცა მან დაიფიცა, ხელს არ ჩამოვართმევო; ხოლო ხელის ჩამორთმევასა და დალაპარაკებას შორის განსხვავებაა. ერთი სიტყვით, იაკუბმა ვერ მოახერხა, ვაზირისათვის ამაყად აექცია გვერდი.

— მე ხბოს ვეძებდი. — ხელდახელ იცრუა მან.

— გეტყობა, ძებნის დროს კლდეზე არტყამდი შუბლს.

— საქმემ მოითხოვა. — ამოიხრა იაკუბმა. საჭიროდ არ ჩათვალა დაწვრილებით აეხსნა ყველაფერი.

— კარგად გაგილამაზებია თავი. თუმცა ეს არაფერია! ჩქარა მოვირჩება! — დაამშვიდა ვაზირმა.

იგი დღეს კარგ ხასიათზე იყო და უნდოდა, რაიმე სიკეთე გაეკეთებინა. ამიტომ იაკუბსაც, იმ იაკუბს, რომელსაც ბიჭები ყურადღების ღირსადაც არ თვლიდნენ, მეგობრულად გამოელაპარაკა და დაბეგვილ-დალურჯებული შეიბრალა კიდევ. მაგრამ ეს ცოტად მოეჩვენა და მოუნდა კიდევ რაიმეთი გაეხარებინა იაკუბი.

იაკუბს კი ამ დროს სხვა საფიქრალი ჰქონდა. რას იტყოდნენ ბიჭები, როცა გაიგებდნენ, რომ ვაზირს არა მარტო მიესალმა, არამედ წინ გაუჩერდა და დიდის ამბით ესაუბრა?!

ვაზირს რომ მისი საიდუმლო აზრები ამოეკითხა, „სამაგალითოს“ კიდევ ერთი წყვილი კოპი მიემატებოდა. მაგრამ ვაზირი ვერაფერს ხვდებოდა: როცა ადამიანი კარგ გუნებაზეა, ბრმასავითაა. ჰოდა, ვაზირი არამცთუ ვერ ხვდებოდა, რას ფიქრობდა მასზე იაკუბი, მინდა მი ისეთი კეთილი გრძობები გაუჩნდა, რომ ჯიბიდან უყოყმანოდ ამოიღო თავისი ძვირფასი, მთელ ქუჩაზე ცნობილი წითელტარიანი შურდული.

— მოგწონს? — ჰკითხა ვაზირმა.

— რატომაც არა... მომწონს.

— გინდა?

— მინდა, მაგრამ... — დაიბნა იაკუბი.

— თუ გინდა, — აიღე! მიჩუქებია.

იაკუბს თავბრუ დაესხა. თვალებში წითელი ეშმაკუნები აუთამაშდნენ.

ვაზირმა შურდული გაუწოდა.

— სანამ გაძლევენ, აიღე! — გადაწყვეტით უთხრა.

მისმა ხმამ ცოტათი გამოაფხიზლა იაკუბი.

— მე შენ რეზინის ბურთს მოგცემ, ველოსიპედის ზარსაც და ვამატებ. იცი, როგორ რეკავს! — აღელდა იაკუბი.

— არ მინდა. მე საჩუქრად გაძლევი, განა ვყიდი? ასეთი შურდულებით მთელი ყუთი მაქვს გამოტენილი...

იაკუბმა უნდობლად გაუწოდა ხელი. ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, ხუმრობდა თუ მართლა ეუბნებოდა; აბუჩად ხომ არ მივდებსო, — გაიფიქრა, მაგრამ კეთილშობილი, გულუხვი ვაზირი არც ხუმრობდა და არც დასცინოდა. იაკუბმა აკანკალებული ხელით გამოართვა შურდული და ჯიბეში ჩაიტენა.

— მე კი სამაგიეროდ... — ხელახლა დაიწყო.

მაგრამ ვაზირმა ერთბაშად შეაწყვეტინა:

— არაფერი არ მინდა. წადი შინ და სროლა ისწავლე.

— კარგი. — თავი დაუქნია იაკუბმა, მერე გარღვეულ ჯიბეზე ხელი მიიჭირა და სახლისაკენ გაიქცა.

ვაზირი რომ შემობრუნდა, ბულნური დაინახა. იკრიჭებოდა, იდლის ქვეშ წითელი ჩითის საკაბე ამოედო.

— უ, სირცხვილო! — წამოიძახა გულნურმა. — უპერანგოდ სიარული ვის გაუვია!

— წადი, წადი, შეუყევი გზას! — ხელი ჩაუქნია ვაზირმა.

— წავალ, მაშ შენ გიყურებ! მე დეიდა იამლიხესთან მივდივარ, ჩითი მიმაქვს, ლამაზი კაბა უნდა შემიკეროს! — თქვა მან და თან დაუმატა: — გაბღულა და აიღარი კილისის მეორე ბოლოში იქნებიან ახლა, მე არ წამიყვანეს. სამაგიეროდ ტოროლას დამიჭერენ. ერთს კი არა, ორს. გულნურმა იტიკტიკა, იტიკტიკა და წავიდა. ის კი არ შეუმჩნევია, მისმა სიტყვებმა როგორ დასწყვიტა გული საწყალ ბიჭს. ნათქვამია, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო. ვაზირი რამდენიმე წამის წინ ყველაზე ბედნიერად თვლიდა თავს, ახლა კი მოიწყინა, თავი ჩაქინდრა. ისევ წინანდელი დღის შიში დაეუფლა. ეტყობა, მართლა შეაქციეს მეგობრებმა ზურგი! ნუთუ ვაზირი ყველასაგან უარყოფილი იაკუბის დღეში უნდა ჩავარდეს?

რა იცოდა ვაზირმა, რომ იმ დღიდან იაკუბის ბედის ჩარხი წაღმა დატრიალდა. არ იცოდა, თორემ თავის შურდულს საკუთარი ხელით არ ჩააბარებდა...

„ამალამვე რაიმე საბაბით მეგობრებს უნდა დავუძახო, თაფლის კვერით გავუშვასპინძლდე და პატიება ვთხოვო, თორემ ჩემი საქმე ცუდად წავა...“ — გაიფიქრა ვაზირმა.

როგორ იყავა „სამაბალითო“ ჩვეულებრივ იაკუბად

იაკუბმა შედგა თუ არა ფეხი თავისი სახლის ზღურბლზე, დედა-მისს თავზარი დაეცა. სასოწარკვეთილმა ხელები საფეთქლებზე მიიჭირა და დიდხანს იდგა გახევებული, ხან გაფითრდებოდა, ხან გალურჯდებოდა, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. ბოლოს, ხელები გაასაფსავა და საზარელი ხმით წამოიძახა:

— შვილი მომიკლეს! რომელმა ცოფიანმა ძაღლმა დაგვიჯგნა, ჩემო ბიჭო!.. ოჰ, შვილი მიკვდება, შვილი!..

იაკუბი სულაც არ ფიქრობდა სიკვდილს. მშვიდად იდგა. მერე მხრები აიჩეჩა და ამაყად თქვა:

— ვთამაშობდი, დედა. კლდიდან კლდეზე დავბტობდი! ეს ძალიან სახალისო თამაშია, მაგრამ მოულოდნელად ფეხი დამიცდა და...

გულემემ-აპაი განაგრძობდა მოთქმას.

— ალბათ ყველაფერში ის საძაგელი ვაზირია დამნაშავე. დამაცადოს ერთი, ქალი არ ვიქნები, თუ გამგებოში არ მივიდე და ჭკუაზე არ მოვაყვანინო ეს თავზეხელაღებული ხულიგანი!

იაკუბი შეკრთა. მას არ შეეძლო დამშვიდებით მოესმინა, როგორ სწამებდნენ ცილს იმ ადამიანს, რომელმაც არნახული გულუხვობა გამოიჩინა და თავისი შურდული ახუტა. ყელში რაღაცა მოაწვა.

— დედა, ვაზირს თავი დაანებე. იგი ამიერიდან ჩემი მეგობარია. მე თვითონ წავბორძიე და დავეცი. ხოლო ვინც თავისით ეცემა, მას წუწუნი არ ჰმართებს. — დარბაისლურად უთბრა იაკუბმა.

დედამისი კი უარესად აღელდა.

— არა, ეს ტყუილია, შენ სხვა ბიჭებს არ ჰგავხარ, შენით არ წაიქცეოდი, რამდენჯერ გაგაფრთხილე, ვაზირის სიახლოვეს არ დავინახო-მეთქი! რამდენჯერ გითხარი, იმ საძაგელთან ნუ მეგობრობ-მეთქი!..

იაკუბი მიხვდა, ვერაფრით ვერ დაარწმუნებდა დედას ვაზირის უდანაშაულობაში. მოულოდნელად მას მეტად უცნაური აზრი მოუვიდა თავში.

— რადგან ასეა, დედა, — თქვა მან, — შენ თვითონ დაინახავ, როგორ გავალ იმ თელაზე და კენწეროდან გადმოვხტები. გადმოვხტები და თვალსაც არ დავახამხამებ!

იაკუბმა მუქარა მაშინვე შეასრულა. ღობის მახლობლად განმართობით მდგარ თელასთან მიიბრინა... ის იყო აბობლვა დააპირა, რომ დედამისი დაეწია და წელში სწვდა.

სიმაართლე რომ ითქვას, იაკუბს წინათაც არა ერთხელ უცდია ამ ხეზე ასვლა; უცდია და ტყუილად გარჯილა. ახლაც ძალზე საეჭვო იყო, რაიმე გამოსვლოდა, მაგრამ დედამისი მისმა მოულოდნელმა საქციელმა შეაშფოთა.

— ნუ სულელობ, ჩემო ბიჭუნო, — უთხრა მან აკანკალებული ხმით, თან ეხვეოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა მოეშორებინა ხისთვის. „ჭკუაზე თუ შეირყა ბავშვი“. — გაიფიქრა შეშინებული.

და მართლაც, არც შეიძლებოდა, იაკუბის ასეთი მოქმედება უცნაურად არ სჩვენებოდა. აქამდე იგი ყოველთვის იმას ასრულებდა, რასაც დედამისი უბრძანებდა.

— შვილიყო!.. შვილიყო!.. — შიშითა და ძრწოლვით იმეორებდა გულემეშ-აბაი.

მაგრამ იაკუბს არაფრის მოსმენა არ სურდა, ხელიდან უსხლტებოდა და ისევ თელისკენ მიიწევდა.

— გამიშვი-მეთქი! გამიშვი! რახან ვთქვი, გადმოვხტები-მეთქი, უნდა გადმოვხტე კიდეც.

გულემეშ-აბაის ილაჯი გაუწყდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ბიჭს საშინელი ფათერაჟი შეემთხვა, და ჩუმი, ალერსიანი ხმით ამშვიდებდა; სწორედ ისე, ჭკუაზე შემცდარებს რომ ამშვიდებენ:

— ყი, შვილო, გადმოხტები, რა თქმა უნდა, გადმოხტები, ოღონდ ხვალ, კარგი? ახლა შინ შევიდეთ, ნაღებს გაჭმევ. ნამცხვარსაც მოგცემ...

გემრიელი საჭმელების ხსენებაზე იაკუბმა წეწვა-გლეჯას თავი ანება. შიმშილისაგან გული უწყალდებოდა. რა იცოდა, რა შიში აწამებდა დედამისს. თავს გამარჯვებულად თვლიდა. „ხომ დავარწმუნე დედაჩემი, რომ გადმოხტომა შემიძლია!“ — ამბობდა გუნებაში.

გულემეშ-აბაის ხელი არ გაუშვია შვილისათვის, ისე შეიყვანა სახლში.

იაკუბი მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ერთ წამში შესანსლა ერთი ფინჯანი ნაღები, მერე კი ნამცხვრის გროვას მიადგა და სულ გაათავა. კიდევე შეჭამდა, მაგრამ შერცხვა, ველარ მოითხოვა.

გულემეშ-აბაი თვალს არ აცილებდა შვილს. გულგახეთქილს თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა: „რა ვქნა? მამამისიც წავიდა და გადაიკარგა. აქ კი ასეთი უბედურება დავგატყდა თავს...“

— გტკივა, შვილიყო? — იარებზე ანიშნა დედამ.

— არა, — უპასუხა იაკუბმა და შუბლზე დასმულ კობებზე მოისვა ხელი.

დედას გული მოეწურა. „ნუთუ ისე აერია ტვინი, რომ ტკივილსაც ველარ გრძნობს?“ — გაიფიქრა მან.

— მიწექი, შვილო, ალბათ ძალიან დაიღალე. — უთხრა და ლოგინის დაგებას შეუდგა.

იაკუბი დილას აქეთ ებრძოდა „სამაგალითო იაკუბს“ და საკმაოდ დადლილიც იყო, ამიტომ წინააღმდეგობა არ გაუწევია. მაშინვე მიწვა. თედოზე რაღაც მკვრივი საგნის შეხება იგრძნო. მოისინჯა — შურდული იყო. ესე იგი შურდული ადვილზეა. თავისი დადლილობა სულ მთლად გადაავიწყდა. ის იყო უნდა წამომხტარიყო, რომ რაღაც ფიქრმა გაუელვა. გაინაბა. თავი მოიმძინარა და ხერხინვაც ამოუშვა.

დედამ დახედა, რა ჩქარა ჩაეძინაო, გაიფიქრა და ფრთხილად გაემართა კარებისაკენ. იგი ტყისმცველთან აპირებდა ასვლას. ტყისმცველის სახლი სოფლიდან ერთი კილომეტრით იყო დაშორებული. მისი ქალიშვილი ექიმი გახლდათ და ამ რამდენიმე დღის წინათ თავისი შვილებით დასასვენებლად ჩამოსულიყო მამასთან. სწორედ მასთან მიდიოდა ახლა გულემეშ-აპაი, უნდა ეთხოვა, შვილი გამისინჯო.

ჯერ სახლის კარმა გაიჭრიალა, შემდეგ კი ჭიშკარი გაიღო. იაკუბი წამოხტა და ეზოში გამოვარდა, მესერის ღრიტეში გაიჭვრიტა, აინტერესებდა, სად მიდიოდა დედა. „ეტყობა, გამგეობაში არ მიდის, არც ვაზირთან. — გაიფიქრა მან, რადგან გულემეშ-აპაი სულ სხვა მხარეს, სოფლის ბოლოსაკენ გაემართა. იაკუბი დამშვიდდა და შურდული აიღო. დიდხანს ატრიალა, აღტაცებული დასცქეროდა მის წითელ ტარს. უკვე დრო იყო საქმეს შესდგომოდა. აივნის წინ სილა და წვრილ-წვრილი კენჭები ეყარა. იაკუბმა გამოარჩია მრგვალ-მრგვალი კენჭები, ჩაყარა ქუდში და მოხერხებულად მოიკალათა. ახლა, ვიდრე ისროდა, ნიშანში უნდა ამოელო რამე. ბევრი ფიქრი არ იყო საჭირო. აი სათავსოს მახლობლად ბოძზე ჩამომხობილი მწვანე ვედრო! უკეთეს მიზანს იპოვი სადმე? იაკუბმა ჩადო შურდულში მრგვალი კენჭი, დაუმიზნა. დიდხანს აჭიანურებდა, ხან ერთ თვალს ჭუტავდა, ხან მეორეს. ბოლოს მოჭიმა რეზინი, ძალიან მაგრად მოჭიმა, მერე უცებ გაუშვა ხელი... საით გაფრინდა ქვა, მას არ დაუნახავს, რადგან რეზინი ისე მაგრად მოხვდა ნატკენ თითზე, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. ეს რომ ადრე მოსვლოდა, იაკუბი მაშინვე გადაავდებდა შურდულს და ატირებული გაიქცეოდა დედასთან. მაგრამ ის დრო წავიდა. მარცხმა უფრო წააქეზა ბიჭი. ნატკენი თითი ტუჩებთან მიიტანა, სული შეუბერა და ხელმეორედ შეუდგა შურდულის მომართვას. გაისროლა მეორეჯერ, მესამეჯერ, მეოთხეჯერ,

მეხუთეჯერ, მაგრამ მწვანე ვედრო კვლავ უძრავად ეკიდა თავის ადგილზე.

იაკუბი აივნიდან ჩამოვიდა. სათავსოსაკენ ორი ნაბიჯი გადადგა, ახლა ფეხზე დამდგარი ვცდი ბედსო, და მეექვსეჯერ გაისროლა. ვედრომ ყრუდ გაიწკრილა, მრგვალი ქვა გვერდზე გაეხახუნა და ბალახში დაეცა.

— ერთ ბლინს კარაქი წავუსვით! — აღტაცებით წამოიძახა იაკუბმა.

ეს სიტყვები ხომ ვაზირისაგან ჰქონდა გაგონილი და ახლა თვითონაც სიამოვნებით გაიმეორა.

მაგრამ მეორე „ბლინს“ ვერა და ვერ „წაუსვა კარაქი“. ის უკვე სულით ეცემოდა, იფიქრა, თავს გავანებებო, მაგრამ ქვამ მოულოდნელად სხვა მიზანი მონახა — მწვანე ვედრო არც განძრეულა, სამაგიეროდ სათავსოს სარკმლის ზედა ჩარჩოდან ხმაურით ჩამოცვივდა მინის ნამსხვრევები. ამ დროს ჭიშკარმაც გაიჭრიალა, მაგრამ იაკუბი ისე იყო სროლით გართული, რომ ვერაფერი გაიგო. მან ხელმეორედ მოჭიმა რეზინი, ჯიუტად დაუმიზნა ვედროს, მაგრამ ახლა სათავსოს სარკმლის ქვედა ჩარჩოდან გადმოცვივდა მინის ნამსხვრევები.

გულემეშ-აპაი და ექიმი, რომლებიც ის-ის იყო ეზოში შემოვიდნენ, გაოცებულები შეჩერდნენ. დედამ შეჰკივლა და შვილს ხელებში ეცა.

— იაკუბ, ჩემო ბიჭიკო!

ბიჭმა ძლივს მოასწრო შურდულის დამალვა. გულემეშ-აპაის კი სულ არ ეცალა შურდულისათვის.

— ესაა თქვენი ავადმყოფი შვილი?

— დიახ, ეს გახლავთ, ჩემი ერთადერთი...

იაკუბი შინ შეიყვანეს... ექიმმა ყელში და თვალის გუგებში ჩახედა. მერე საწოლზე დააწვინა და მუცელი მოუსინჯა. ყურებში რეზინის მიღები ჩაიღო — დიდხანს დაკვირვებით უსმენდა ბიჭის ფილტვებსა და გულს. ამას რომ მორჩა, მერე ისევ თვალის გუგებში ჩახედა.

— თქვენი ბიჭი სავსებით ჯანმრთელია. — თქვა მან.

— როგორ? განა ჯანმრთელი ბავშვი შეიძლება ამ დღეში იყოს? სულერთთავად დაჟეჟილი და დასისხლიანებული?

— ავად რომ ყოფილიყო, მაშინ ვერც ხტომასა და სირბილს შეძლებდა. ასე არაა, ვაჟკაცო? — გაიღიმა ექიმმა.

„ვაჟკაცმა“ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

დედა კი თავისას გაიძახოდა:

— რა წამალი უნდა დავადო ჭრილობებზე?

— არავითარი წამალი არაა საჭირო, გაუფლის...

„რა უგულო ექიმია“. — გაუელვა გულემემ-აბაის. პაგრამ ის ცდებოდა. ექიმს გული ჰქონდა და მერე როგორი გული! ოღონდ ის იყო, ვერ იტანდა, როცა ვინმე ტყუილუბრალოდ განგაშს ატეხდა ხოლმე. მან სწრაფად ჩაალაგა ხელსაწყობები პაწია ჩემოდანში, თქვა, „ნახვამდისო“, და წავიდა.

„რას იზამ, ალბათ ასეა საჭირო“. — გაიფიქრა შეშინებულმა გულემემ-აბაიმ. მთელი დღე სდარაჯობდა შვილს, ეზოშიც არ უშვებდა. მიმწუხრზე, როცა ფარა საძოვრიდან დაბრუნდა, გულემემ-აბაიმ ნახა, რომ მისი ხბო არ ჩანდა. შეწუხდა. საძებრად წასვლა დააპირა წასვლის წინ შვილი გააფრთხილა: იცოდე, ეზოში გასული არ დაგინახო!

არც ამ გაფრთხილებას დასჯერდა, შეიძლება არ გამიგონოსო, და კარი გარედან ჩარაზა. ასე რომ არ გაეკეთებინა, შესაძლოა, იაკუბს დაეჯერებინა კიდევ მისთვის და შინიდან გასვლა არ ეფიქრა. მაგრამ, აბა, როგორ შეეძლო დამშვიდებული მჯდარიყო ასე თხასავით გამომწყვდეული! იაკუბი ფანჯრიდან ეზოში გადაბობდა. იმ სამი დღიდან, მას „სამფეხას“ წინამძღოლმა რომ გამოუყო, ერთი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. იაკუბს ეშინოდა, ვაითუ ვერ მოვასწრო და კარგად ვერ გამოვიწროთო. ამიტომ მან ისევ მოიმარჯვა შურდული და, სანამ დედა მოვიდოდა, აბანოს მიღს ქარსაცავი წააცალა, სახლის გვერდით ქვაზე შემოდებული ქოთანის გატეხა. მეზობელი დედაბრის კიუნბიკას სპილენძის თუნგს კი გვერდი შეუჭყლიტა. მართალია, კიუნბიკას არაფერი დაუნახავს და არც გაუგონია, სამაგიეროდ მეორე მეზობელმა ატეხა ერთი ალიაქოთი:

— შენ რა, — შეუტია მან იაკუბს, — მეორე ვაზირი გაგვიხდი? თურმე კარგ მშობლებსაც შეიძლება გაუჩნდეს უვარგისი შვილი! თითქოს არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს! მოიცა ერთი, დედაშენი დაბრუნდეს! საძაგელო ბიჭო...

იაკუბს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე პირველად უწოდეს

„საძაგელი“, მაგრამ ამ სიტყვას ის სულაც არ აუღელვებია. მან იცოდა, „საძაგელსა“ და „უვარგის“ ბიჭზე არაეინ იტყოდა: „აი, მაგალითი ამისგან აიღეთო“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან სოფლის ბიჭები აღარ დაუძახებდნენ მას „სამაგალითოს“.

ტაში თევზი თამაზობს

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა. პატარა, მკვირცხლი ტალღები მთელი დღე ქარს ეთამაშებოდნენ, შხუილით ელამუნებოდნენ ნაპირს. შემოღამებისას, თითქოს დაიღალნენო, უცებ მინავლდნენ. შეიძლება გიყმაყმა ქარმა ინება მათი მოსვენება, თვითონ კი მთებში, ფიჭვის ხშირ ტოტებში, სანავარდოდ გაეშურა. ქარი, აბა, რისი ქარია, თუ საქმეს არ გაიჩენს.

ჩიტებს კი გალობისათვის და ჭიკჭიკისათვის მუდამ ერთი და იგივე დრო აქვთ ამოჩემებული. მათ მაინცდამაინც არ ეხალისებათ გალობა შუადღის პაპანაქება სიცხეში. სამაგიეროდ მიმწუნარზე, როცა სიგრილე მოიცავს კილისის ტბის სანაპიროს, ყოველი ბუჩქიდან გაისმის ჯადოსნური ხმები. დაჯექი და უსმინე რამდენიც გინდა!

თევზებსაც უყვართ თამაში. დილა-სალამობით ისინი სანავარდოდ გამოდიან წყლის ზედაპირზე. ყურყუმელაობენ, პატარ-პატარა წრეებს ტოვებენ, ზოგიერთი კი, უფრო თამაში, წყლიდანაც ამოხტება ხოლმე. მზეზე გაიღვებებს ვერცხლისფერი ქერცლით, თითქოს ამით გეუბნება, ნახე, რა ლამაზი ვარო!

ახლოვდებოდა დღე, როცა მრავალი ნაფოტა და წითელფარფლა თევზი გამოემშვიდობებოდა კილისს და კირამეტის მწვერვალზე უცხო ტბაში გადაინაცვლებდა. ისინი ველარასოდეს დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ კილისს! ეს არ იცოდნენ თევზებმა, თორემ რა ათამაშებდათ ასე უდარდელად?

ჩიტებზე კი ამას ვერ იტყვი. ჩიტები შორეულ და გაუვალ ტყეებშიც რომ გადაკარგო, მაინც სწრაფად მოაგნებენ თავიანთ ბუდეებს. აი რატომა მიწაზე ცხოვრება კარგი! რაც არის, არის, ნუ ვიკამათებთ ამაზე. დეე თევზებმა და ჩიტებმა ინავარდონ თავისთვის. ჩვენ კი შევიხედოთ ტბისპირა ტირიფნარში. იქ ლაქაშებში პირველად

კუპრივით შავ თავს მოჰკრავთ თვალს, მერე კი — წითურს. რა თქმა უნდა, დაბურულ ლაქაშებში ძნელია მათი გამოცნობა, მაგრამ, თუ ცოტას კიდევ დაუყვირდებით, მიხვდებით, რომ ეს წინამძღოლი გაბდულა და მისი განუყრელი მეგობარი აიღარია, და რომ ისინი მეტად მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად მოსულან. დიას, „სამფეხას“ ეს ორი წევრი მორდას წნავს.¹ აიღარმა ამ საქმეში ისეთი სიმაჩვევ გამოიჩინა, რომ გაბდულამ გოდორყურის დაწვნა მთლიანად მას მიანდო, თვითონ კი სრულიად უბრალო საქმე იკისრა: ლელიანში მოქნილ ლერწებს არჩევდა, ჭრიდა ბებიასეული დანით, მერე ასუფთავებდა და აიღარს აწვდიდა.

— ყოჩაღ, ძმაო, ოქროს ხელები გქონია! — გაიძახოდა გაბდულა. მის ხმაში აიღარისადმი დიდი პატივისცემა და მოწიწება იგრძნობოდა, შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ეპირფერებო. რას იზამ, როცა შენ თვითონ გაკეთების უნარი არ შეგწევს, ისღა დაგრჩენია, სხვას შესციცინო ხელებში.

და მართლაც, სასიამოვნო სანახავი იყო აიღარი. დამსკდარ-დაშამრული ხელებით სწრაფად და შეუსვენებლად წნავდა კალათს. ტირიფის გრძელი და მოქნილი ლერწები აბრეშუმის ლენტებივით დასრიალებდა მის თითებში, თითქოს გოდორყურს კი არა, რაღაც ძვირფას ბაფთასა ქსოვდა. მას ერთხელაც არ დაუტრახანია თავისი ოსტატობით. სახეზე თვითკმაყოფილების ნატამალიც არ აჩნდა. დროდადრო ცხვირს ასრუტუნებდა და გაფაციცებით აკეთებდა თავის საქმეს.

სწორედ ასეთები არიან ჭეშმარიტი ოსტატები!

თევზები დანავარდობდნენ, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ბიჭები წნავდნენ, და არავინ აქცევდა ყურადღებას უპერანგო ბიჭს, რომელიც ქურდულად მოიკვლევდა გზას ლაქაშებში. მერე მუცელზე გაწვა, ბალახი გადასწია და აქედან უთვალთვალეებდა ბიჭების ფუსფუსს. წამწამებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა, თითქოს მზე უჭვრიტინებს თვალეებშიო. სინამდვილეში კი ბიჭი ყველაფერს კარგად ხედავდა და ამჩნევდა... უცებ რაღაც მოისაზრა. ლელი ჩაბლუჯა, დაგრისა და ცხენის კუდივით გამონასკვა. ჩვენთან, ტყიან მხარეში, როცა ადგილის დამახსოვრება უნდათ, ხშირად ტოვებენ ასეთ ნიშანს. ეტყობა, ეს

¹ მორდა—ტირიფის ტოტებისაგან დაწნული გოდორყური, რომელსაც თევზების საჭერად იყენებენ.

ბიჭი შემდეგშიც აპირებდა აქ მოსვლას და ამიტომაც განასკვა ლელი. კილისის მიდამოები ვრცელია. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან გაუვალი ლაქაშებია — ადვილად აგებნევა გზა-კვალი.

ჩვენს სოფელში ზაფხულობით ბევრი ბიჭი დადის უხალათოდ და უბერანგოდ; რას იზამ, სხეულს იკაჟებენ. მაგრამ ისეთ მარდსა და ამავე დროს ფრთხილს, როგორც ვაზირია, მთელს არწივეთში ძლივს იპოვით, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მისი მრგვალი სახე, მოხამხამე თვალები, სწრაფი კატისებური მოძრაობა, ის მაშინვე შეიცნობს ამ ბიჭს.

ყველაფერი რომ შეამოწმა, რაც აინტერესებდა, ვაზირი ფრთხილად გაბობლდა უკან, ხშირ ტყეში, მწყერივით ჩაყვინთა ბალახებში და გაქრა...

გაბდულამ და აიდარმა დაამთავრეს თავიანთი საქმე. ახლა კი ტკბებოდნენ თავიანთი ნახელავით; მშვენიერი გოდორყური გამოუვიდათ! აიდარი ნამდვილი ოსტატივით გულდასმით სინჯავდა თავის ნამუშევარს, რამდენჯერმე გაალო და დახურა მორდას თავსახური. შეათვალიერა. ამის შემდეგ ბიჭებმა შარვლები გაიხადეს და წყალთან მივიდნენ. აიღეს დიდი ქვა, გოდორყურის ფსკერზე მოათავსეს და გოდორყური წყალში შეათრიეს. მორდა მაშინვე არ ჩაძირულა, ამიტომ ბიჭებმა იგი ლაქაშებს გამოაბეს. იმის შიშით, რომ თევზებთან კიბორჩხალებმა არ შეაღწიონო, მათ ძალზე მჭიდროდ დახურეს თავსახური და მერე ტირიფის ქერქითაც კი დაამაგრეს. მეთევზეები გამოცდილი ხალხია. თავისი საქმის ყადრი იციან. მათ ისიც იციან, რომ ზაფხულის ამ პერიოდში სისულელეა გულსელდაკრეფილი იკდე და ელოდო, როდის შეეხებება გოდორყურში თევზი, და ამ ლოდინში შეიძლება მთელი ზაფხულიც გავიდეს. მათ გადაწყვიტეს, დილიდანვე მოეტანათ ოთხი ანკესი და შესდგომოდნენ თევზაობას. მხოლოდ თევზი სწრაფად უნდა ამოეგდოთ, თორემ ანკესს გადაყლაპავდა და მოკვდებოდა.

ტბაში უამრავი თევზი ირეოდა, მათგან მთელი ტბა ვერცხლისფრად ბზინავდა. ბიჭებს ეჩვენებოდათ, რომ ამ მოცქრიალე თევზებს ერთი სული ჰქონდათ, როდის წამოეგებოდნენ ანკესს და ახალ, მათთვის უცხო ტბაში გადაინაცვლებდნენ. ვის არ უყვარს მოგზაურობა, ვის არ აინტერესებს უცხო მხარეში ხეტიალი?

— ითამაშეთ, ითამაშეთ, — მზრუნველობით თქვა გაბდულამ, — მოვა დრო და კიდევ უფრო გალალდებით!

ბიჭები საქმეს მორჩნენ და სოფლისაკენ გაეშურნენ.

დილა იყო წვიმიანი

ჩვენს მხარეში ზაფხულის წვიმებმაც იცის გაჭიანურება. თუ გაწვიმდა, მერე დარს ნულარ ელი. დღე და ღამე გულის გამაწვრილებლად შხრიალეხს. ასეთ ამინდზე ამბობენ, გადაუღებლად წვიმსო; სამაგიეროდ მიწა წყურვილს იკლავს და იმ პატარა ბიჭის ბაგეებივით ლაპლაპებს, რომელმაც ეს-ესაა ერბოიანი ფაფა მიირთვა.

წვიმა შუალამისას წამოვიდა, დილითაც გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ ოთხი ბიჭი ოთხ სხვადასხვა სახლში უსაქმოდ არ იჯდა. გაბდულამ ნახირთან მიდენა თავისი ურქო წაბლა და აიდარს შეუარა. მათ ოთხი საკმაოდ საიმედო ანკესი დაამზადეს, ძველი სათევზაო ბადისაგან შეკერეს ტომარა და ბელის უკან ჭიყვლელების ძებნას შეუდგნენ.

— წვიმა კი ასხამს და ასხამს. ეჰ, ბედი არ გვწყალობს! — გულმოსულად თქვა გაბდულამ. — დრო გვიპოვა რაღა! რა დროს გვიმტყუნა!

აიდარმა მეგობრის დამშვიდება სცადა:

— იწვიმოს, რა გენალვლება. იწვიმებს, იწვიმებს და გაჩერდება. სამაგიეროდ პურის მოსავალი კარგი იქნება, ხვალაც ამ თვისაა და, გარდა ამისა, წვიმის შემდეგ თევზი უფრო მეტად ეტანება ანკესს.

— დიდი უღარდელი ვინმე კი ხარ, — გაბრაზდა გაბდულამ, — საკუთარი თავით ვერაფერს მოიფიქრებ! ნავი რომ არის საჭირო... გიფიქრია ამაზე?

— ნავი? ნავი რილასთვისაა საჭირო? თევზი ნაპირთანაც ბლომად არის.

— ესლა გვაკლია პატარა ბიჭებივით ნაპირზე ლიფსიტებს ვდიოთ! — თქვა გაბდულამ და ამაყად დაუმატა: — ის დრო უკვე წავიდა!

მართლაც, ვინც ნამდვილ მეთევზედ თვლის თავს, იგი არასოდეს დაჯდება ანკესით ნაპირთან; დიდი თევზები ტბის შუაგულში დატურავენ და ნამდვილი მეთევზეც იქ გადის ნავით სათევზაოდ.

— რა გაეწყობა, მოვიფიქროთ რამე. — დაეთანხმა აიდარი... — სხვათა შორის „სამაგალითოს“ ბაბუა ქალაქში გაემგზავრა, ნავს კი უზარმაზარი კლიტე დაადო. აი, კლიტეს გასაღებს რომ მოვარგებდეთ...

წინამძღოლმა ბრძანება გასცა:

— „სამაგალითო“ იაკუბს დაევალოს ნავის შოვნა!

ამ დროს ვაზირის სახლში ასეთ სასიამოვნო საუბარს გაიგონებდით:

— დილაადრიან ნამცხვრებისათვის ცომი მოვზილე, — თქვა კურბანბეკა-აპაიმ, — ვიფიქრე, მოდი ერთი, ჩემს ბაღებს ბლინებით გავუმასპინძლები-მეთქი. ახლა ლუმელს გავანტრებ და...

— ერბოს რომელ მხარეზე წაუსვამ? — იკითხა ნასიპმა. — პრილა მხარეზე თუ ხორკლიანზე?

— პრილაზეც და ხორკლიანზეც, განა ორივე მხარეს რომ წავუსვა, უფრო გემრიელი არ იქნება? აბა გაიქეცი, ხმელ-ხმელი შეშა მომირბენინე.

— რა კარგია! — სიამოვნებისაგან პირი გააწყლაპუნა ნასიპმა და შეშისათვის გაიქცა.

დედამ ვაზირსაც გამოუძებნა საქმე.

— აბა, ვაზირ, გაიქეცი ერთი ბებია იამლეგულთან და ტაფა სთხოვე, ორ ტაფაზე უფრო სწრაფად გამოცხვება. მხოლოდ იცოდე, ახლავე აქ გაჩნდი.

ვაზირს წინააღმდეგობა არ გაუწყვიტა. სხვა დროს იტყოდა: „შენს ნასიპს დაავალეო“. მაგრამ ახლა არ აჭიჭყინებულა, შიშველ ფეხებზე მამამისის ჩექმები წამოიცვა და ეზოში გავარდა.

— ვაზირ! — დააწია კურბანბეკამ. — სად გარბიხარ უხალათოდ, ხალხი გინდა აცინო? მამაშენის ქურთუკი მაინც გადაიცვი, ვერ ხედავ, როგორ წვიმს!

მაგრამ ვაზირს არც მოუხედიო. მის მაგივრად ნასიპმა უპასუხა.

— რას ამბობ, დედა. რად უნდა ქურთუკი, ის ხომ სხეულს იკაჟებს. ჩვენი ვაზირი ისეთი ღონიერი გახდება, ისეთი... აი დევგმირე-

ბი რომ არიან! შენ თვითონ ნახავ. მარქენალი ხარი რომ შეხვდეს სადმე, ნეკით დასცემს მიწაზე!

— „დასცემს, დასცემს“... აი ნახავ, რომ გაცივდება და ხველას დააწყებინებს... მაშინ...

— დევგმირები არასოდეს არ ცივდებიან!

— აი კიდევ მეორე სულელი! შენდა მაკლდი... ყბედო შენა! — გაბრაზდა კურბანბიკა.

კურბანბიკა კარგ ხასიათზე იყო. უფიდან ჩამოსულმა სათვალისანმა რწმუნებულმა გუშინ მუშაობა შეუქო:

— კარგად მუშაობ, კურბანბიკა, უკვე რაიონის მოწინავე მუშა ქალებს გაუტოლდი.

— გმადლობთ, გმადლობთ! — უპასუხა გახარებულმა კურბანბიკამ. — თქვენი კეთილი სიტყვა ჩემი სულის საზრდოა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დღევანდელი ბლინებისათვის ცომის საფუარი ჯერ კიდევ გუშინ გაამზადა კურბანბიკამ. ქებით გახარებულმა დედამ გადაწყვიტა, შვილებიც გაეხარებინა. ღუმელი ჩქარა გახურდა. ტაფაზე საამურად შიშინებდა და იბრაწებოდა ბლინები. ვაზირი კი წავიდა და წავიდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

ნავს ცურვას ვასწავლი...

ყველა სახლი ქუჩის გასწვრივ ჩამწყრივებულყო. მხოლოდ ბებია იამლეგულის პატარა სახლი ფარასჩამორჩენილ თხასავით მარტოდმარტო იდგა ტბისპირა შესახვევის შორეულ კუთხეში. იქნებ რაღაცაზე განწყენებულმა ზურგი შეაქცია აულს? არა, ამის გაფიქრებაც კი შეუძლებელია: მთელი აული სულს არ დაზოგავს იამლეგულისათვის; ყოველთვის პურ-მარხით ხვდებიან და ხშირად ეპატიებებიან სტუმრად.

ამ პატარა სახლსაც აქვს თავისი ბედი და ისტორია. ოდესღაც მისი პატრონი მირზაბაი ჩინებული მეთევზე გახლდათ. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „მეთევზის ადგილი წყლის ახლოსაა“, და მანაც ტბის პირას ააშენა სახლი. ის და ბებია იამლეგული სიამტკბილობით ცხოვრობდნენ და ზრდიდნენ შვილებს. მაგრამ ერთხელ, როდესაც

ტბა მშვიდად მიაგორებდა ტალღებს, მირზაბაის სახლს უბედურება ეწვია: ომი დაიწყო და ბებია იამლეგულის ორი ვაჟიშვილი ომში წავიდა. წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. ამას ისიც მოჰყვა, რომ გამარჯვების წინაღობებში გარდაიცვალა მირზაბაი. როცა ომი დამთავრდა და საქმეები აულში უკეთესობისაკენ წავიდა, კოლმეურნეობის გამგეობამ დადგენილება გამოიტანა, მირზაბაის სახლი აულის ცენტრში გადავიტანოთ. მაგრამ ბებია არ დათანხმდა, „იმ ადგილიდან ფეხს არ მოვიცვლი, სადაც ჩემი ბიჭები დაიხარდნენო“.

ბებია იამლეგული სახლის გადატანაზე რომ დათანხმებულიყო, მაშინ მისი ეზოდან კურბანბეკამდე ერთი ხელის გაწვდენაღა იქნებოდა და ტაფის მოსატანად წასული ვაზირი აქამდე ასჯერ დაბრუნდებოდა. ახლა კი წავიდა და დაიკარგა.

ვაზირმა ტალახში ფეხების ტყაპატყუპით მიიბრინა შესახვევის ბოლომდე. ბებია იამლეგულის ჭიშკართან შეჩერდა და თვალი გადაავლო ტბას. ნაპირზე თავჩაქინდრული ბატები ისხდნენ. ლაქაშები მიწაზე გართხმულიყო. ნაპირიდან ცოტა მოშორებით კი ტალღებზე ქანაობდა ეული ნავი. წვიმის ფარდის იქით ვაზირის გამპრიახმა თვალმა ადამიანის ნაცნობი ფიგურა გაარჩია, რომელიც უგერგილოდ ხმარობდა ნიჩაბს.

— ვაჰ! ეს ხომ იაკუბია!

ვაზირს თავიდან მაშინვე ამოუფრინდა ტაფაცა და ნამცხვრებიც. როგორ შეეძლო არ გაქცეულიყო და არ ეცქირა ნავით მოსეირნე იაკუბისათვის, ეს ხომ მის ძალ-ღონეს აღემატებოდა! სად გავონილა „სამაგალითო“ იაკუბი თავსხმა წვიმაში ტბას სერავდეს ნავით?

ვაზირი ნაპირისაკენ გაიქცა და ლაქაშებს ამოფარებული უთვალთვალეებდა ამხანაგს.

იაკუბს ნაპირისაკენ არ გაუხედავს და არც დაუნახავს ვაზირი. ის მთელი ძალით აწვებოდა ნიჩაბს, ცდილობდა, დაემორჩილებინა ნავი, მაგრამ ნავი არ უჯერებდა, ხან უმწეოდ ტრიალებდა ერთ ადგილზე, ხან წინ მიექანებოდა, ხანაც გვერდზე შემობრუნებისას საგრძნობლად იხრებოდა. ნაპირიდან მონაბერი ქარი ნელ-ნელა მიაქანებდა შუაგული ტბისაკენ.

ვაზირმა ვერ მოითმინა:

— ჰე, „სამაგალითო“, მანდ რას აკეთებ? — გასძახა მან.

იაკუბმა დაბნეულად მიმოიხედა, მაგრამ მაშინვე გამოერკვა:

— პაპაჩემის ახალ ნავს ცურვას ვასწავლი! — ყვირილით უპასუხა მან.

— ჰაიტ, შე უხეირო მასწავლებლო! სად გაგონილა, იჯდე და ისე უსვამდე ერთი ნიჩბით? ფეხზე ამდგარმა უნდა მოუსვა. ადექი ახლავე! — უბრძანა ვაზირმა.

იაკუბი გვერდზე გადაიხარა და შიშით გადახედა წყალს.

— აქ ძალიან ღრმაა და ნავიც იმიტომ ირწყევა ძალიან...

— ნუ გეშინია, უნდილო, მანდ სულაც არაა ღრმა, ყელამდეც არ მოგწვდება...

— აკი არც მეშინია...

იაკუბი გაუბედავად წამოდგა და შუა ნავში გაჩერდა.

— გადადი კიჩოზე! ვინ უსვამს ნიჩაბს ასე შუა ნავში გაჩერებულს, პა? — ხელახლა დაუყვირა ვაზირმა.

იაკუბმა ფრთხილად დაიწია კიჩოსკენ.

— აი ასე, — მოუწონა ვაზირმა, — ახლა მოუსვი ნიჩაბი! ჯერ დაიწყე მარჯვნიდან! გეუბნები, მარჯვნიდან-მეთქი! შენ რა, არ იცი მარჯვენა და მარცხენა? აი მარჯვენა რომელია, უყურე!

ვაზირმა ხელი ასწია, მაგრამ რადგან სახით იაკუბისაკენ იდგა, ამხანაგს მარჯვენა ხელი მარცხენად მოეჩვენა. თავისი შეცდომა იგრძნო, მაგრამ ნირი არ შეუცვლია; მხოლოდ საჩქაროდ დაუმატა:

— შენ, ეი, იაკუბ! მოუსვი, როგორც იცი, გესმის? შენ გეუბნები, როგორც იცი, ისე მოუსვი-მეთქი!

იაკუბი მონდომებით უსვამდა ხან მარჯვენათი, ხან მარცხენათი. ვაზირი ხელების ქნევით დარბოდა ნაპირზე, დატყაპუნობდა ტალახში და მოუთმენლად აძლევდა განკარგულებებს:

— იმ მხრიდან მოუსვი! ახლა აქედან! აი ასე! შეჩერდი! ახლა იქიდან! ახლა ისევ აქედან!

ნავი ტრიალ-ტრიალით და ქანაობით ნელ-ნელა უახლოვდებოდა ნაპირს, მაგრამ ეს ვაზირისათვის ცოტას ნიშნავდა. მას არ შეეძლო მშვიდად ეცქირა ადამიანისათვის, რომელიც თავს ვერ ართმევდა ისეთ უმნიშვნელო საქმეს, როგორც ნავის მართვა.

— ნიჩაბი არ დაკარგო, ასე ღრმად რატომ უსვამ წყალში, კარ-

ტოფილს ხომ არ თხრი! აი, ასე! გან-განზე მოუსვი! გეუბნები განზე მოუსვი-მეთქი! ქანქარასავით კი ნუ ქანაობ, გასწორდი! აი ასე! — მბრძანებლობდა ვაზირი.

იაკუბი მონდომებით ასრულებდა ამხანაგის მითითებებს; მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მას ეგონა, რომ უკვე რაღაც ისწავლა, მოულოდნელად ფათერაკი კი დაატყდა თავს!

— განზე მოუსვი! — ხელახლა დაუყვირა ვაზირმა. — განზე-მეთქი!

გათამამებულმა იაკუბმა მაგრად მოიქნია ნიჩაბი — ღრმად მოუსვა. ამ დროს ნავი შექანდა, ბიჭმა წონასწორობა დაკარგა და წყალში მოადინა ტყაპანი.

— დაჯექი! — უნდოდა ეყვირა ვაზირს, მაგრამ ნავში უკვე არავინ იყო...

ტალღებზე მხოლოდ იაკუბის უჯრედებიანი ქუდი ქანაობდა. განცვიფრებისაგან პირდაღებული ვაზირი გაქვავებულივით იდგა ნაპირზე და თვალს არ აშორებდა იმ ქუდს.

როდესაც წყლით გაულენთილმა ქუდმა წყალში ჩაძირვა იწყო, მისგან ცოტა მოშორებით იაკუბის თავი გამოჩნდა. ვაზირი გამოერკვა და შურდულიდან გასროლილ ქვასავით ჩაეშვა ტბაში. მისი ჩექმები მაშინვე ლამში ჩაეფლო და თავისთავად გასძვრა ფეხებიდან, მაგრამ ვაზირს არც კი შეუმჩნევია ეს, რადგან ცდილობდა, მალე მიეღწია ნავამდე, სადაც დროდადრო იაკუბის თავი ჩნდებოდა. იმ ადგილას წყალი არც ისე ღრმა იყო — იაკუბს ყურებამდე სწვდებოდა, მაგრამ ვინც ცურვა არ იცის, ცოტა წყალიც საკმარისია მის დასახრჩობად.

ვაზირი მიცურდა უხეირო მენავესთან, ხელი ჩასჭიდა საყელოში და ნაპირისაკენ გამოათრია. როცა ორივემ მყარ მიწაზე ფეხი დაადგა, ვაზირმა შეხედა იაკუბს: მას სახე მიტკალივით გასთეთრებოდა.

ვაზირმა იაკუბი ფეხზე მაგრად დააყენა, სიცივისაგან გალურჯებული ტუჩები გაილოკა და გაეხუმრა:

— გემრიელია ტბის წყალი?

იაკუბმა თავი გააქნია, ეტყობოდა, მაინცდამაინც არ ეგემრიელა.

— აბა, დაიკარგე აქედან! — უთხრა ვაზირმა. — მე კი ერთხელ კიდევ ჩაეყვინთავ, შენ ქუდს მოვძებნი!

— არ გინდა, — ძლივს თქვა იაკუბმა, სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა, ხმა უწყდებოდა, — არ გინდა, მთავარია, თავი იყოს მთელი, თორემ ქუდს იშოვის კაცი.

ვაზირს მაინცდამაინც არ ეხალისებოდა ხელახლა ცივ წყალში შესვლა.

— ქუდი ქუდია, — დაფიქრებით თქვა მან, მაგრამ ტბისაკენ რომ გაიხედა, მოულოდნელად ხელები გაშალა. — ნავი მიცურავს! ნავი და ნიჩაბი! — ყვიროდა და თან გარბოდა. წყალში გადაეშვა, ნავისკენ გაცურა. დაიჭირა ტალღებზე მოქანავე ნიჩაბი, მერე ხელი ჩასჭიდა ნავს და ერთი ნახტომით აძვრა ქიმზე. მალე ის დამშვიდებული მოცურავდა ნაპირისაკენ.

იაკუბი, რომელიც ჯერ ისევ კანკალებდა შიშისა და სიცივისაგან, უნებური შურით უყურებდა ვაზირს.

„ეჰ, ვაზირივით ცურვა რომ ვიცოდე!“ — ფიქრობდა ის.

თავით ფეხებამდე დასველებულმა ვაზირმა კი ნავი ნაპირზე გამოათრია და ახლა ჩექმებს მიუტრიალდა. მათი პოვნა არ გასჭირვებია, რადგან იმ ადგილას, სადაც ისინი ჩაეფლო შლამში თავთხელი იყო და ჩექმის ყელები წყლიდან ამოშვერილიყო. ვაზირმა ჩექმებიდან წყალი წამოღვარა და მხიარულად თქვა:

— რა კარგად გამოვიდა. მამისეული ჩექმები თავისით გაირეცხა, მხოლოდ ესაა, სახლში ფეხშიშველი უნდა წავიდე. ხელახლა ხომ არ გავსვრი პრიალა ჩექმებს.

იაკუბი გაუნძრევლად იდგა. ვაზირი მივიდა, მხარზე ხელი მოუთათუნა და გულის გასაკეთებლად უთხრა:

— შენგან რაღაც გამოვა; მართალია, ჯერჯერობით სიმარჯვე გაკლია, მაგრამ რაღაც გამოვა.

— მართლა? — გაუხარდა იაკუბს.

— „მართლა, მართლა!“ — გამოაჯავრა ვაზირმა. — როდის იყო, რომ ტყუილს ვლაპარაკობდი.

— რა თქმა უნდა, ტყუილს არ...

— კარგი, ახლა რა ვქნათ?

— არ ვიცი... პაპას ნავი თავის ადგილზე უნდა მივიტანოთ.

ბიჭებმა ნავი ხელახლა შეაცურეს ტბაში.

— აიღე ნიჩაბი და ნელ-ნელა მოუსვი. — უთხრა მასწავლებელმა თავის შეგირდს.

იაკუბს ნაპირის გასწვრივ მიჰყავდა ნავი. ვაზირი კვლავ მითითებებს აძლევდა, მაგრამ იაკუბი, რომელმაც საბრძოლო ნათლობა უკვე მიიღო, უამისოდაც გაბედულად უსვამდა ნიჩბებს; ვერც კი გაიგო როგორ გაცურა საკმაოდ დიდი მანძილი.

როცა იაკუბმა და ვაზირმა ნავი ჯაჭვით მიაბეს ბოძზე და კლიტეს ადებდნენ, საიდანაც გაჩნდა იაკუბის დედა; მან ხმამაღალი მოთქმა-ტირილი დაიწყო:

— ვაი ჩემს თავს უბედურს! რა ცეცხლში მაგდებს ეს ბაღლი! შვილო, დედა გენაცვალოს, მთლად წყლის ვირთხას დამსგავსებინარ! რა თქმა უნდა, ეს სულ ვაზირის ოინებია! მაშ მე გულემეში არ მერქვას, თუ დღესვე გამგეობაში არ წავედი და ვაზირს არ ვუჩივლე. არ გესმის, რას გეუბნები, ვაზირ! რატომ ტანჯავ ბავშვს! სად წაიღე მისი ქული?

გულემეშ-აბაის უნდოდა ხელი ჩაეგლო შვილისათვის, მაგრამ მან უხეშად მოიშორა.

— დედა, ვაზირს კიდევ ერთი სიტყვა რომ უთხრა, მე... მე ახლავე ჩაჯვდები ამ ნავში და გავცურავ შორს, ძალიან შორს! და თუ გავცურე, კარგად იცოდე, არასოდეს აღარ დავბრუნდები უკან.

გულემეშ-აბაიმ გამანადგურებელი თვალით შეხედა იქვე, შორიანლო მდგარ ვაზირს, შვილს კი უთხრა:

— კარგი, კეთილი, მე აღარაფერს ვიტყვი, როგორც შენ გინდა, ისე იყოს, ოღონდ წამოდი სახლში!

მას ისევ უნდოდა ხელი მოეკიდა შვილისათვის.

— ხელს ნუ მკიდებ, — გაჯიუტდა ბიჭი, — მე თვითონ წამოვალ, მხოლოდ იცოდე, ვაზირზე სიტყვა არ გამაგონო!

— კეთილი, კეთილი! ხომ ვითხარი, არ ვიტყვი-მეთქი...

დედა-შვილი სახლისაკენ გაემართნენ. ილღიაში ჩექმებამოჩრილი ვაზირი კი ტბის პირას დარჩა. მას არსად არ მიეჩქარებოდა, რადგან დიდი ხანია დაავიწყდა ტაფაც და ნამცხვარიც, რომელიც მას სახლში ელოდა.

მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ საღამოს, როგორც იქნა, გამოიღარა. ღრუბლები, რომლებმაც თითქოს ცა სამუდამოდ დაფარესო, თვალის დახამხამებაში გაიფანტნენ და წვიმით ჩამორეცხილ მტრედისფერ ცას ისევ მზე დაეუფლა. მხოლოდ ყველაზე პატარა წვიმის წვეთები გზააბნეულებივით ხანგამომვებით ცვიოდნენ მიწაზე. შეიძლება ეს პატარა წვეთები წვიმის შვილები იყვნენ. ალბათ ცაზე თამაშობაში გაერთნენ და დიდ წვეთებთან ერთად ჩამოცვენა ვერ მოასწრეს. რაც არ უნდა ილაპარაკო, ბავშვები მაინც ბავშვები არიან, — თუ თამაშით გაერთნენ, ამქვეყნად ყველაფერი ავიწყდებათ.

პატარა წვეთები თბილი და მოალერსენი არიან. ხელს გაუშვებ — ხელისგულს ბრჭყვიალა წინწყლებით მოგიერთავენ, მომუქავ და — უცებ თითებშია გაგისხლტებიან.

აი ასეთი ონაერები არიან!

— აჰა, გაები მახეში? ჩემს ხელთ ხარ! — ყვირის გულნური და თავის ხელისგულზე დაცემულ წვეთს დასჩერებია. — რატომ ხარ ასეთი თბილი? ალბათ იქ, მზესთან ახლოს, ძალიან თბილოდა.

გულნური გაშლილ ხელს მალა იშვერს და სხვა წვეთებსაც ეძახის:

— დაეციოთ, დაეციოთ ჩემ ხელისგულზე! — ამბობს გოგონა და იცინის.

ის მესერის მახლობლად მორზე მოკალათებულა და არავითარ ყურადღებას არ აქცევს გაბდულასა და აიღარს, რომლებიც მორის მეორე ბოლოში სხედან თავჩაქინდრულები და რაღაცაზე ფიქრობენ. მათ არც კი ესმით, ბიჭუნები სიცილითა და ევილ-ხივილით რომ დაატყაპუნებენ წვიმის თბილ გუბებში და ნაკადულებში, და არც გულნურის გაუთავებელი ჟღურტული... მათ თავიანთი დარდი აწუნებთ.

— ამ „სამაგალითოსაგან“ არაფერი ხეირი არ არის, — თქვა აიღარმა, — როცა არ გინდა, ყოველთვის აქ წრიალებს, დაგჭირდება და — თვალს ვერ მოჰკრავ. დოყლაპია!

გაბდულამ გადაფურთხა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძალიან იყო გაბრაზებული.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ აიდარმა ხელახლა დაიწყო:

— ალბათ შეშინდა. ბერიკაცის ნავი კი საუკეთესოა, წვეთი წყალი არ შედის არსაიდან.

უცებ გაბდულამ ჰკითხა:

— შენ მე მეთაურად მთვლი?

— რა თქმა უნდა, გთვლი! — დაუდასტურა აიდარმა.

— თუ მთვლი, ახლავე წადი და აქ მომგვარე „სამაგალითო“.

— წავალ, მაგრამ, თუ დედამისმა თვალი მომკრა, ერთ ალიაქოთს ატეხს და არაფრის გულისათვის აღარ გამოუშვებს იაკუბს!

აიდარმა დას გადახედა, რომელიც წვიმისაგან გათელილ ბალახს ურჩევდა, გასწორებულიყო და მზისათვის შეეხედა.

— გულნურ, ჩემო ჭკვიანო დაიკო, — ალერსით უთხრა აიდარმა, — შენ ხომ იცი, ტოროლას ორი ბარტყი უნდა დაგიჭირო...

გულნურმა მაშინვე ძმასთან მიიღბინა.

— ვიცი, მაგრამ რომ არ იჭერ?

— დავიჭერ, აი ნახავ, დავიჭერ და მოგიყვან, როცა მზად იქნება შენი ლამაზი წითელი კაბა. კარგი?

— კარგი.

გულნურმა თავი დააქნია. უნდოდა, ისევ თავის ადგილზე დამჯდარიყო, მაგრამ ძმამ შეაჩერა და უთხრა:

— ბარტყებისათვის გალიასაც გაგიკეთებ და იმ გალიას მევე შევკვებავ ცისფრად.

— მე კი ხორბალს დავუყრი! — გამოცოცხლდა გულნური.

— რა თქმა უნდა, დაუყრი. მხოლოდ მომისმინე, შენ უკვე დიდი გოგო ხარ, გულნურ.

თუმცა ამჯერად გულნურს მაინცდამაინც არ უნდოდა „დიდი“ ყოფილიყო, მაგრამ გაჩუმდა, რადგან ძალიან უნდოდა ბარტყები. მის მეგობარ ალფიას ჰყავდა ბარტყი, გულნურს კი ჯერ არასოდეს არ ჰყოლია.

გოგონამ იმედითა და სიხარულით შეხედა ძმას.

— წადი, დაიკო, იაკუბს დაუძახე, — უთხრა აიდარმა, — ოღონდ ეცადე, დედამისმა არ გაიგოს.

გულნური შიშველი ფეხებით ვუბეებში მიატყაპუნებდა — იაკუბის სახლისაკენ გარბოდა. ჭიშკართან რომ მიიბრინა, შეჩერდა, მესერს აეკრა, ღრიჭოში შეიხედა და მთელი ეზო მოათვალიერა. იაკუბი შეშის გროვაზე იჯდა და რაღაცას თლიდა. ისე იყო საქმეში გართული, რომ თავიც არ აუწევია მალა. გულნურმა დაძახება ვერ გაბედა, ეშინოდა, ვაითუ იაკუბის დედამ გამიგოსო. მცირეოდენი ფიჭრის შემდეგ თავის მუჭზე ცოტა მოზრდილი ქვა აიღო, ფეხის წვერებზე შედგა და მესერს იქით გადააგდო. ქვა ბიჭის მახლობლად გუბეში ჩავარდა. იაკუბი შეკრთა და მიმოიხედა; მას მოეჩვენა, რომ მესერის ნახვრეტიდან ვარდისფერი თითი გამოძვრა; მაგრამ შეიძლება ეს მხოლოდ მოჩვენება იყო... მერე ახლოს მივიდა. მაშინ ნახვრეტში გამოჩრილმა თითმა თავისთან იხმო, მერე ათამაშულა და ფრჩხილით ფიცრის კაწვრა დაიწყო.

— ვინ არის მანდ? — ჩურჩულით შეეკითხა იაკუბი.

— მე ვარ, — დაიწრიბინა გულნურმა; — ჩემი ძმა აიღარი და გაბღულა გეძახიან; დამაბარეს, ჩქარა მოვიდესო. თუ მალე არ წამოხვალ, გაბრაზდებიან და კიდევ იტყვიან, ამ „სამაგალითოსაგან“ არაფერი ხეირი არ არისო... ჩვენი სახლის ახლოს მორზე სხედან.

— კარგი, ბევრს ნუ ყბედობ. გაიქეცი!

-- გავიქცევი, მაშ რას ვიზამ!

მაგრამ გულნური სხვა მხარეს გაიქცა. მას ანაზღად გაახსენდა ის ლამაზი კაბა, მკერავი იამლიხა რომ უკერავდა. გულნურს უნდოდა გავგო, კაბა დამიმთავრა თუ არაო, რადგან კაბასთან ერთად ბარტყებიც გაჩნდებოდა. ესე იგი, სამი ბედნიერება ელოდა წინ: ორი ბარტყი და ერთი კაბა! აგრეთვე გალიაც; სულ ერთად კი — ოთხი ბედნიერება.

იაკუბმა დიდხანს არ ალოდინა ამხანაგები, ჯერ კარტოფილის მინდორი გადაიარა და ტბისკენ წავიდა; შემდეგ შესახვევით ქუჩაში გავიდა. მართალია, ეს გზა საკმაოდ გრძელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ხიფათს აღარ გადაეყრებოდა: გულუმეშ-აპაის ჭრიალა ჭიშკარი, რომელიც პირდაპირ ქუჩაში გადიოდა, გაღებისთანავე ატყობინებდა დიასახლისს, ეზოდან ვილაც გავიდა, ან ვილაც შემოვიდა

ეზოშიო. გაბდულასა და აიდარს ორი დღეა, არ ენახათ იაკუბი. ამ ხნის განმავლობაში ბიჭი ცოტათი გამხდარიყო. შუბლზე ისევ ეტყობოდა მუქი ყვითელი ლაქები, თითქოს გაიზარდა და წელშიც გაწოროდაო.

მეთაური იაკუბს გაოცებული შეხვდა:

— ვინ გაგალამაზა ეგრე?

— მე თვითონ გავლამაზდი.

— ნუ გვატყუებ!

— ვფიცავ პურ-მარილის მადლს! მე უკვე აღარა ვარ „სამაგალითო“. შენ რომ დამავალე, კლდიდან ხტომაც ვისწავლე. მაგრამ აი ცურვა არ შემიძლია.

— გადაყლაპავ ერთ-ორ ვედრო ტბის წყალს და ისწავლი!

— რა თქმა უნდა, ვისწავლი, — უხალისოდ თქვა იაკუბმა. მას ჯერ კიდევ ერეოდა გული დილით ნაყლაპი ტბის წყლისაგან.

მას უნდოდა, მეთაურისათვის თავის საქმეებზე თანმიმდევრობით მოეხსენებინა, მაგრამ გაბდულამ ამის შესახებ არაფერი არ ჰკითხა.

იაკუბმა კი მოცდა ამჯობინა.

— როდის დაბრუნდება პაპაშენი? — ჰკითხა აიდარმა.

— პაპა, მგონი, ჩქარა არ დაბრუნდება. რა არის?

— სად არის მისი ნავის გასაღები?

— არ ვიცი.

— მოეშვი მაგ „არ ვიცის“, გასაგებია? — მკვანედ უთხრა მეთაურმა. — ხვალ განთიადზე უნდა გავიღეთ ტბაზე. ჯერ კიდევ დილის ბინდბუნდში შევეგროვდებით ბებია იამლეგულის აბანოსთან. იცოდე, შენი ნავი ამ საღამოსვე მზად უნდა იყოს.

იაკუბს უსაზღვროდ გაუხარდა, რომ ამხანაგებმა ასეთი საქმე დაავალეს. როგორ არ გაუხარდებოდა, როცა აქამდე ყველასაგან ზურგ-შექცეული იყო და მოულოდნელად თვითონ „სამფეხას“ მეთაური ავალებს ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს! იაკუბი აღელდა, გაფითრებული სახე შეუფთავკლდა, თვალები გაუბრწყინდა. კარგია, როცა თავს შენი ტოლების თანასწორად გრძნობ.

— ნავი მზად არის! — სიხარულით თქვა მან. — გინდ ახლავე ჩაჩექი და გაცურე!

— როგორ არა, მზადაა! ზედ კი უზარმაზარი კლიტე ადევს!

— მერე რა, კლიტე დიდია, მაგრამ იმ ძაღლსა ჰგავს, რომელიც არც იყეფება და არც იკბინება. პაპა ხომ მხოლოდ სხვის მოსაჩვენებლად ადებს კლიტეს.

— მერე პაპა არ გამოვლანძღავს? — ყოყმანით ჰკითხა აიდარმა.

— არ გამომლანძღავს, ის ჩემი კარგი პაპაა.

ვიდრე „სამფეხას“ სამი საბრჯენი ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე საუბრობდა, ქუჩის მეორე მხარეს ვაზირმა ჩაიარა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეყო და ამაყად მიაბიჯებდა. წარმოიდგინეთ, უსტვენდა კიდევ რომელიღაც სიმღერას, თითქოს სრულიად გულგრილი იყო ამ სამი ბიჭის მიმართ, ყველა საქმე მოგვარებული ჰქონდა, ქვეყანა ლამაზად ეჩვენებოდა და თითქოს ქუჩაში მხოლოდ იმიტომ გამოვიდა, რომ სხეული გაიკაყოს.

ვაზირმა ჯერ ქუჩის ერთ მხარეს ჩაიარა ნელ-ნელა, შემდეგ — მეორე მხარეს, მაგრამ არავინ მობრუნებულა და არც გაუხედავთ მისკენ. თუმცა გახედვით გაიხედეს, მაგრამ არ შეიმჩნიეს. ვერც ერთმა მორზემძღომმა ბიჭმა ვერ გაბედა ვაზირის სახელის წარმოთქმა, თითქოს ქუჩაში მათი ყოფილი ამხანაგი და მეგობარი კი არ სეირნობდა, არამედ რომელიღაც ბატკანი, რომელსაც თავისი ფარეხისათვის ვერ მიუგნია; უფრო უარესიც, რადგან გზააბნეულ ბატკანს ყველა გაულებდა კარს.

უკან რომ ბრუნდებოდა, ვაზირი იმ მხარეს გადავიდა, სადაც ბიჭები ისხდნენ. „სამფეხას“ მიუახლოვდა, სტვენა შეწყვიტა, ჯიბიდან ხელები ამოიღო და შეეცადა შესაბრალისად მოსჩვენებოდა მათ. ვაზირისათვის ძალიან მიძიმე იყო ამხანაგების წინაშე თავის დამცირება. ისე შეეცოდა თავისი თავი, ცოტას გაწყდა, ტირილი არ დაიწყო. მაგრამ ის ვერ ხედავდა შერიგების სხვა საშუალებას. ამიტომ გაუსწორდა თუ არა ბიჭებს, ძალ-ღონე მოიკრიბა და მეთაურის წინ გაჩერდა:

— გაბღულა, — თქვა მან ჩუმი, აკანკალებული, მწუხარე ხმით, — ის დანა მაშინვე მივეუტანე. თუ არა გჯერა, თვითონ შარიფულას ჰკითხე. ეს ხელები გამიხმეს, თუ ამიერიდან სხვის რამეს ხელი ვახლო.

ვაზირს იმედი ჰქონდა, რომ ამ სიტყვებით გულს მოუღობოდა გაბდულას, აიღარი კი მეთაურს სიტყვას ვერ შეუბრუნებდა.

გაბდულა ემზადებოდა, უხეშად და გადაჭრით შეეწყვეტინებინა ვაზირისათვის, თავი ასწია და... ვერც ერთი მკვახე სიტყვის წარმოთქმა ვერ შეძლო. ვაზირი თვალებს ხშირ-ხშირად აფახულებდა, ზედა ტუჩი უთრთოდა, მკლავები აეხორკლა, შიშველ მკერდზე ახალი, ღრმა ნაფხაჭნი ემჩნეოდა. ეს ნიშანი დილით მიიღო, როცა იაკუბის ნავი გადაარჩინა.

გაბდულა მღუმარედ მისჩერებოდა ამხანაგს, ვაზირის შესაბრალისმა სახემ მრისხანება გაუქარწყლა და უფრო მეტიც. გული მტკივნეულად შეეკუმშა. მის თვალწინ მოულოდნელად სხვა ვაზირი აღიმართა, მისი ყოფილი მხიარული მეგობარი; ისინი ხომ ერთად იზრდებოდნენ. ამგვარ წუთებში ადამიანს ყველაფერი ახსენდება. გაბდულასაც გაახსენდა: ერთხელ ისინი ტყეში თამაშობდნენ, ქუდებს მალა ისროდნენ; გაბდულას ქუდი ყველაზე მაღალ ტოტს წამოედო და ზედ დაეკიდა. არც ერთს არ ეყო ძალა და მოხერხება, რომ ხეზე ამძვრალიყო. მაშინ ვაზირი აცოცდა ხეზე, მისწვდა ქუდს და ჩამოხსნა. ძირს რომ ჩამოდიოდა, ჩამოვარდა და მაგრად დაეცა ქვაზე. ხელისგულები ხომ მთლად გადაუტყავდა. მაგრამ მას არ უტირია, არც დაუჩივლია, მხოლოდ ისე თქვა, დიდები რომ იტყვიან: „ვინც მალა არ აღის, ის არც დაბლა ვარდებო“.

გაბდულას ისიც გაახსენდა, ისა და ვაზირი ერთად რომ დადიოდნენ სათევზაოდ. გაბდულას მაინცადამაინც ბედი არ სწყალობდა თევზაობაში. ვაზირს რომ რამდენიმე მოზრდილი თევზი ჰყავდა დაჭერილი, გაბდულას ანკესზე ჯერ ჰიჭყინაც არ იყო წამოგებული. მაგრამ სახლში რომ ბრუნდებოდნენ, მთელ ნანადირევს მსხვილსაც და წვრილსაც, შუაზე უყოფდა ვაზირი...

შარშან კი ასეთი შემთხვევა მოხდა: ვიღაც ბოროტმა ღრმა ჭაში კნუტი ჩაავდო. კნუტი არ დამხრჩვალა, გამოწაშვერზე აფოფხდა და შუადღემდე შესაბრალისად კნაოდა. ჭაში თოკით ჩაუშვეს ვედრო, მაგრამ კნუტს იმდენი ჰკუა არ ჰქონდა, რომ ვედროში ჩამხტარიყო. დიდებიც და პატარებიც ცდილობდნენ, მაგრამ ვერაფერი გაეწყოთ. და აი ვაზირი გამოჩნდა, ხელში გრძელი თოკი ეჭირა. მან თოკის ერთი ბოლო ბოძს მოაბა და უშიშრად ჩაეშვა ჭაში. რო-

გორი შიშით უყურებდა მაშინ გაბღულა, როცა ცალი ხელით ჩამოკიდებულმა ვაზირმა გამოჩინაშვერიდან კნუტი აიყვანა, ჩასვა ვედროში და მხოლოდ ამის შემდეგ ამოვიდა ჭიდან...

ყველა ამ მოგონებამ წამიერად გაიელვა გაბღულას მეხსიერებაში. ნუთუ ეს ის ვაზირია, მამაცი მეგობარი, ახლა დამნაშავე სახით რომ დგას ამხანაგების წინაშე და უხმოდ სთხოვს მათ პატივბას? გაბღულაცა და აიღარიც მზად იყვნენ ეპატიებინათ მისთვის, მაგრამ გაბღულა, როგორც მეთაური, თვლიდა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, გულჩვილი და დამთმობი ყოფილიყო იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ლაქა მოსცხო „სამფეხას“ ღირსებას. „ასეთ შემთხვევაში საჭიროა სიმკაცრე“, — გაიფიქრა გაბღულამ, მკაცრა სახე მიიღო და გულგრილად ჰკითხა:

— რა გინდა?

— არაფერი. — მორიდებით უპასუხა ვაზირმა.

— თუ არაფერი არ გინდა, აბა, აქ რას ტრიალებ?

— თქვენთან საქმე მაქვს, — წაიბუტბუტა ვაზირმა შემკრთალი ხმით და კიდევ უფრო აახამხამა თვალები.

იაკუბს ისე შეებრაღა ვაზირი, რომ ცრემლებს ძლივს იკავებდა. ეცოდებოდა და ვერაფრით ვერ გაეგო, რა ჩაიდინა ისეთი ამ ადამიანმა; ის ხომ თავისი გამჭირახობით და შეუბოვრობით ყოველთვის გამოირჩეოდა სხვებისაგან. ნეტავი რა მოხდა ისეთი, რომ ვაზირი, მთელი ქუჩის ავანჩავანი, დღეს ასეთ შესაბრალის მდგომარეობაშია. რატომ შეაქციეს ზურგი ამხანაგებმა?

იაკუბმა ჯიბიდან წითელტარიანი შურღული ამოიღო, ამ შურღულით ვაზირი მიზანს არასოდეს არ აცილებდა. იაკუბი სინანულითა და პატივისცემით უცქეროდა თავის მეგობარს.

— გინდ გამლანძღეთ და გინდ მცემეთ, — თქვა ვაზირმა, — ოღონდ მომისმინეთ!

— კარგი, გადმოალაგე მალე! დრო არა გვაქვს! — დაეთანხმა მოღუშული გაბღულა.

— ფარღულში ერთი ძალიან კარგი რამე მაქვს. რა თქმა უნდა, ისეთი არა... წავიდეთ, ვნახოთ.

— ალბათ რაღაც ეშმაკობა იქნება. — ეჭვი შეეპარა აიღარს.

— არავითარი ეშმაკობა.

— აბა რა არის?

— მოდიო და ნახავთ!

„სამფეხას“ სამივე საბრჯენმა ერთმანეთს გადახედა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მეთაურს ეკუთვნოდა და იმანაც თქვა:

— თუ წამოვალთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გამოგცადოთ. მხოლოდ იცოდეთ, თუ გვეუშმაკე რამე, მერე შენს თავს დააბრალე. — და ვაზირს თავისი მაგარი მუშტი აჩვენა.

— არა-მეთქი, აკი გეუბნებით, რაც გინდათ ის მიყავით — გინდ დამჭერით, გინდ დამწვით...

გაბდულას უბრძანა „სამფეხას“:

— წავიდეთ, ვნახოთ!

მაგრამ იაკუბის მიწვევა არ შედიოდა ვაზირის გეგმაში. ამასთან, ის „სამაგალითოს“ ასეთ საპატო საზოგადოებაში ყოფნის ღირსად არ თვლიდა.

— იაკუბ, შენი წამოსვლა კი სავალდებულო არ არის! — თქვა მან.

იაკუბმა მუდარით შეხედა გაბდულას და მეთაურმაც მის მაგიერ უპასუხა:

— არა, იაკუბიც წამოვიდეს ჩვენთან, ეს ჩვენი მესამე საბრჯენია.

ვაზირს გულმა რეჩხი უყო, მაგრამ არ შეიმჩნია და დიდსულოვნად თქვა:

— კარგი, წამოვიდეს, რა მენალვლება! — და გულში გაიანგარიშა. თუ გაბდულასა და აიდარს სამ-სამი კვერი შეხვდება, მაშინ მას და იაკუბს დარჩება თითო-თითო. და თუ თანასწორად გაყოფს, მაშინ ყველა მათგანს ორ-ორი ერგება.

ვაზირის მეორე მარცხი

როგორც კი ფარდულში შევიდნენ, ვაზირმა თავის თავისადმი რწმენა იგრძნო და ხმაშიც სიმხნევე შეემატა. როგორც გინდა თქვი, დღეს ვაზირი იქნება მასპინძელი.

— ბიჭებო, — თქვა მან საზეიმო ხმით, — თქვენთვის ყელის ჩასა-

კოკლოზინებელი მაქვს! მართალია, დიდი არაფერია, მაგრამ მიიღეთ, როგორც დიდი რამ! — ამ სიტყვებს ვაზირი ხშირად ისმენდა ხოლმე მამისაგან, როცა სტუმრიანობა ჰქონდათ.

ბიჭებს თვალები გაუბრწყინდათ, ნეტავი რითი უნდა გაგვიმასპინძლდესო.

ტკბილეულის წუწკმა იაკუბმა ტუჩებიც კი გააწკლაპუნა და ნერწყვი გადაყლაპა.

— გამასპინძლებას რა უნდა, — ჩქარობდა ვაზირი და სიხარულისაგან ჭკუაზე აღარ იყო, — აბა, იაკუბ, მომეცი აქ შენი ქუდი!

იაკუბს მამისეული ძველი ქუდი ეხურა. ვაზირმა ქუდი გამოართვა და ფარდულის ბნელი კუთხისაკენ გაემართა, ხელი გაყო წნული კედლის ტუჭრუტანაში და ფათური დაიწყო. სამი წყვილი თვალი ხარბად მისჩერებოდა მის ყოველ მოძრაობას.

— აჰა, ჩაგიგდეთ ხელში, ჩასატკბარუნებლებო! — ქუდში ერთიმეორის მიყოლებით აწყობდა ტკბილ კვერებს და თან ემუსაიდებოდა. — გაებით! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა... ვაბდულასა და აიდარს. — სამ-სამი კვერი, დანარჩენებს — თითო-თითო და... უკმაყოფილო არავინ იქნება!

გამასპინძლება უფრო დარბაისლური აღმოჩნდა, ვიდრე ბიჭები მოელოდნენ. გარდა ამისა, ასე მოულოდნელად, უცაბედად ტკბილ კვერზე კბილის გაკვრა ყოველთვის არ შეეძლოთ! იაკუბმა ერთხელ კიდევ გადაყლაპა ნერწყვი. დანარჩენებსაც ყელი გაუშრათ.

ვაზირმა ძვირფასი ტკბილეულით სავსე ქუდს ხელი დასტაცა. მან უხერხულად ჩათვალა სტუმრების ფარდულში გამასპინძლება. ხბორები ხომ არ იყვნენ, დამდგარიყვნენ და ბოსელში ეღეჭათ.

— გავიდეთ ფარდულიდან! იქ მყუდრო ადგილია. — გაიპატიჟა სტუმრები.

სტუმრებს უარი არ უთქვამთ მასპინძლის მიწვევაზე.

ყველამ იცოდა, ფარდულის უკან დიდი, ბრტყელი ქვა იდო. იმ ქვაზე მთელი ქეიფის მოწყობა შეიძლებოდა. ძალიან მოსახერხებელი რამ იყო. ახლა მასპინძელი თავის მდიდარ პურ-მარილს გაშლის იმ ქვაზე და სტუმრებიც, რა თქმა უნდა, დიდხანს არ დაიდგებენ თავპატიყს. ვაზირი კი, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელი,

ხშირად სთხოვს მათ, არაფრის არ მოერიდოთ. შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იაკუბს არ დასჭირდეს თხოვნა.

განა არის ამქვეყნად მასპინძლობაზე სასიამოვნო რამ?

როცა ფარდულის უკან გავიდნენ, ვაზირმა ხელის მოხდენილი მოძრაობით ქვაზე წამოყარა, რაც ქულში იყო. ცარიელი ქული კი დაუდევრად იაკუბს მიუვლო.

მაგრამ ასე უცებ რა დაემართათ სტუმრებს? წუთის წინ მოღი-მარი ტუჩები დაებერათ, წარბები გაკვირვებისაგან ზევით აეზიდათ, სასიამოვნო მოლოდინით გაბრწყინებული თვალები ჩაუქრათ... რა დაემართათ სტუმრებს? თვითონ მასპინძელიც თითქოს ადგილზე გაქვავდა. ნეტავი რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ არც ერთი კვერი მთელი არ აღმოჩნდა. ყვე-ლა კვერი თავგებისაგან იყო გამოხრული: ზოგი — ცალი მხრიდან, ზოგი — მთლიანად, ორი კვერი კი გახვრეტილი იყო. აღმოჩნდა, რომ მარტო ბიჭებს კი არა, თავგებსაც ჰყვარებიათ ტკბილეული. ამ ორი დღის განმავლობაში, ეტყობა, კი დრო უტარებიათ!

— შევიძლია ჩახეთქო, რისი გამოხვრაც ვერ მოასწრეს თავგებმა! — თქვა მეთაურმა.

ვაზირს თითქოს მეხი დაეცა — შეიძლება ადამიანს უბედურება დაატყდეს თავს, მაგრამ ამდენი უბედურება ერთ ადამიანს — ეს უკვე მეტისმეტია.

— გუშინ მოვიტანე... — დაბნეულად წაიბურღლუნა მან. — თუ არ გჯერათ...

იაკუბმა სცადა გამოესწორებინა მდგომარეობა.

— ამბობენ, ვინც თავგების გამოხანხრავს შეჭამს, კბილები გაუ-მაგრდებაო.

— ჩვენი კბილები ისედაც მაგარია. შენსავით შაქრით კი არ გავიზარდეთ! — სწრაფად შეაწყვეტინა აიღარმა.

ბიჭებს ბრაზი ახრჩობდა. აბა რა! ასეთი რამ ვის არ გააბრაზებ-და. როგორ ელოდნენ, პირზე ნერწყვი ჰქონდათ მომდგარი და...

— გმადლობთ. იმაზე დიდი სიამოვნება მივიღეთ, ვიდრე კაი გა-მასპინძლებით მივიღებდით, — თქვა გაბდულამ და მაშინვე უბრძა-ნა „სამღეხას“ წავიდეთო.

განაწყენებული სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ. ვაზირი დიდ-

ხანს უყურებდა ქვაზე დაყრილ თაფლის კვერებს. შემდეგ ერთი მგორის მიყოლებით ბაღში გადაყარა. ყოველი ხელის მოქნევაზე დააყოლებდა ხოლმე:

—ესეც შენ! ესეც შენ! ესეც შენ!

ვისი მისამართით იყო ეს სიტყვები ნათქვამი — თავგების, ამხანაგებისა თუ თავის თავის მიმართ, — ძნელი გამოსაცნობია. უკანასკნელი კვერიც რომ გადაისროლა, სლუკუნი აღმოხდა, ქვაზე დაემხო და აქვითინდა. დიდხანს ტიროდა ვაზირი. კარგა ხანია გადაეჩვია ცრემლებსა და წუწუნს; მაგრამ ახლა იმდენი იტირა, ვიდრე ცრემლები არ დაუშრა. ტიროდა და თან სულ ფიქრობდა: რამდენი იშრომა და ყველაფერმა როგორ ამოდ ჩაუარა. დედას ფული მოჰპარა ტკბილეულობისათვის, ქეიფი კი არ გამოუვიდა.

წამოვება, თევზო, ანკასეა?!

გინახავთ ჩვენი კილისის ტბა განთიადისას? რა თქმა უნდა, არ გინახავთ. მაგრამ თუ ერთხელ მაინც გაგიღიმათ ბედმა და ნახეთ ეს საოცრება, არასოდეს არ დაგავიწყდებთ! მე ამას უბრალო ბაქიბუქობით არ ვამბობ. ჩვენ არც კილისის ტბა შეგვექმნია, არც განთიადი, — ისინი ბუნებამ შექმნა. მე კი შემოძლია მხოლოდ დავტკბე ამ სილამაზით და გაგიზიაროთ ჩემი აღტაცება, რომ თქვენც ჩემი თვალით დაინახოთ ამ სიმშვენიერის მცირე ნაწილი მაინც და თქვენც ჩემსავით გაიხაროთ.

თავდაპირველად ახალი დღის პირველი სხივები ტბის გადაღმა ფრიალო კლდეს ეცემა, შემდეგ კაშკაშით იფანტება აქეთ-იქით. ამ დროს რძისფერი მსუბუქი ნისლით დაფარულ ტბას ისევ სძინავს; განთიადის შუქსაც კი არ შეუძლია მისი გაღვიძება, პირიქით, ის უფრო მჭიდროდ ეხვევა ნისლის საბურველში. ჩვენთან, მთებში, ზაფხულის დილა საერთოდ ცივი იცის, ტბაც იმიტომ ინისლება. მხოლოდ მაშინ, როდესაც მზე ამობრწყინდება, მახვილის ტბა ქარქაშიდან ამოღებული ხმალივით იწყებს ლაპლასს.

„დიდხანს გძინავს, კილისო! — საყვედურობს მზე; — როგორ სიზმრებს ნახულობ?“

„როცა დედამიწაზე მშვიდობაა, მახვილსაც მშვიდად სძინავს, —
ეხუმრება ტბა, — კეთილ სიზმრებს ვნახულობ, გმადლობ, ჩემო
მზეო!“

და მზე ისევ თავის გზას აგრძელებს. აბა, ერთ დღეში როგორ
შემოივლის მზე დედამიწას, თუ ყველა შემხვედურს გაუბა ლაპა-
რაკი!

მზე თანდათან მალლა იწევს, ტბა კი ამ დროისათვის მშვიდი და
აღერსიანი ხდება; გინდა ფეხშიშველამ ირბინო მის სწორ ზედა-
პირზე. იბადება ახალი დღე და მასთან ერთად ახალი სიხარული და
იმედებიც იბადება. ამ დროს მხოლოდ ნისლია უღიმღამო და სევ-
დიანი. ებლაუტება ლელიანს, ტირიფებს და ღუმფარის ფართო
ფოთლებსაც კი. ცდილობს, დიდხანს დარჩეს ტბაზე, მაგრამ სულ
ტყუილად ირჩება — ყველამ იცის, რომ ნისლს მზის გვერდით
დიდხანს არ გაეძლება.

განთიადისას, როცა აულში მამლებმა ათას ხმაზე იწყეს გადა-
ძახ-გადმოდახება, ნავში სამი ბიჭი ჩაჯდა. იმ ღამეს გაბღულასა და
აიღარს სათივეზე ერთად ეძინათ. მათი ადგომა და გაპარვა არავის
შეუნიშნავს. იაკუპმა კი ვერ მოახერხა სახლიდან შეუმჩნევლად
გამოსვლა. ის-ის იყო ინათა, რომ გაელვია კიდეც, მაგრამ დიდხანს
იწვა გაუნძრევლად; დედის სუნთქვას უგდებდა ყურს. მერე ფრთხი-
ლად დაიწყო ჩაცმა. ის იყო შარვლის ერთ ტოტში გაყო ფეხი, რომ
დედასაც გაელვია:

— ასე ადრე რატომ გაიღვიძე, შვილო? ცუდი ხომ არაფერი და-
გესიზმრა?

— არაფერი არ დამსიზმრებია. დღეს ბიჭებთან ერთად სათევ-
ზაოდ მივდივარ.

— სათევზაოდ? ტბაზე? — გულემემ-აბაი საწოლზედაც კი წა-
მოჯდა.

— ჰო, ტბაზე, თევზები ტბაში არიან, დედა, — მშვიდად განა-
ცხადა იაკუპმა.

— ხმა არ ამოიღო! სწორედ ეგლა გაკლდა!

— ამხანაგებს დავპირდი, დედა, პირობის დარღვევა არ შეიძ-
ლება.

— პირობა ათასგვარია, ზოგი შეიძლება დაირღვეს, ზოგი — არა.
ფეხს ვერ გაადგამ სახლიდან! გასაგებია?

— მე რითი ვარ სხვებზე ნაკლები, დედა? რატომ შეიძლება სხვებისთვის, ჩემთვის კი — არა?

— სხვებთან არაფერი მესაქმება. მე ერთი შვილი მყავს! — უპასუხა აღშფოთებულმა გულემეშ-აპაიმ.

მაშინ იაკუბმა თავისი ძველი მუქარა გაიხსენა:

— იცოდე, დედა, თუ ამხანაგებთან არ გამიშვებ, ახლავე ჩავჯდები პაპაჩემის ნავში და მარტოდმარტო გავცურავ შორს, ძალიან შორს! აი ასე ვიზამ! შენ ყველაფერს მიკრძალავ, მე კი უკვე დიდი ვარ!

გულემეშ-აპაის თვალთ დაუბნელდა. რა დაემართა ბავშვს? რომელმა ავმა სულმა გათვალა? ქათამივით უწყინარი ბიჭი სულ რაღაც ორიოდ დღის განმავლობაში მთლად წავიდა ხელიდან. „თუ ახლა არ გავუშვი, სულ ერთია, თავისას გაიტანს და მართლა გაცურავს ნავით“. — გაიფიქრა დედაშ. ცოტა ხანს იყუჩა და მერე ჰკითხა:

— ვინ არიან შენი ამხანაგები? რა თქმა უნდა, ისევ ის ვაზირი!

— გაბდულა და აიდარი. — ამაყად უპასუხა ბიჭმა.

დიდი შეხლა-შემოხლისა და ვაჭრობის შემდეგ დედა გულისტკივილით დაეთანხმა.

ეს იყო იაკუბის პირველი დიდი გამარჯვება.

— ოღონდ ფრთხილად იყავი, ხამივით არ მოიქცე ტბაზე! — შვილს არიგებდა და აცილებდა დედა.

და აი ახლა იაკუბი ნიჩბით ხელში დგას ნავის კიჩოზე, გაბდულა — ნავის შუაგულში, აიდარი კი — წინ. მენავემ საკმაოდ გაბედულად მოუსვა ნიჩაბი. ნავი მშვიდად გასრიალდა ნაპირის გასწვრივ და მალე მთლად გაუჩინარდა ნისლში. ბიჭები კილისის შორეულ ნაპირზე, ლელიანში შეჩერდნენ, იქ სადაც გოდორყური ეგულეობდათ. ანკესები გადაისროლეს. ამ დროისათვის მზეც ამოვიდა და ტბას ბურუსი გადაეწმინდა.

პირველად თევზი ხარბად ეტანებოდა ანკესს. აიდარმა ერთბაშად რვა ნაფოტა, ორი მოზრდილი ქორჭილა და ერთიც წითელფარფლიანი ჭანარი დაიჭირა. გაბდულამ კი — ექვსი თუ შვიდი ჭიჭყინა. მართალია, ჭიჭყინები იყო, მაგრამ ჭიჭყინაც ხომ თევზია?

მართო იაკუბმა ვერ დაიჭირა ვერაფერი. როგორც კი თევზი სატყუარას შეეხებოდა, ისე მაგრად ქაჩავდა, რომ თევზი ფრთხებოდა.

ყველა დაჭერილი თევზი ბადისებრ ტომარაში ხვდებოდა, რომელიც ნავის ქიმიდან წყალში იყო ჩაშვებული. თევზებს ეგონათ, ხელახლა წყალში მოვხვდითო, ცურავდნენ და დგაფუნი გაჰქონდათ.

თევზაობისას ხმაური არ შეიძლება. ჩვენს მხარეში ანკესით თევზაობის დროს მიღებულია ჯადოსნური სიტყვებით შელოცვა, მაგრამ ეს ხმაურად არ ითვლება.

— ნემსკავზე დგაფურობზე — ნაფოტა ამოვაგდე, — ყოველ გადასროლაზე ულოცავდა ანკესს გაბდულა.

როცა აიღარმა წითელფარფლიანი თევზი ამოათრია, ჯერ თევზს დააფურობდა, მერე კი ბუტბუტი დაიწყო:

— ჩემო ლამაზო წითელფარფლა, დედიკოსაც მოუხმე, მამიკოსაც მოუხმე, შენს დას, შენს ძამიკოს — ყველას, ყველას მოუხმე, ნუ გეზარება! წითელფარფლება, წამოეგე, წამოეგე ანკესზე!

ბიჭებს იაკუბიც შეუერთდა:

— წამოეგე ანკესზე, წამოეგე ანკესზე, თუ არ წამოეგები, სულელად გადაქცევი!

ყველა თევზი თანახმა იყო სულელად გადაქცეულიყო, ოღონდ ანკესზე წამოეგება აეცდინა. არც ერთი თევზი არ უჯერებდა იაკუბს. ის კი არა და, ყურსაც არ იბერტყავდნენ; შეიძლება შეებერტყათ კიდევ, მაგრამ ყურები არ ჰქონდათ და რას შეიბერტყავდნენ.

რაც უფრო მაღლა იწევდა მზე, მით უფრო ნაკლებ ეტანებოდა თევზი ანკესს. მეთევზეებმა რამდენჯერმე გამოიცვალეს ადგილი, მაგრამ თევზები, თითქოს მოილაპარაკესო, ახლოს არ ეკარებოდნენ სატყუარას. მოკლედ, ტყუილად ჯდომას აზრი აღარ ჰქონდა, სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, დაჭერილი თევზები საჩქაროდ გოდორყურში უნდა გაეშვათ. მერე შიმშილმაც შეაწუხათ: მუცელში კატები უქნაოდნენ.

ნავი ლელიანს მიარღვევდა. იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, სადაც გოდორყური იყო დამალული, ცხვირით ჩაერტო ლამში. გაბდულამ და აიღარმა შარვლები გაიხადეს და საჩქაროდ გოდორყურისაკენ გაემართნენ. აი ისიც — გოდორყური! სწორედ იმავე ად-

გილზე დახვდათ, სადაც დატოვეს... მაგრამ მოიცა. ეს რა არის?!
თითქოს ლელიანი ირხევა ირგვლივ?! ბიჭები ადგილზე გაშეშდნენ...
გოდორყურში მსხვილი ნაფორთა თევზები, ფარფლ-წითელები და
ქორჭილები დგაფუნობდნენ. თხუთმეტზე ნაკლები არ იქნებოდა.
შეიძლება ოციც იყო! აი სასწაული თუ გინდა! ნეტავ აქ საიდან
მოხვდნენ?! გოდორყურის სახურავი სწორედ ისევე იყო დაკეტი-
ლი, როგორც მათ დატოვეს. თევზი თავისი ვერაფრით ვერ შეი-
ვრებოდა შიგნით. მაშასადამე, ამ საქმეში ადამიანის ხელი ერიო.

ხანდახან ისიც ხდება, რომ სხვისი გოდორყურიდან თევზს იპა-
რავენ. როცა გაბდულა და აიღარი უგუნურები იყვნენ, ერთი-
ორჯერ მათაც ჩაუპარებიან ხელი სხვის ბადეში. ვაზირი კი... მას-
ზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ ვინმეს რომ თავისი თევზი
სხვის გოდორყურში ჩაესვას, ასეთი სასწაული გაგონებთაც კი
არავის გაუგონია. მთელ არწივეთში კაცი არ მოიძებნება, ამ ამბავს
რომ დაიჯერებდეს. თუ სცადე და ვინმეს მოუყევი, ასე და ასე
მოხდაო, მეტიც არ უნდათ, მაშინვე მატყუარას სახელს მოგაკერ-
ბენ.

— აი ესეც, ბებიაჩემის თქმისა არ იყოს, სასწაული. ამაზეა
ნათქვამი: კარგი ქენი, ქვაზე დადე, გამოივლი წინ დაგხვდებო-
რა გაეწყობა! ზედმეტი ქონება არავის გადაუყრია! — თქვა გაბდუ-
ლამ.

— შეიძლება ვინმეს თავისი გოდორყური ეგონა და იმიტომ
გაუშვა შიგ თევზები? — საკუთარი მოსაზრება გამოთქვა აიდარმა.

— შენც იტყვი რაღა! ჯიბე მაგრა დაიჭი, რამე არ დაკარგო.

— თუ შეცდომა არ არის, მაშინ აქ რაღაც ეშმაკობასა აქვს ად-
გილი, — კვლავ გამოთქვა თავისი აზრი აიდარმა.

— შენ სულ ეშმაკობა გელანდება! — შეიშმუშნა ამხანავზე არა-
ნაკლებ საგონებელში ჩავარდნილი გაბდულა.

— იცით, ვინ იზამდა? — თქვა ნაპირზე მდგარმა იაკუბმა. — მე-
თევზებების მფარველი ჯადოქარი!

— რაო, ჯადოქარიო?! თანაც ამას პიონერი ამბობს! — და აი-
დარმა გადაჭრით უარყო ეს წინადადება.

ბიჭები საგონებელში ჩავარდნენ. თვითონ წინამძღოლიც ვერ

ჩასწვდა გოდორყურში სხვისი თევზების მოხვედრის საიდუმლოებას. მოკლედ, ამოცანა ამოუხსნელი დარჩა.

ჩვენი მეთევზეებისათვის მეორე დღე უფრო იღბლიანი გამოდგა: თითქმის ნახევარი ვედრო თევზი დაიჭირეს. სამაგიეროდ ახლა უფრო მეტად შეშფოთდნენ: გოდორყურს ხელახლა შეემატათ თევზი. ამასთან, თევზებს შორის აღმოჩნდა სამი ოქროსფერი კარჩხანა. ბიჭებს გაოცებისაგან ენა ჩაუვარდათ, არ იცოდნენ, ემხიარულათ თუ დამწუხრებულებიყვნენ. აი, რომ მოჰკლებოდა, სწვა საქმე იყო, მაშინ იტყოდნენ, ვიღაც ოხერი შემოეჩვიათ, და ეჭვს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ვაზირზე მიიტანდნენ.

— ბიჭებო! — თქვა იაკუბმა. — მოდი, კარგი რამ ვიფიქროთ. შეიძლება, უბრალოდ, ქუდბედი დაგვეცა. ჩვენ ხომ სხვისთვის არ მოგვიპარავს.

— ის რაც უწრომლად გეძლევა, არაფრით გაიხსნავდება ქურობისაგან, — დაასკვნა მოღუშულმა მეთაურმა.

— მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ჩვენი თევზი რომელია, მოდი, მაშინ სხვისი გავუშვათ და ამით დამთავრდება ყველაფერი! — მტკიცედ განაცხადა აიდარმა.

მაგრამ ამ მტკიცე განცხადებიდან საქმეზე რომ გადასულიყვნენ, ბიჭებს გამბედაობა არ ეყოთ. როგორ შეეძლოთ, თავისივე ხელით გაეშვათ ამდენი საუცხოო, ლამაზი თევზი? ეს ხომ სიბრძნე იქნებოდა!

— აბა დაფიქრდით: რისთვის ვიჭერთ თევზებს? იმიტომ ხომ არა, ტაფაზე შევბრაწოთ და მერე მივირთვათ? — თქვა მეთაურმა.

— გასაგებია. იმიტომ კი არ ვიჭერთ, რომ ჩავაკნატუნოთ! — ტუჩების ლოკვით დაუდასტურა აიდარმა.

— რახან ასეა, გაუშვი, ჭერჭეროებით გოდორყურში იცურონ. დანარჩენი მერე მოვიფიქროთ.

— თუ ცოდვის ჩადენისა გეშინიათ, დეე, ჩემს კისერზე იყოს, მე ხომ არაფერი დამიჭერია, — დიდსულოვნებით შესთავაზა იაკუბმა.

— აქ „შენი“ და „ჩემი“ არ არსებობს, ყველაფერს ერთად ვაქეთებთ და პასუხსაც ერთად ვაგებთ. ჩვენ ყველაფერი საერთოდ ვაქვს! — შეაწყვეტინა გაბღულამ.

ასე იყო თუ ისე, ამ უცნაურმა ამბავმა ბიჭებს მოსვენება დაუკარგა. თუმცა ისიც სათქმელია: არც ჩვენი ბიჭები იყვნენ ისეთი დოჟლაპიები, რომ ვიღაცისათვის თავი აბუჩად აეგდებინებინათ.

მესამე დღეს ისინი ხან შუაგულ ტბაში დაცურავდნენ, ხან განგებ შედიოდნენ ლელიანში, მოსაჩვენებლად თევზაობდნენ. ბოლოს ნაპირზე გამოვიდნენ. ნავი ლელიანში შეათრიეს, თვითონ კი გოდორყურის მახლობლად მალალსა და ხშირ ისლში დაიმაღლნენ. ეს ეშმაკობა ჯერ კიდევ გუშინ მოიფიქრეს, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, ამ საიდუმლოებისათვის ფარდა უნდა აეხადათ, თორემ მოთმინების ძაფი გაწყდომაზე იყო.

დიდხანს იწვნენ ბიჭები და ტბას გასცქეროდნენ. არსად არაფერი არ ინძრეოდა. აყრილი ლელიანის ყავისფერ თავებს, ხის ტოტებსა და ბალახის ლეროებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ დილის ძილიდან გამოსვლა. ბუჩქებში მოჭიკჭიკე ჩიტებს კი ბიჭები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, — საამისოდ არ ეცალათ.

დილის ნიაგმა დაუბერა და ტბის ზედაპირი აათრთოლა. აშრიალდა ლელიანი, თითქოს აბუტბუტდა და უსაყვედურა მეზობლებს, რატომ გამაღვიძეთო.

ნიაგმა ხის ფოთლებში გაინავარდა. ფოთლები გაზაფხულობით ძალიან ნაზები არიან; ჰოდა, კი არ ჩხუბობენ, ერთმანეთს ალერსიანად ესალმებიან. ქარმა ჩაიქროლა და ირგვლივ ყველაფერი მიყურდა. სიჩუმეში პეპლების ფარფატიც კი ისმოდა.

ორმა თუ სამმა საათმა გაიარა. ბიჭებს საათი არ ჰქონდათ. პატარაობისას დროს ყველა კუჭის მიხედვით იგებს: თუ მოშივდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ საუზმობის, სადილის ან ვანშმობის დროა. მეთევზეების კუჭის საათები კარგა ხანია უჩვენებდნენ, რომ საუზმობის დრო გავიდა და აგერ შუადღე მობრძანდება. ასეთ შემთხვევაში მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი.

— აქ წოლა პირდაპირ წყლის ნაყვია. — ამოიხვნეშა იაკუბმა.

აიდარმა მას არახჩინი ააფარა პირზე და მუშტით დაემუქრა. იაკუბი მაშინვე გაჩუმდა.

მოულოდნელად იქვე ახლოს მსუბუქი ჭრიალი გაისმა. ასეთი ჭრიალი ყოველი მეთევზისათვის ნაცნობია. ასე ხომ ნიჩბის პალოები ჭრიალებენ. ბიჭებმა ყური ცქვიტეს. ლელიანის შრიალი და

წყლის ტლაშუნი მოისმა. ეტყობოდა, მენიჩზე კეთილი სული არ იყო: რალაცას შიშობდა და ძალიან ფრთხილად მოქმედებდა. ბიჭები ღრმად ჩაიმაღლნენ ლელიანში. დაინახეს: გობივით ბრტყელ ნაგში ვაზირი იჯდა. ის ფრთხილად იყურებოდა გარშემო. მერე ალბათ დარწმუნდა, ირგვლივ არავინ არისო, და ნავი ნაპირთან მიიყვანა. კიჩოზე ტომარა იყო მიბმული, რომელიც უკან მისთრევდა ნავს. ტომარაში რალაც ფართხალებდა და ტლაშუნობდა. ვაზირი ნავიდან გადმოხტა, შეხსნა ტომარა და იმ ადგილისაკენ გაათრია, სადაც გოდორყური იდო.

აჰა! აი თურმე რაში ყოფილა საქმე! ვაზირს ალბათ თავისი დაქვრივი თევზები ეცოტავა და სხვისი თევზების მოპარვა გადაწყვიტა. შეხედე, როგორი ხარბია! ასე არ გამოვა, ვაზირ! შენს ყოველ ნაბიჯს სამი წყვილი გამჭირახი თვალი უთვალთვალეს! აბა სცადე და ხელი ახლე! ბიჭები ძლივს ფარავდნენ აღშფოთებას. წარმოიდგინეთ, ვილაც დალოცვილი უჩინმაჩინივით ეხმარება მათ, ვაზირი კი გაქურდვას უპირებთ!

გაბდულა და მისი ამხანაგები წინდაწინ ზეიმობდნენ ქურდის გამოაშკარაებასა და შერცხვენას: „მაგას ვუჩვენებთ სერს!“ -- ფიქრობდა თვითეული ცალ-ცალკე. საქირო იყო, ცოტაც მოეცადათ და ქურდს ქურდობაზე წაუსწრებდნენ.

ვაზირმა გოდორყურს სახურავი ფრთხილად ახადა. რაკი ბიჭებისაგან ზურგშექცევით იღვა, ისინი დიდი სურვილის მიუხედავად ვერ ხედავდნენ მის საქმიანობას. სამაგიეროდ კარგად ესმოდათ თევზების დგაფუნე. აჰა! ალბათ მათ თევზებს თითო-თითოდ აწყობს ტომარაში. იქნებ ღროა, გამოცვივდნენ სამალავიდან? ბიჭებმა გაბდულას შეხედეს, მაგრამ მან ანიშნა, მოიცადეთო.

აი ქურდმა მოათავა თავისი საქმიანობა, მჭიდროდ დახურა გოდორყურის სახურავი და ის-ის იყო მიმალვას აპირებდა, რომ ნაპირიდან გაბდულას მრისხანე შეძახილი გაისმა:

— გაეზი, ქურდბაცაცავ!

ვაზირი შეკრთა და მიიხედა. თავისი ამხანაგები რომ დაინახა, თვალების ხამხამს უმატა და დაბნეულად გაიღიმა. ამ ღიმილმა კიდევ უფრო გააღიზიანა ბიჭები. გაბდულამ დვაფადგუფით გაარღვია წყალი, სწრაფი ნახტომით მიიჭრა მასთან და მთელი ძალით

შემოჰკრა სახეში. მერე აიღარმაც დაუმატა თავის ანგარიშში. მაგრამ ვაზირი გამომტერებულებით იღვა და თავის დაცვას არც კი ფიქრობდა.

— აჰა! თევზით პირის ჩაგემრიელება გინდოდა? — დააცხრა გააფთრებული გაბღულა, — მაშინ ერთი სილა კიდევ გეკუთვნის! — და მან ხელახლა მოუღერა ხელი.

ამ დროს ვაზირი დაიხარა და წყლიდან ცარიელი ტომარა ამოათრია. ტომრიდან სწრაფი ჩხრიალით გადმოიღვარა წყალი, შიგ კი არაფერი არ მოძრაობდა.

— სად წაიღე თევზი? ჩვენს ჯიბრზე გაუშვი ხომ ტბაში? — კვლავ მიუახლოვდა გაბღულა.

— არ გამოიშვია, თუ არა გჯერა, ნახე.

გაბღულა და აიღარი გოდორყურს მისცვივდნენ. გაჭირვებით ასწიეს და ერთმანეთს დაბნეულად გადახედეს. გოდორყური სავსე იყო თევზით; იმაზე მეტიც აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ.

— საიდან მოიყვანე?

— მე ჩემი გოდორყური მაქვს, სხვა ადვილას დევს. იქ ბევრი თევზია... — უპასუხა ვაზირმა.

ნაპირზე მდგარმა იაკუბმა სიხარულისაგან ხელები გაშალა და წაუსტვინა კიდევ. ამასობაში დამძიმებული გოდორყური ხელიდან გაეშვათ ბიჭებს და ნელ-ნელა ჩაიძირა წყალში. თევზებს ქერცილი აუბრჭყვიალდათ და მხიარულად ადგაფუნდნენ წყალში...

აი თურმე რა ყოფილა! გაბღულამ და აიღარმა დამუნჯებულებით შეხედეს ვაზირს. ბიჭს ლოყაზე წითელ ლაქად აჩნდა წინამძღოლის ხელის ნაკვალევი. თვალებში კი წყენა და საყვედური ეხატებოდა, თითქოს ამბობდა: „ეჰ, თქვე...“ მაგრამ, ბიჭების დაბნეულობა რომ შენიშნა, მოულოდნელად ჩაცუქდა და თავშეუკავებლად ახარხარდა. ისე გულიანად იცინოდა, რომ ტიტველი მუცელი უხტოდა და წყალზე წვრილ-წვრილი წრეები ჩნდებოდა. ამ წრეების დანახვაზე აიღარიც ახარხარდა, მას გაბღულაც აჰყვა.

წყალში წელამდე ჩამდგარი ბიჭები დიდხანს იცინოდნენ, ხტოდნენ და ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ. ვინმე უცხოს რომ დაენახა, იტყოდა, ახირებული ხალხიაო. ყველაზე მეტად იაკუბი მხიარულობდა. მისი ამგვარი ზეიმი ადვილი მისახვედრი იყო, — ის ხომ აქამდე ისე გრძნობდა თავს, თითქოს ორ ცეცხლშუააო.

— ვაშა და ვაშა! — ყვიროდა იაკუბი. — ვაშა და ვაშა! რა მშვენიერად გამოვიდა!

— გუშინაც შენ ჩაყარე? — შეეკითხა დამშვიდებული გაბდულა.

— ჰო. — თავი დააქნია ვაზირმა.

— გუშინწინაც?

— ჰო...

— მერე და რატომ? — დაინტერესდნენ ნაპირზე გამოსულა ბიჭები.

— ისე, უბრალოდ... მინდოდა ჩქარა გავსებულიყო.

ვაზირმა ლოყაზე ხელი მოსვა:

— მაგარი ხელი გქონია, გაბდულა! — თქვა მან.

— კარგი ერთი, გეყოფა... — თქვა დანაშაულის შესხენებით წეცბუნებულმა გაბდულამ. — რაც იყო, იყო... განა შენ თვითონ...

— ვაზირს თევზაობაში ბედი აქვს! — საჩქაროდ ჩაერია იაკუბი და ამით წამოწყებული საუბარი სხვა მხარეს შეატრიალა. — ნახეთ, რა მსხვილი თევზები დაუჭერია!

— წვრილ-წვრილ თევზებს უკანვე ვყრიდი წყალში...

ამასობაში წინამძღოლს თავში ბრწყინვალე აზრი მოუვიდა.

— რამდენი საყრდენი აქვს „სამფეხას“? — იკითხა მან.

დაკვირვებულმა აიდარმა მაშინვე იგრძნო, საითაც უმიზნებდა გაბდულა.

— იმდენი, რამდენსაც დაუყენებ. ყველაფერი ოსტატზეა დამოკიდებული. გინდა ათი დაუყენე!

ამჯერად წინამძღოლს ბრძანება არ გაუცია, მან გადაწყვიტა, ამხანაგებისათვის მოკრძალებით ეთხოვა რჩევა. ვერ მოენელებინა, რომ ასე დაუმსახურებლად შემოჰყრა ვაზირს. თავის თავის უკმაყოფილო იყო. ბრძანების გაცემის ღირსი არა ვარო, — ფიქრობდა გუნებაში, — წინამძღოლი ხომ უფრო მომთმენი და თავშეკავებულნი უნდა იყოსო.

— ბიჭებო, — თქვა მან, — კარგი იქნებოდა, თუ ხელახლა მივიღებდით ვაზირს „სამფეხაში“. ვინც თანახმაა, ხელი ასწიოს.

ბიჭებმა ერთსულოვნად ასწიეს ხელი. ამხანაგების დიდსულოვ-

ნებით გულაჩუყებულმა ვაზირმაც კი ასწია ხელი. ყველანი კმაყოფილები იყვნენ, მაგრამ სიხარულს არც ერთი არ იმჩნევდა, რადგან უადგილოდ თვლიდნენ. ამგვარად, მრავალჭირგამოვლილი „სამფეხა“ კვლავ მაგარ საყრდენებზე იდგა. ამჯერად ის ეყრდნობოდა ოთხ უდრეკ ბიჯს.

ბიჭებმა სველი ტანსაცმელი გაწურეს და ჩაიცვეს. ვაზირმა ყველას მოასწრო, რადგან მთელ მის ტანსაცმელს მხოლოდ შარვალი შეადგენდა.

— რაო, მეტი ხალათი აღარ გაქვს? — მზრუნველობით ჰკითხა წინამძღოლმა — წვიმაში უხალათოდ დადიხარ?

— ხალათი როგორ არა მაქვს, სკივრშია შენახული. ასე განგებ დავდივარ, სხეული უნდა გავიკაუო!

ვაზირის ამხანაგებმა არ იცოდნენ, რომ ის ასე იკაუებდა სხეულს, და ეჭვის თვალით შეხედეს.

შინ მიდიოდნენ ბიჭები და ოცნებობდნენ. შორს აღარ იყო ის დღე. როცა კირამეტზე ტბას გააცოცხლებდნენ. ეს დღე ზეგისთვის იყო დანიშნული. სისხამ დილით დაადგებიან გზას. ახლა კი ორი ნავი შეწყობილად მიცურავდა აულისაკენ. პაპისეულ დიდ ნავში სამნი ისხდნენ; მეორე, დანჯღრეულ ნავში კი ერთი იჯდა. როცა ორივე ნავმა ტბის შუაგულს მიაღწია, წკრიალა მელოდითური სიმღერა გაისმა. ეს აიდარი იყო. საერთოდ ის ისე კარგად მღეროდა, რომ ბებიაშისი ხშირად ეტყოდა ხოლმე:

— შენ ისე ძალიან გიყვარს სიმღერა, ბაღიშო, არ შეიძლება უბედური იყო.

ან რატომ, რისთვის უნდა ყოფილიყო აიდარი უბედური? თუ ადამიანს განგებამ უბოძა ისეთი ხმა, რომლის მოსმენაც ყურს ეამება, გულს უმშვიდებს, ჭირ-ვარამს უქარწყლებს ყოველ სულდამულს, განა ეს თავისთავად დიდი ბედნიერება არ არის? აი ახლაც, აიდარის სიმღერა წკრიალით იღვრება ტბის ზედაპირზე. რაკრაკით ეფინება ნაპირებს და მთებს ახმიანებს... მაგრამ მარტო ნაპირებზე არ იფრქვევა ეს სიმღერა: ის ადამიანების სმენასა და გულსაც სწვდება.

სად არ უვლიათ,

რა არ უნახავთ

ორივეს ერთად: ცხენსა და ჯიგიტს.

აულის გარეუბანში ფარა გამოჩნდა. ყველაზე წინ მედიდურად ბებია იამლეგულის ცალრქიანი ჭრელი თხა მოაბოტებდა. ის აულის ფარის წინამძღოლია და ყველაზე გათავხედებული ბატონებიც კი ვერ უბედავენ გასწრებას მინდვრად. მაგრამ, როცა ფარა აულში შემოდის, ჭრელი თხა გვერდზე გადადგება ხოლმე და დანარჩენებს უთმობს გზას. ცხვრები, თითქოს ამას ელოდნენო, ბლავილით გარბიან წინ.

ამ დროს ბავშვების წკრიალა ხმა ისმის:

— ფარა მოდის! ფარა მოდის!

ეს შეძახილი მთელ ქუჩას ეღება, ეზოდან ეზოში გადადის. მაშინ ყველა სახლიდან ვინმე გამოდის, ჩერდება ჭიშკართან და ფარას ელოდება. იმათ საქონელს კი, ვისაც შვილები არა ჰყავს და თვითონაც სამუშაოდან დაბრუნება ვერ მოასწრო, მეზობლის ბავშვები ხვდებიან. უძველესი დროიდან დღემდე სულ ასეა ჩვენთან, არწივეთში.

დიდებიც და პატარებიც სხვადასხვა ხმით ეძახიან თავიანთ საქონელს:

— ბატონებო!

— ბეკეკებო!

ბებია სადღაც იყო წასული და დღეს ფარის შესახვედრად გაბღულა გამოვიდა. მანამდე კი იაკუბი ეწვია და ვაზირის ნაჩუქარი შურდული აჩვენა. საერთოდ იაკუბს სულ ეშინოდა, ვაითუ ბიჭებმა ვაზირისა და ჩემი ურთიერთობის ამბავი გაიგონო. ახლა კი ძალიან ბედნიერი იყო. რადგან ყველანი მეგობრები არიან, ერთმანეთთან დასამალიც არაფერი აქვთ. და მან ამაყად ამოიღო ჯიბიდან შურდული. გაბღულას საყვედური არ უთქვამს. პირიქით, როცა იაკუბმა აჩვენა, თუ როგორ ისწავლა სროლა, შეაქო კიდევ იგი. მერე ორივენი ფარის შესახვედრად გაეშურნენ.

ბიჭებმა ეზოში შეიყვანეს ერთი ძროხა და ორი ცხვარი, თვითონ კი სახლში არ შესულან. არწივეთში ადრე არავინ არ შედის სახლში. თავიანთ საქონელს რომ შერეკავენ ეზოში, ჭიშკართან ჩერდებიან და სხვის ნახირს აცილებენ. თუ საჭიროა, მეზობელს ეხმარებიან გაჯიუტებული ცხვარ-ძროხის მობრუნებაში. სალამოს

ეს ხმაური, საქონლის მოსახმობი ძახილი, ზმუილი და ბლავილი რომელიღაც პატარა დღესასწაულს მოგაგონებთ.

კარგი გამცილებელივით ნახირს — ყველაზე ჯანდავ ძროხებსაც კი — ასიოდე ნაბიჯით უკან რჩება ღია წაბლისფერი ხარი. მოდის თვალგბდასისხლიანებული ქვემო ქუჩიდან. ამ ხარზე ამბობენ, ძალიან ირქინებაო. თუმცა შესახედაობით არცთუ ისე დიდი და საშინელია, მაგრამ ბავშვები დანახვისთანავე აქეთ-იქით იფანტებიან: ზოგი ჭიშკარს ეფარება, ზოგი მესერზე იბლოტება. აი ახლაც, გამოჩნდა თუ არა, გაბდულა და იაკუბი მესერზე შესკუბდნენ; შიში რა სათქმელია, — ეს ისე უბრალოდ, — ჩვეულებად გადაექცათ. ყოველი შემთხვევისათვის იაკუბმა ჯიბიდან შურდული ამოიღო და შიგ კენჭი ჩადო, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, შეიძლება გამომაღგესო.

და უცებ მოულოდნელი რამ მოხდა.

ის იყო ხარი გაბდულას ჭიშკარს გაუსწორდა, რომ მეზობელი ბაღიდან გულნური გამოვარდა. სწორედ მაშინ ბრუნდებოდა მკერავიდან ახალ, წითელ კაბაში გამოწყობილი და სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. ხან მარჯვნივ შებრუნდებოდა, ხან — მარცხნივ, ისწორებდა ფუმფულა ქობას, ესიყვარულებოდა ლამაზ დიდებს და ვერაფერს ვერ ხედავდა ვარშემო; ქლურტულებდა და ქლურტულებდა:

— ახ, გულნურ! რა ლამაზი კაბა გაქვს! სიხარულში! ბედნიერებაში! უცვეთელი და მუდამ ასეთი ლამაზი ყოფილიყოს!

გულნურის კაბა მართლაც რომ თვალწარმტაცი რამ იყო და წაბლა ხარსაც ზედ შუა ქუჩაში რომ მიაბოტებდა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ასეთი ლამაზი წითელი კაბისათვის. ხარი თითქოს გაშეშდა გოცებისაგან და გადმოკარკლული თვალები კიდევ უფრო ჩაუსისხლიანდა. წითელი კაბა კი ცეცხლივით ბრდღვიალებდა და აღიზიანებდა მას. ხარმა ძირს დახარა თავისი მძიმე, რქიანი თავი და ნელ-ნელა მიუახლოვდა გულნურს.

— გულნურ, გაიქეცი! — დაუყვირა შეშფოთებულმა გაბდულამ. გულნური შეკრთა და თავი ასწია, მაგრამ მისთვის ამქვეყნად

თავისი ლამაზი კაბის გარდა არაფერი არ არსებობდა და ამიტომაც მაშინვე ვერ შეამჩნია საფრთხე. ამასობაში ხარი უკვე გადახტა არცთუ ისე ღრმა თხრილზე, კიდევ უფრო მეტად დახარა თავი და ბღავილით გაექანა გულნურისაკენ. ბავშვის განწირული ყვირილი გაისმა. წითელი კაბა გაფრიალდ-გამოფრიალდა. აი, საცაა რკინისავით მაგარი, წვეტიანი რქები მალე აიტაცებს და მთელი ძალით დაანარცხებს მიწაზე; მერე ძლიერი ჩლიქებით გათქერავს.

— დედა! დედიკო!

გაბდულა ელვისებური სისწრაფით ჩამოხტა მესერიდან, სარქენლად გამზადებულ ხარს გოგონა გამოსტაცა და შემოლობილს იქით კვლებში გადაისროლა. იმავე წამს გამძვინვარებული ხარი გაბდულასაკენ გაექანა. ბიჭმა გვერდზე გახტომა ვეღარ მოასწრო: ორ რქას შუა მოქცეული ჰაერში ავარდა და წვეტიან ქვაზე დაენარცხა. ხარმა უკან დაიხია და მიწას ჩლიქებით თხრა დაუწყო. წამიც და— კიდევ უფრო მეტი გააფთრებით გაექანა თავისი მსხვერპლისაკენ. მაგრამ ამ დროს იაკუბის შურდულიდან გასროლილი ქვა მწარედ მოხვდა თვალში. ტკივილისა და სიბრაზისაგან გაცოფებულმა ხარმა თავი გააქნია, ერთ ადგილზე დატრიალდა და შემდეგ გზაზე გავარდა.

ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. ყოველი მხრიდან გამორბოდა ხალხი.

გაბდულა მოკეცილი იწვა. მისი გაფითრებული სახე უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. ცდილობდა, არ ეკვნესა... კბილებით ხალათის კალთას კვნებდა. ხარი გააგდეს. შეშფოთებული ხალხი გაბდულას შემოეხვია. ვიღაცას უნდოდა წამოეყენებინა, მაგრამ ბიჭმა სიმწრისაგან შეჰყვირა:

— ხელი... ხელი!.. — მისი ტუჩების კუთხეებში სისხლი მოყო-ნავდა და ნიკაპზე ჩამოსდიოდა.

გულნურმა რომ დაინახა, შეშინებულმა დაიწივლა.

— რა გაწივლებს! — მკაცრად შეაწყვეტინა ახლოს მისულმა აიდარმა.

შეგროვილი ხალხი მომხდარ ამბავზე მსჯელობდა; ყოველი მათგანი ცდილობდა, თანაგრძნობა გამოეხატა, თავისი სიტყვა ეთქვა: ზოგი ხარს სწყველიდა, ზოგი — ხარის პატრონს.

— რაც პატრონია, საქონელიც ის არის.

— რაღა გველი და რაღა ხარის პატრონი.

— ყოჩაღ, გაბდულა! აი მესმის რაინდი, გოგონა გადაარჩინა!

— სულ უბრალოდ გაფუჭდა ბიჭი...

— ენის ტარტარს ის სჯობია, ვიღონოთ რამე!

— მხოლოდ ერთი გამოსავალია — საჩქაროდ საავადმყოფოში უნდა გავავზავნოთ.

— რით წაიყვან, ამ დროს აულში არც ერთი მანქანა არ არის?

— წადი, იაუმბაევ, საჩქაროდ ცხენი შეკაზმე!

იაკუპი და აიდარი ხმამაღულღებლივ მისჩერებოდნენ თავიანთ მეთურს. იაკუპს ლაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. აიდარი გულს იმაგრებდა, ვაზირმა, რომელიც ამ დროს ქუჩაში უდარდელად გარბოდა, ცხვირი შეჰყო შეჯგუფულ ხალხში და მიწაზე გაშლართული გაბდულა რომ დაინახა, მოულოდნელობისაგან პირი დააღო.

— რას გაჩერებულხართ! საავადმყოფოში უნდა გავვზავნოთ! — თავდავიწყებით შეჰყვირა იქ მყოფთ, ხალხის წრე გაარღვია და ქუჩაში გავარდა. — ცხენია საჭირო! მანქანაა საჭირო! ახლავე ყველაფერს ვიშოვი!

მაგრამ შარიფულამ დაასწრო: ქუჩაში მიმავალი ფორანი გააჩერა და შუახნის მეფორნე შეჯგუფებულ ხალხთან მიიყვანა.

— აი, ბიჭი დაამტვრია ხარმა.

— ხარმა... ხარმა ურქინა.

— საავადმყოფოში წაყვანაა საჭირო. — ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ.

— ბიჭი თავის ჭიშკართან იდგა, აქ კი — წითელკაბიანი გოგონა... ხარი მისკენ გაექანა...

მაგრამ მეფორნემ ბოლომდე არ მოისმინა.

— ბიჭი ფორანში გადაიყვანეთ. — გასცა მან განკარგულება.

ხალხი აფუსფუსდა. ვიღაცამ ფორანში რბილი თივა ჩააფინა. შარიფულამ ფრთხილად აიყვანა ბიჭი ხელში და შიგ ფრთხილადვე ჩააწვინა. გაბდულა თავს ძალას ატანდა, რომ არ წამოეკვნესა. პირში ხალათის კალთა ჩაიტენა, მაგრამ ჩაშვებულნი თვალის ძირები და გაფითრებული სახე მის ტანჯვაზე უფრო მეტს მეტყველებდა, ვიდრე კვნესას შეეძლო გამოეხატა.

ფორანს გაკრული ბიჭები შიშითა და იმედით მისჩერებოდნენ თავ-

ვიანთ წინამძღოლს. ისინი მზად იყვნენ, მის პირველსავე დაძახილზე მისცვივნოდნენ დასახმარებლად და უყოყმანოდ გაეზიარებინათ მისი ტანჯვა.

— აბა, დროა, დავიძრათ. ვინ გამოჰყვება ბიჭს? — იკითხა მეფორნემ.

— ჩვენ... ჩვენ წამოვალთ! ეს ჩვენი ამხანაგია! — საცოდავად ეხვეწებოდნენ ბიჭები.

მაგრამ შარიფულა უკვე დაჯდა მეფორნის გვერდით, კოფოზე.

— ბებიაშისი შინ არ არის... უჩემოდ კი არაფერი გამოვა! წავიდეთ! — თქვა მან.

ფორანი ნელ-ნელა დაიძრა სოფლის გაყოლებით. წინ შორი გზა იდო — ოცდახუთი კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი აულ კულტაბანამდე. ფორანმა ფრთხილად შემოუარა ტბის შორეულ ნაპირს და თვალს მიეფარა. ხალხმა ნელ-ნელა იწყო დაშლა. მხოლოდ სამი ამხანაგი ჯერ კიდევ იდგა და გაჰყურებდა შორეულ გზას, რომელიც მთებზე გავლით აულ კულტაბანისკენ მიემართებოდა. შეშინებულები იდგნენ და გონს ვერ მოსულიყვნენ. გაბდულა, ახლახან რომ ხტოდა და დარბოდა, წკრიალა ხმით ბრძანებებს იძლეოდა და მათთან ერთად ტბაზე დადიოდა — სწორედ ის გაბდულა ახლა ფორანში წევს, როგორც შვრიით გატენილი ტომარა, და შარიფულას მიჰყავს რომელიღაც შორეულ საავადმყოფოში. ბიჭები გაბდულას ჭიშკართან იდგნენ და დიდხანს გასცქეროდნენ გზას, მთებში რომ იკარგებოდა.

ხომ ვინახავთ ბელურას ბარტყები, კატა რომ დედას მოსტაცებთ?... აი სწორედ ამ ბარტყებს ჰგავდნენ ბიჭები.

წერილი

მას შემდეგ, რაც გაბდულა წაიყვანეს, ბიჭები სათევზაოდ აღარ წასულან, მაგრამ თევზებს ნახულობდნენ და აჭმევდნენ.

გადიოდა დღეები. აულში ყველაფერი ძველებურად იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ წაბლა ხარი დაკლა პატრონმა. რა თქმა უნდა, თვითონ არ გაიმეტებდა დასაკლავად, ხალხს რომ არ აეტეხა ხმაური: თუ არ მოგვაშორებ, მოვითხოვთ, ჩამოგართვან, შენ კი სასამართლოზე გადაგცემთო.

ამ ხნის განმავლობაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: აიღარმა თავის დას დაპირება შეუსრულა. ფერმის სხვენზე ბელურას ბუდეს მიაგნო, ორი ბარტყი ამოიყვანა და ადვილად შეატყუა ტოროლას ბარტყების ნაცვლად. მაგრამ, ვიდრე აიღარი იმ ბარტყებისათვის გალიას გააკეთებდა, გულნურმა ორივე გაუშვა.

ვაზირის ცხოვრებაშიც მოხდა ახალი ამბავი: დედამ ყვითელი სატინის ხალათი შეუკერა. მაგრამ რა, მაინც არ იცვამდა, ხვნის დღესასწაულისათვის ინახავდა, — მაშინ ჩაეცვამო. იაკუბს ძველი კოპები და ჩალურჯებულები გაუქრა, მაგრამ ახლები მიემატა — ის ჯერ კიდევ ბეჯითად ებრძოდა თავის „სამაგალითობას“. თქვენ წარმოიდგინეთ, აულში და მის ახლომახლო არ დარჩენილა არც ერთი ხე. რომ ზედ არ ამძვრალიყო, არც ერთი კლდე, რომელზეც არ აფოფხებულიყო, არც ერთი ორმო და თხრილი, თავს რომ არ გადავლებოდა. ყველაფერ ამას თანდათან დედამისიც კი მიეჩვია.

გაბდულას უბედურების ამბავმა საზაფხულო საძოვრებამდეც მიადწია, სადაც დედამისი მუშაობდა. მეორე დღეს ტირილითა და გოდებით დაბრუნდა აულში და მაშინვე, ისე რომ ცხენისთვის უნაგირიც არ მოუხდია, კულტაბანაში გავარდა. მისი არც მოსვლა და არც წასვლა არავის გაუგია, ბებიას გარდა. ბებიას კი უკვე შესრობოდა ცრემლები. როცა დედამ შვილი ცოცხალი ნახა საავადმყოფოში, ცოტა დამშვიდდა. გაბდულას ორი ნეკნი ჩამტვრეოდა და მარცხენა ხელი ჰქონდა მოტეხილი.

— ნორჩი ძვლები ადვილად მთელდება, — თქვა ექიმმა და გაბდულა შეაქო, — თქვენი ყმაწვილი მომთმენი, გამძლე ბიჭია, გაიზრდება და ნამდვილი ჯიგიტი დადგება.

დედამ ცრემლები მოიწმინდა და სიამაყით გაიფიქრა: „ზედგამოჭრილი მამაა! მამაცი, გაბედული. ხარს ისე ეცა, არც დაფიქრებულა, და გოგონა გადაარჩინა“.

შვილის ვაჟკაცობა დედასაც გადაედო; გაბდულასთან გამომშვიდობებისას არ უტირია. როცა საზაფხულო საძოვრებზე დაბრუნდა, ყველას უყვებოდა თავისი შვილის ამბავს და სიამაყით დაამატებდა ხოლმე:

— გამოცხადებული მამაა...

იმ დღეებში ღიღსაც და პატარასაც — ყველას პირზე ეკერა გაბ-

დღლას სახელი. გულნურის დედა, ვისთანაც ენა მიუწვდებოდა, ყველას ეუბნებოდა:

— საუკუნოდ დავალებული ვარ ამ ბიჭისაგან. ეგ რომ არ ყოფილიყო, ჩემი გოგო ახლა გამოტირებული მეყოლებოდა.

კვერცხსა და ერბოს უნახავდა გაბდულას. ფიქრობდა, როგორც კი საავადმყოფოდან გამოვა, გემრიელ ძღვენს მივართმევო.

ბებია ნაგიმა მიჩვეული იყო ყოველგვარი ჭირ-ვარამის უსიტყვოდ გადატანას, ამიტომ გულს იმაგრებდა, ცრემლს არ აჩვენებდა არავის, მაგრამ, როცა მარტო რჩებოდა, მწარედ მოთქვამდა:

— წაიყვანეს გაბდულა, წაიყვანეს. ვინ იცის, როგორ იტანჯება საცოდავი! ნეტავი კი არ დამეკარგებოდეს ჩემი ერთადერთი ბაღიში, ჩემი ერთადერთი სიხარული!

მაგრამ ბებია ნაგიმას როგორც არ უნდა ეტირა და ევიშვიმა, მაინც არ ავიწყდებოდა თავისი შვილის მუჰამედის მედალი და ყოველ ხუთშაბათს წმენდდა.

ათი დღის შემდეგ ბებიამ გაბდულასაგან წერილი მიიღო და, თუმცა თვითონ არ შეეძლო წაკითხვა, მაინც ვერ მოითმინა, ფრთხილად გახსნა კონვერტი, წერილი გამოიღო და დიდხანს ათვალეირებდა სინათლეზე შვილიშვილის ბატიფეხურს. მხოლოდ ამის შემდეგ დაუძახა გაბდულას სამივე მეგობარს. იმ სამში ყველაზე უკეთეს წამკითხველად იაკუბი ითვლებოდა. მსმენელებმა წყნარად და დარბაისლურად მოიკეცეს ტახტზე. იაკუბმა გადაწყვიტა, ფეხზემდგარს წაეკითხა. მერე მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა და საზეიმო ხმით დაიწყო:

გიგზავნი სალამს. პასუხს ველი.

ძვირფასო და დიდად პატივცემულო ბებია! შენ ალბათ მკითხავ, რატომ დავაგვიანე პასუხი. მკითხავ და გიპასუხებ. აღმოჩნდა, რომ ორი ნეკნი და მარცხენა ხელი მქონდა მოტეხილი. გარდა ამისა სამი დღე ვიწექი და სისხლს ვიღებდი — ალბათ ღვიძლი და ელენთა დაიძრა ადგილიდან და ყელში მომებჯინა. ახლა ყველაფერი თავის ადგილზეა. საწოლში ჩამაწვინეს და

სიარულის ნებას კი არა, საჭირო ადგილზე წასვლის უფლება-
საც კი არ მაძლევდნენ, სირცხვილისაგან ხაით გამქცეულიყავი,
არ ვიცოდი. მარცხენა ხელი თაბაშირში ჩამისვეს, რომელიც მა-
შინვე გამაგრდა. ხელის აწევა ვცადე, არაფერი გამოვიდა, —
ძალიან მძიმე იყო. ახლა ხელი აღარ მტკივა, მაგრამ თაბაშირის
შიგნით ძალიან მექავება. სუნთქვის დროს მარცხენა მხარეს
ჩხვლეტას ვგრძნობ. მაგრამ ეს ჩხვლეტა ახლა ისე ძალიან არ
მაწუხებს, როგორც ადრე. საერთოდ კი ვცდილობ, ფრთხილად
ვისუნთქო.

ჩემი შარვალ-ხალათი გამხადეს და დიდი თეთრი საცვალი
და პერანგი მომცეს. მედიცინის დამ საცვალი გრძელი, წვრილი
დოღბანდით ამიბა, აი ისეთით, ჭრილობებს რომ უხვევენ. სა-
ავადმყოფოში ძალიან ცხელა, ბუზები რომ არ შემოფრინდნენ,
ფანჯრებზე დოღბანდია აფარებული, მაგრამ ბუზებს რას და-
იჭერ, სულ ერთია, მაინც ახერხებენ შემოფრენას. საჭმლის შემ-
დეგ სხვადასხვა ხილეულისაგან დამზადებულ ტკბილ წყალს
გვაძლევენ, რომელსაც კომპოტს ეძახიან. ძალიან გემრიელი
ყოფილა კომპოტი.

უკანასკნელი სტრიქონის წაკითხვისას იაკუბმა ტუჩები გააწკლა-
ბუნა.

ბებია, აქ ძალიან კარგი ექიმები არიან. ყველაზე მთავარი
ექიმი პალატაში რომ შემოდის, ყოველთვის იღიმება, მეალერ-
სება და მხიარულად მეკითხება ხოლმე:

— როგორ არის საქმე, ვაჟკაცო?

თმები მანქანით გადამპარსეს, მაგრამ სულაც არ მტკენია.
აი, როცა ალაბირდე მკრეჭს ხოლმე თმას, თვალებიდან ყოველ-
თვის ნაპერწკლები მცვივა.

ერთ პალატაში სამნი ვართ. ფანჯარასთან რომ წევს, იმ ბი-
ძიას არყის მაგიერ ქაღალდების დასაწებებელი თხევადი წებო
დაელია და ნაწლავები ერთმანეთზე ჰჭონდა მიკრული; მაგრამ
გამოურეცხეს და ახლა ყველაფერი რიგზე აქვს. მეორე ძია კი,
რადიომიმღების გვერდით რომ წევს, ტყეში ხის ქვეშ მოჰყო-
ლია, ენის წვერი მოუკვნეტია და ახლა ვეღარ ლაპარაკობს.

აქ უკვე ძალიან მომწყინდა, ალბათ ჩემი სოფლიდან მოშორებას ვერ ავიტან, ვიდარდებ და ავად გავხდები. ჩემი ტანსაცმელი რომ მოეცათ, დღესვე უწყობანოდ გამოვიქცეოდი.

ბებია! ამ წერილს ალბათ ან აიდარი ან იაკუბი წაგიკითხავს. ვინც არ უნდა წაგიკითხოს, სულ ერთია, უთხარი ხშირ-ხშირად ინახულონ თევზები და საჭმელიც მიუტანონ, თორემ შიმშილით სული ამოსტვრებათ. მართლა, დამავიწყდა, დედაჩემისთვის მეკითხა, როგორ არის გულნური? ხელ-ფეხი მთელი თუ აქვს?

ბებია! ცოტადენი საჩუქარი გადაგინახე: თერთმეტი ცალი ნამცხვარი, რვა კამფეტი და ათი ნატეხი შაქარი. არ იფიქრო, რომ მე მოვიკელი, — რაც ზედმეტი იყო, ის შეგინახე.

დასასრულს კი ერთ რამეს გთხოვ: ნათესავებსა და მეგობრებს ჩემი სალამი გადაეცი. შენ და დედასაც ჩემი სალამი, ვაზირს, აიდარს და იაკუბს — განსაკუთრებული სალამი და მოკითხვა. ჩემზე, ბებია, ნუ იდარდებ. ექიმმა თქვა: „ის რა ვაჟკაცია, ვისაც ნაჭრილობევი არა აქვსო“.

ამით ვამთავრებ წერილს. მიმღები ბებია. გამგზავნი გაბდულა. 9 ივლისი, 1950 წელი.

წერილის წაკითხვის შემდეგ ბებია ნავიმამ იაკუბს ცარიელი კონვერტი გაუწოდა:

— აბა ერთი ნახე, შვილო, ამ ქაღალდს მეორე მხარეს თითქოს რაღაც აწერია:

კონვერტის მეორე მხარეს ეწერა:

ეს კონვერტი სწორედ იმ ბიძიამ მომცა, წებო რომ დალია. მარკა კი პირდაპირ კონვერტზე იყო დაკრული.

ბებია ნავიმა წერილს რომ უსმენდა, ბაღის მთელი თორმეტწლიანი ცხოვრება თვალწინ დაუდგა. თითქოს სულ ახლახან იყო, გაბდულას ფეხის ადგმაზე, მისი პირველი ნაბიჯის გადადგმაზე რომ ოცნებობდა, შემდეგ ელოდა, ენას როდის ამოიდგამსო; მერე — როდის წავა სკოლაშიო... ახლა კი, აუპ, იმ სიშორიდან, აულ კულტაბანადან, მშვენიერი წერილი მოსწერა შვილიშვილიმა.

ეს იყო გაბდულას ხელით დაწერილი პირველი წერილი.

გადაწყვიტეს, პასუხი არ დაეყოვნებინათ. პირველ რიგში ბებია ნაგიმამ აიღარს ფული მისცა და ფოსტალიონთან გაგზავნა, კონვერტი და მარკა მომიტანეო. გაბდულას დაუმთავრებელი რვეულიდან სუფთა ფურცელი ამოხია, მაგრამ სახლში ვერც კალამი და ვერც მელანი ვერ ნახეს — წინამძღოლი თავშენახული ბიჭი ვერ იყო. იაკუპს სახლში გაქცევა მოუხდა.

ყველაზე კარგი ხელწერა ვაზირს ჰქონდა და წერილის დაწერაც მას დაევალა. რა თქმა უნდა, ვაზირს ეს წერილი თავისი ჭკუა-გონებით არ დაუწერია. მხოლოდ იმას წერდა, რასაც ბებია ნაგიმა კარნახობდა მკაცრი წესითა და რიგით.

— „დიდად პატივცემულო ჩემო ძვირფასო შვილიშვილო გაბდულა...“ დაწერე? — ჰკითხა ბებიამ.

ვაზირმა ქეჩო მოიქექა:

— დაწერით დაწერე, მაგრამ არ ვიცი, ეს „დიდად პატივცემულო“ ერთად დაწერო თუ ცალ-ცალკე?

— ისე დაწერე, როგორც საჭიროა. ისე ცალ-ცალკე ჯობია, ვიდრე ერთად. ცალ-ცალკე დაწერე!

— რას ნიშნავს „დიდად პატივცემულო“?

— მე თვითონაც ზუსტად არ ვიცი, შვილო, მაგრამ ამ სიტყვების გარეშე წერილის დაწყება არ შეიძლება — უთავბოლო გამოვა... შენ კი მაინცდამაინც ნუ ჩამაცივდები, რასაც გეუბნებიან, ის დაწერე. მოდი, თავიდან დავიწყოთ!

დიდად პატივცემულო ჩემო ძვირფასო შვილიშვილო გაბდულა!

მანამდე, ვიდრე თავის გულითად სიტყვას გეტყოდეს, მდაბლად გიკრავს თავს და უნაზეს სალამს გიგზავნის ბებიაშენი, რომელიც თვალს არ აშორებს კულტაბანას მხარეს, სადაც შენ წიგნბარ საავადმყოფოში, და მოუთმენლად ელის შენს მალე დაბრუნებას. სალამი დედაშენისაგანაც, რომელიც ამჟამად მწველავად მუშაობს საზაფხულო საძოვრებზე, მდინარე ურალის ნაპირებზე, და დღე და ღამე არ ასვენებს შენზე ფიქრი. ამას გარდა, სალამი თავის დაკვირვებით ბებია იამლეგულისაგან,

რომელმაც ბეზიქალობით დიდი ამაგი დასდო მარტო მამაშენის კი არა, დედაშენის გაჩენასაც და რომელიც ამჟამად დიდი პატივისცემითა და სახელით სარგებლობს შენს სახლშიც და აულშიც. მოკითხვა პაპა ალაბერდისაგან, პაპაშენის ნადირობის მეგობრისაგან, და მთელი მისი ოჯახისაგან; თვითონ შარიფულასაგან, რომელმაც თავისი ოქროდღირებული დრო არ დაიშურა, არაფრად ჩათვალა შენზე წვალება და თავისი ჭალარით პატივი გცა, თვითონ წაგიყვანა საავადმყოფოში და თავისი ხელით გადაგცა დასტაქარს. მოკითხვა თავის დაკვრით თვით მამაშენის საუკეთესო მეგობარ კოჭლ სახიზგარისაგან, რომელიც რომ ამჟამად კოლმეურნეობის გამგეობაში მოანგარიშედა. მოკითხვა აგრეთვე ყველა ჩვენი მეზობლისაგან, ვიზედაც დამოკიდებულია ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა. ამით ვამთავრებ მოკითხვებს.

— ჩვენგან? — შეეკითხა იაკუბი.

ბებია ნავიმა მიხვდა თავის წინდაუხედაობას და მაშინვე გამოასწორა:

— სანამ „ამით ვამთავრებს“ დაწერდე, მანამდე მიაწერე, — თქვა მან, — „დიდი მოკითხვა შენი თანატოლების აიდარის, ვაზირისა და იაკუბისაგან, ვისთან ერთადაც იზრდებოდით, თამაშობდით და მხიარულობდით. ამით ვამთავრებ მოკითხვებს...“

ჩემო შვილიშვილო გაბღულა! შენი ოქროზე ძვირფასი და აბრეშუმზე უმშვენიერესი წერილი 1950 წლის თორმეტ ივლისს შუადღისას მოვიდა ჩვენთან და თავიდან ბოლომდე რამდენჯერმე წავიკითხე შენს ამხანაგებთან აიდართან, იაკუბთან და ვაზირთან ერთად. როგორც ჩანს, ტყუილად არ მიკვნესოდა გული, გრძნობდა, რომ ძვირფასი ძეგლები გტკიოდა. რა გქნა! ნეტამც ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდეს. რამდენი ადამიანი იხსენი მწუხარებისაგან ერთი უდანაშაულო ბავშვის გადარჩენით. წყუულ ხარს რომ შენ წინ მოეკლა გოგონა, მთელი სიცოცხლე არ გეძინებოდა მოსვენება, შენს თავს დაადანაშაულებდი სიმხდალეში, ვაჟაკობის უქონლობაში და სული შენი ვერ

ასცდებოდა ტანჯვას. სულიერი ტანჯვა კი ხორციელ ტანჯვაზე ძნელია, რადგან სხეულის ავადმყოფობა გაივლის, სინდისის ქენჯნა და სულიერი ტკივილი კი — არასოდეს. იწევი წყნარად, შვილო, და ექიმებს ყური დაუგდე. როგორც კი გამოჯანმრთელდები, მაშინვე ტელეფონის ხაზით შეგვატყობინე. თვითონ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თქვა, ისეთი ფეხმარდი ბედაური გავუგზავნო, უწინ მარტო ღუბერნატორებს რომ ეკადრებოდაო!

შენ მწერ, ხელი მექავებაო. კარგი იქნება, არყის ხის ცოცხით დაიორთქლო. შენს დასტაქარს უთხარი, განკარგულება გასცეს, აბანო გაახურონ, ოღონდ ისე, რომ ორთქლი ძალიან ცხელი არ იყოს. მადლობას მოგახსენებ შენახული საჩუქრებისათვის, შენი სიტყვები ყველა საჩუქარზე უფრო ძვირფასია ჩემთვის. როცა ძალიან მოგეწყინოს, ჩემთვის შენახული ტკბილეული შენ თვითონ შეჭამე, ისე ჩათვალე, ვითომც მე გამომეგზავნოს. მინდოდა ერთი ქილა ნაღები და ათიოდე კვერცხი გამომეგზავნა, მაგრამ თავმჯდომარე დაუღეტმა დამიშალა, მითხრა, საავადმყოფოში საკმაო საჭმელს აძლევენო.

მინდა გაცნობო, რომ ჩვენი მეურნეობა, საქონელი და ფრინველი ისევ ისეა — კარგად და ხელუხლებლად. ქათმები კვერცხს დებენ. ჭრელმა დედალმა თორმეტი წიწილი გამოჩეკა. ძროხამ წველას უმატა. ამ დღეებში მე და ბებია იამლეგულმა გადავწყვიტეთ, ცოტა ჰაერი ჩაგვეყლაპა, მინდორში გაგვევლო. იქ ხშირი, მშვენიერი ჯეჯილი ბიბინებს. ირგვლივ სიმშვიდეა და ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ აი, ქვემო ქუჩაზე ამირხანის აბანო დაიწვა. გელოდებით, მალე დაბრუნდი ცოცხალი და ჯანმრთელი. დიდხანს ვფიქრობდი და გადავწყვიტე: როცა ჩამოხვალ, მთელი დღით მოგცემ მამისეულ მედალს, დაიბნიე მკერდზე და ატარე. შენ ხომ, ჩემო ბიჭიკო, ისეთი საქმე გააკეთე, რომ ღირსი ხარ, ერთი დღე კი არა, მეტ ხანსაც ატარო.

ჰო, გულნურის ამბავს მეკითხებოდი. გულნური კარგად და ჯანმრთელადაა. ამით ვამთავრებ ჩემს ჩიტის ენასავით მოკლე წერილს. გისურვებ ნათელით მოსილ გზას ცხოვრებაში. სალამს გითვლი შენი ბებია.

აქ ბებია ნავიამ თავისუფლად ამოისუნთქა და თავი დაუქნია ვაზირს:

— დაკეცე წერილი.

— როგორ? თევზებზე? — აფორიაქდნენ ბიჭები.

— რა თევზებია? ადრეც მინდოდა მეკითხა, მაგრამ დამავიწყდა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ეს საიდუმლოა, ბებია.

— რაკი საიდუმლოა, თვითონ დაუმატეთ თქვენი ჭკუით! თქვენ ხომ საიდუმლოებები არ გამოგვლევათ!

ბიჭებმა ვაზირს ანიშნეს და მანაც მოკლედ მიაწერა:

გაბდულა, ნუ გეფიქრება, თევზები უვნებლად არიან, მალე დაბრუნდი. ამ წერილს ბებიაშენი კარნახობდა, ვაზირი კი წერდა.

ვაზირმა კონვერტს ლამაზი ბეჭდური ასოებით დააწერა მისამართი და ხაზიც კი გაუსვა სიტყვებს: „მიიღოს გაბდულა იულამანოვმა“.

— მომეცით, ბებია, მე ჩქარა გავიქცევი და საფოსტო ყუთში ჩავუშვებ. — შესთავაზა იაკუბმა.

— გმადლობთ, შვილებო, მე თვითონ ჩავუშვებ. სულ ერთია, მაინც იქით უნდა გავიარო. — თქვა ბებია ნავიამ.

მერე კალათიდან, ღუმელს უკან რომ იღგა, ექვსი კვერცხი ამოიღო და ორ-ორი დაურიგა ბიჭებს.

ბიჭებს გამორთმევა არ უნდოდათ, მაგრამ უარი ვერ უთხრეს. როგორ შეიძლება პატივისცემაზე უარის თქმა? არწივეთში ამ ჩვეულების დარღვევას უკუდო ამპარტავნობას ეძახიან.

— იაკუბ, იქნებ ცოტა ხნის შემდეგ შემოგველო და ერთხელ კიდევ წაგეკითხა გაბდულას წერილი, — უთხრა ბებია ნავიამ, როცა ბიჭებს აცილებდა.

ბიჭები რომ წავიდნენ, ბებიამ სკივრიდან თავისი გრძელი ჭრელი კაბა და მწვანე ხავერდის კამზოლი ამოიღო. ამ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილმა თავზე ქიშმირის ახალი თავშალი მოიხვია, მაგრამ ბებია ნავიმა არსად არ იყო წასასვლელი. მას სურდა, შვილიშვილისადმი მიწერილი წერილი თავისი ხელით გაეგზავნა.

სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის გამოეწყო ასე სადღესასწაულოდ.

კლუბთან რომ მივიდა, ბებია ნაგიმამ მარცხნივ საფოსტო ყუთი შეამჩნია. რა უყურადღებონი არიან ეს ფოსტის მუშაკები! — ყუთი სქელი მტვრით იყო დაფარული. თავდაპირველად ბებია შეეცადა სულის შებერვით მოეშორებინა მტვერი, მაგრამ როცა დაინახა, ასე ვერაფერს გახდებოდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და აუჩქარებლად, საგულისგულოდ გაწმინდა ყუთი. მხოლოდ ამის შემდეგ ახადა ვიწრო ჭრილს და შიგ თავისი ძვირფასი წერილი ჩაუშვა.

საქმე მოთავებული ჰქონდა, მაგრამ ბებია ნაგიმას წასვლა არ უნდოდა. იდგა და ყუთს მისჩერებოდა, ბებრული თბილი ხელებითაც კი მიუაღერსა და მერე წაიჩურჩულა:

— დაე ფრინველის ფრთები გამოესხას ჩემს წერილს!..

გ ზ ა

თუ კარგად დაგუკვირდებით, ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება. ერთ საღამოს, როცა ბიჭები ძროხებს აძოვებდნენ და ჩვეულებრივ გაბდულაზე ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ, მოულოდნელად თავში ბრწყინვალე აზრი დაეზადათ: არ დაუცადონ გაბდულას საავადმყოფოდან გამოწერას და ხვალვე გაემგზავრონ მასთან! თორემ გამოდის, რომ „სამფეხას“ მეთაური საავადმყოფოში წევს, ესენი კი, თითქოსდა აქ არაფერიაო, სეირნობენ, დარბიან და თამაშობენ! ეს როგორი მეგობრობაა! რა თქმა უნდა, ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ წავიდნენ გაბდულასთან! ასეთი უბრალო რამ აქამდე როგორ ვერ მოიფიქრეს? სახლში დაბრუნებისთანავე სამივემ თავ-თავიანთ დედებს მოახსენეს, რომ ხვალ განთიადისას დაადგებიან გზას.

გაბდულას სახელის გაგონებაზე არც ერთ დედას უარი არ უთქვამს. დეიდა გულემეში უყოყმანოდ დათანხმდა შვილს, აიღარის დედას კი გაუხარდა კიდევ:

— აღრევე უნდა მოგეფიქრებინათ, თორემ რას გავს, დაეხეტე-

ბით უსაქმოდ. — თქვა მან და თავისი ოჯახის მცირე მარაგიდან გაბღულასათვის კვერცხები და ერბო გადადო.

იაკუბის დედამ მომცრო ქილით თაფლი და რამდენიმე კვერი გაუშვავა. კურბანბეიკამ კი შავი მოცხარისაგან გაკეთებული ტყლაპის დიდი ნაჭერი გააჩინა.

— ამით ჩაი დალიოს, მოცხარი ძვლების ტკივილს აყუჩებს. — თქვა მან.

აიდარმა ღროებით თვითონ იკისრა წინამძღოლობა და, საღამოთივე მისცა ამხანაგებს სხვადასხვა დავალება. იაკუბს, რომელსაც ტანსაცმელის მხრივ ყველაზე უკეთ ჰქონდა საქმე, დავალა ორი ხალათი და ორი შარვალი ჩაეცვა.

— დამცხება. — სცადა შედავება.

— არა უშავს, სიცხე ძვლებს არ აღნობს.

— კი მაგრამ, რად მინდა ორი შარვალი და ორი ხალათი? — ჩაეძია იაკუბი.

— შეიძლება გამოგვადგეს. — მოკლედ მოუჭრა აიდარმა.

ამჯერად ვაზირმა თავისი ყვითელი სატინის ხალათის ჩაცმა ინება. უხერხულია ასე შორს, სხვის აულში, უხალათოდ წასვლა. ყოველგვარ საქმეში ზომიერებაა საჭირო.

როცა მზის პირველმა სხივებმა პორიზონტიდან ამოანათა, სამი ბოხჩიანი ბიჭი უკვე გზას ადგა. თავდაპირველად ისინი საკმაოდ ხალისიანად მიაბიჯებდნენ. მთის ფერდობებზე ერთმანეთსაც კი ეჯიბრებოდნენ თავქვე სირბილში, მაგრამ რაც უფრო მალლა იწვედა მზე, მით უფრო ნელი და მძიმე ხდებოდა ჩვენი მგზავრების ნაბიჯები. ბოლოს მთის ცივ ნაკადულთან შეჩერდნენ და წყალს დაეწაფნენ. მაგრამ წყალმა არაფერი უშველათ, რადგან შიოდათ.

— მოდი, ბიჭებო, შევმაგრდეთ. — წინადადება მისცათ ვაზირმა.

ამ დროულ წინადადებაზე არავის უარი არ უთქვამს.

ბიჭებმა ნაკადულის პირას მოიკეცეს და მადიანად დაიწყეს „შემაგრება“. მაგრამ არც ერთს არ შეუნიშნავს, რომ მთელი დღის მარაგი შემოეჭამათ ხელში.

— არაფერია, — თქვა აიდარმა, — ჯობია, მთელი დღის მარაგი ჩვენს მუცელში ინახებოდეს!

კიდევ ერთხელ დალიეს წყალი და ბიჭები ხელახლა დაადგნენ

გზას. გზა ცარიელი იყო, — არც ცხენი, არც მანქანა არ წამოსწევიათ. გადაიარეს მთები, ტყეები და ველისკენ მიმავალ გზატკეცილზე გავიდნენ. ვაზირს, რომელიც მამასთან ერთად შარშან ორჯერ იყო კულტაბანას ბაზარზე, კარგად ახსოვდა გზა. როცა ბიჭებმა გზის ნახევარი გაიარეს, მისაბმელიანი სატვირთო მანქანა წამოეწიათ, მისაბმელზე ჯაჭვით მაგრად შეკრული გრძელი მორები ეწყო.

სამივემ მაშინვე ხელი ასწია. მანქანა გაჩერდა. ახალგაზრდა შოფერმა კაბინის კარი გამოაღო:

— საით, ვაჟკაცებო!

— კულტაბანასაკენ. — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

— რა გინდათ კულტაბანაში?

— ჩვენი ამხანაგი წევს საავადმყოფოში — ხარმა ურქინა; სანახავად მივდივართ. წაგვიყვანე, ძია!

— ტვირთი ძალიან მძიმეა, — გაიხუმრა შოფერმა, — დიდი სიამოვნებით, თუ მანქანა გასწევს!

— გასწევს. სწორი გზაა, ჩვენ კი ბუმბულივით მსუბუქები ვართ. — დაარწმუნა იაკუბმა.

— რა გაეწყობა, თუ მართლა ასეთი მჩატეები ხართ, დასხედით, ოღონდ იცოდეთ, კაბინაში ორზე მეტს ვერ ჩავსვამ, ერთ-ერთს მაღლა აძრომა მოუხდება!

— ჩვენ ყველანი მაღლა დავსხდებით, ძია!

— თქვენი საქმეა, ოღონდ ფრთხილად, არ იცეკლოთ, თორემ გადმოცვივდებით! უბედურება თქვენზე მძიმე იქნება! — მკაცრად თქვა შოფერმა.

ბიჭები წამში აცვივდნენ მანქანის ძარაზე. მათ დაღლილ, მტკრიან სახეებს ვარდისფერი დაედო. ხასიათზე მალე მოვიდნენ. ველის გზა სწორი და რბილი იყო. მანქანა თითქოს ნანას ამბობსო, წყნარად მიირწეოდა. გზის ორივე მხარეს ხშირი ყანა აყრილიყო. მსუბუქი ნიავი ნორჩ თავთავებს ეთამაშებოდა. შორს კი მთები ლურჯად მოჩანდა. აული არწივეთი თვალთაგან მიეფარა და მთებს შორის ჩაიკარგა; მთის კალთებიდან კვამლის სვეტები ზევითკენ მიემართებოდა; ამ კოცონებს საზაფხულო საძოვრებზე მყოფი მწყემსები ანთებენ. მთის მწვერვალთა შორის ყველაზე მაღლა თეთრად გაბრწყინ-

ნებული კირამეტი ამართულოყო. ტყუილად ხომ არ ეძახიან კირამეტს ჩვენს მხარეში მთების მეფეს!

ბიჭები ყურადღებით ათვალიერებდნენ მათთვის უცნობ ადგილებს. აიღარმა სავსე გულით წამოიწყო თავისი საყვარელი სიმღერა:

თუ დაღლილი ფეხები ველარ დავიმორჩილე,
მაშინ ფორთხვით დავბრუნდები ჩემს მშობლიურ მხარეში...

სიმღერა ყველაფერს გავიწყებს ამ ქვეყანაზე. აი ახლაც — აიღარს დაავიწყდა, რომ ხელში ბოხჩა ეჭირა და თუ სიმღერის ტაქტს ააყოლებდა, ადვილი მოსალოდნელი იყო რაიმე მაგარისათვის ეთხლიშა მანქანის ძარაზე. თეთრი ნაჭრიდან კი უკვე კარგა ხანია წვეთავდა გატეხილი კვერცხის გული. ეტყობა, გაბღულას მისართმევად გადადებული კვერცხი ძალიან მყიფე აღმოჩნდა. მაგრამ არც აიღარს და არც მის ამხანაგებს არ შეუმჩნევიათ ეს. მზემ და ქარმა მალე გამოაშრო ყვითელი ლაქა და ეს უმნიშვნელო შემთხვევა ღრმა საიდუმლოებად დარჩა. კულტაბანას მახლობლად შოფერმა მანქანა შეაჩერა.

— მე აულში არ შევივლი, პირდაპირ მივდივარ. ნუ დამძრახავთ, ბიჭებო, ბოლომდე რომ ვერ მიგიყვანეთ, — თქვა კაბინიდან თავგამოყოფილმა შოფერმა და ღიმილით დაუმატა, — სიმღერისათვის გმადლობთ. არც კი შემიმჩნევია, როგორ მოვედით. ვინ მღეროდა ასე კარგად?

— აი ეს, — ამაყად უპასუხა იაკუბმა და თითო წაჰკრა აიღარს.

— ყოჩაღ, ჯელო! — შეაქო შოფერმა.

ბიჭები მანქანიდან ჩამოხტნენ.

— გმადლობთ, ძია.

— დიდი მადლობა! — ერთმანეთს არ აცდიდნენ ბიჭები.

გრძნობამორეულ აიღარს უნდოდა, გაბღულას ბოხჩიდან ორი კვერცხი მიეცა შოფრისთვის საგზლად, მაგრამ მოერიდა, „ვაითუ არ აიღოს, ხომ შევრცხვებით“, — გაიფიქრა მან, ზურგს უკან მოიფარა ბოხჩა და გაიმეორა:

— გმადლობთ, ძია!

ამდენ მადლობადაც არ ღირს. მეც მხიარულად ვიმგზავრე. მშვიდობით, ბიჭებო! იარეთ სულ პირდაპირ, მთავარ ქუჩაზე, სა-

ავადმყოფო აულის იმ ბოლოშია. — თქვა შოფერმა, თავი დაუკრა ბიჭებს და ადგილიდან დაიძრა.

საავადმყოფო შორს არ იყო. შუა აულამდე რომ მივიდნენ ბიჭები, ნაკადულთან შეჩერდნენ, ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიბურტყეს და ხელ-პირი დაიბანეს. მოგეხსენებათ, საავადმყოფოში მიდიოდნენ, საქონლის ბაჭში კი არა, ყოველგვარ საქმეს თავისებური თადარიგი სჭირდება.

საავადმყოფო ფართოპარამლიან ხის შენობაში იყო მოთავსებული. პარმალზე თეთრხალათიანი შუახნის ქალი იჯდა, მუხლზე მატყლის ძაფის გორგალი ედო და მოსასხამს ქსოვდა. ცოტა მოშორებით კიდევ ერთი ფიცრული სახლი იდგა. მის მახლობლად სკამზე ახალგაზრდა ქალი დამჯდარიყო და ძუძუს აწოვებდა ჩვილს. ტოტეზიანი ფიჭვის ქვეშ, ბალახზე, ორი მამაკაცი იჯდა. ეზოში, ბოძიდან ბოძზე გაჭიმულ თოკზე, გარეცხილი თეთრეული ეფინა. პარმალზე მჯდომი ქალი, თავაუღებლად რომ ქსოვდა, ხანდახან თეთრეულს გახედავდა ხოლმე. ეტყობა, თხების ეშინოდა, რომლებიც იქვე ახლოს ძოვდნენ ბალახს. თხებს ძალიან უყვართ თეთრეულის ღეჭვა.

— აბაი! — ზრდილობიანად მიმართა ვაზირმა შუახნის ქალს. — ამხანაგის სანახავად მოვედით. მას გაბდულა იულამანოვი ჰქვია.

— იულამანოვი უკვე გამოკეთდა. მეოთხე პალატაში წევს სრულიად მარტოდმარტო. ოღონდ ახლა არ შეიძლება შესვლა, ავადმყოფებს წყნარი საათი აქვთ. შესვენების შემდეგ თვითონ გამოვა. ჩვენთან ასეთი წესია.

ამ წესს მაინცადამაინც არ გაუხარებია ბიჭები. იმიტომ ხომ არ გამოიარეს ამხელა გზა, რომ დასხდნენ და უცადონ, როდის დამთავრდება წყნარი საათი.

— ძვირფასო აბაი, შეგვიშვი, — შეეხვეწა იაკუბი, — წყნარად, ძალიან წყნარად შევალთ პალატაში, სულ ფეხის წვერებზე.

— არც ფეხის წვერებით და არც ქუსლებით არ შეიძლება შესვლა! წადით და შემდეგ მოდით! — მტკიცედ თქვა ქალმა.

— შორიდან მოვედით, აბაი... არწივეთიდანა ვართ!

— რა მნიშვნელობა აქვს, არწივეთიდანა ხართ თუ საყვავე-თიდან. რაკი არ შეიძლება, არ შეიძლება!

ბიჭები ეზოდან გამოვიდნენ და დიდი არყის ხის ჩრდილში წამოწვნენ.

— ჰო, ცუდად მოგვივიდა! ტყუილად დაეკარგეთ დღე! — თქვა აიღარმა.

— დანავსულ ფეხზე ვიარეთ! — ამოიხვნეშა იაკუბმა.

— ასე წოლითა და ოხვრით არაფერი გამოვა. რაღაც უნდა მოვიფიქროთ. — გაეპასუხა ვაზირი.

ბიჭებმა ერთმანეთთან ახლოს მიიწიეს; შეთქმულებივით ჩურჩულებდნენ. რაღაც მოილაპარაკეს და ხელახლა გასწიეს საავადმყოფოს ეზოსაკენ. ქალი ძველებურად პარმალზე იჯდა და გამალებით ქსოვდა მოსასხამს.

— ძალიან ნელა კი გადის დრო, — ზმორებით თქვა ვაზირმა, — მიჩვეულები არა ვართ უსაქმოდ ჯდომას... რაიმე საქმე ხომ არ გეშოვებათ, აბაი? ასე მოქნარებას უკეთესი იყო რამე გავგეკეთებინა.

— ვინც მუშაობას არ გაუბრბის, მისთვის სამუშაო ყოველთვის მოიძებნება. — საქსოვიდან თვალმოუშორებლად თქვა ქალმა.

— თქვენ მხოლოდ გვითხარით, რა გავაკეთოთ, და მერე ჩვენ ვიცით, სამივენი ვეძგერებით და თვალის დახამხამებაში ვაკეთდება ყველაფერი.

— მაშ კარგი, — მოულოდნელად დატყბა ქალი, — თუ არ გეზარებათ, აი გარეცხილი თეთრეული მთლიანად გაშრა, მე კი ქსოვას ვეშურები, თუ ჩამოხსნით და ფარდულში შეიტანთ, მადლობას გეტყვით... — ქალმა გაიღიმა, — გაგიგონიათ ანდაზა? ერთი მადლობა ათასი უბედურებისაგან გიხსნისო! ჰოდა, თქვენც იმუშავეთ, თუ გეხალისებათ. მხოლოდ სარეცხი არ დაგიცივდეთ და არ დასვაროთ!

— ფრთხილად ვიქნებით, აბაი...

ბიჭები საქმეს შეუდგნენ. უნდოდათ, მკაცრი დედისათვის ესიამოვნებინათ, ამიტომ ძალიან ფრთხილად და სუფთად ხსნიდნენ თოკიდან სარეცხს და ფარდულში შეჭქონდათ.

„კარგი ბავშვებიც არიან ამ ქვეყანაზე, — ამბობდა თავის გუნებაში ქალი, ბიჭებს რომ უყურებდა, — ჩემი შვილი იმასაც არ აკეთებს, რაც მისთვის სავალდებულოა, ესენი კი თვითონ ეტანებიან საქმეს“.

— გმადლობთ, ბიჭებო! მუყაითი ყმაწვილები ყოფილხართ! — ხმამაღლა შეაქო, როცა თოკი დაცარიელდა, — გმადლობთ, ბალებო!

— თქვენი მადლობა უკვე მოვისმინეთ, აპაი. ახლა გვინდა ამ მადლობამ კიდევ ერთი უბედურებისაგან დაგვიხსნას! ჩვენ მაინც ამხანაგთან შესვლა გვინდა! — თქვა აიდარმა.

— აი თურმე როგორი ეშმაკები ყოფილხართ! მე კი გონს ვერ მოვედი! — გაიცინა ქალმა. — აბა, რა გიყოთ! ექიმმა რომ გნახოთ, ყველას მოგვხვდება!

— მოგვხვდება თუ არ მოგვხვდება, ჩვენ მაგის არ გვეშინია!

— არა, არ შეიძლება, სამივეს ერთად ვერ შეგიშვებთ...

— თქვენც ადექით და ორი შეუშვით. აი ეს, — აიდარმა ვაზირი სახელოთი მოქაჩა, — ეზოში მოიცილს.

— კარგი, მხოლოდ იცოდეთ, არ იხმაუროთ! — ქალმა მიმოიხედა და ჩურჩულით დაუმატა: — მეოთხე პალატა, შეხვალთ თუ არა, მარჯვნივ მეორე კარი...

აიდარი და იაკუბი ფეხის წვერებით შევიდნენ შიგნით და ფრთხილად გაიხურეს კარი.

ვაზირი პარმაღზე ჩამოჯდა, მქსოველი დეიდას გვერდით.

— ვის უქსოვთ ასეთ ლამაზ მოსასხამს? — ეშმაკურად შეეკითხა.

— ჩემმა ქალიშვილმა მთხოვა, თვითონ დრო არა აქვს: მთელი დღე დაკავებულია, ხბორების დევნას უნდება. — ხალისიანად აუხსნა ქალმა.

— დედაჩემი კი მექათამეობის ფერმაში მუშაობს, — ვაზირი ცდილობდა საუბარი გაეგრძელებინა.

— რაო, მისი ქათმები კვერცხს დებენ?

— და მერე როგორ! ერთმანეთს ასწრებენ! ისე პანტაპუნტით ყრიან, აღებას ვერ ავუღივართ. — წაიტრაბახა ვაზირმა.

— ხედავ შენ! — გაოცდა ქალი.

ქალი ძალიან ენაწყლიანი ვინმე გამოდგა; საუბარი თანდათან გამოცოცხლდა. მან გული გაუხსნა ვაზირს და, რაც კი რამ გაუკეთებია თავის სიცოცხლეში, ყველაფერი ჩამოუთვალა: მოსასხამიც მომიქსოვია, ღუმელიც ამომიშენებია, ტანსაცმელიც შემიკერავს, თქვის

ჩექმებიც მომითელავს, თეატრშიც მითამაშია და, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ჯიგიტების გვერდით დღესასწაულზე ცხენით მიჯირითიაო... ვაზირი მხოლოდ განცვიფრებას გამოხატავდა: როგორი თავზეხელაღებული, მარჯვე ქალიშვილი ყოფილხართო, და შეკითხვებს აძლევდა, რაც შეეძლო, ცდილობდა, საუბარი გაეგრძელებინა.

მოულოდნელი სპუზრები

როცა იაკუბი და აიდარი პალატაში შევიდნენ, გაბღულა თავის საწოლზე იწვა და უსაქმურობისაგან ჭერზე ბუზებს ითვლიდა. ამხანაგები რომ დაინახა, მოულოდნელობისაგან შეკრთა და თვალები მოისრისა. ბიჭებიც ცოტათი დაიბნენ, შევიდნენ და გაქვავებული-ბივით გაჩერდნენ კართან.

— რაო, მოხვედით? — ჰკითხა გაბღულამ, რადგან სხვა სიტყვა ვერ მოძებნა.

— მოვედით. შენ უკვე გამოჯანმრთელდი?

— გამოჯანმრთელდი.

— არც ხელი გტკივა?

— უკვე აღარ მტკივა.

ბიჭები რიგრიგობით მიესალმნენ ავადმყოფს.

— გამარჯობა, გაბღულა!

— გაგიმარჯოთ. — ბიჭებს ხელი ჩამოართვა და იკითხა:

— ვაზირი რატომ არ მოვიდა?

— მოვიდა, მაგრამ არ შემოუშვეს, ეზოშია.

— საჩუქრები მოგიტანეთ. ეს ტყლაპი ვაზირისაგან არის. — თქვა აიდარმა და გაბღულას ბოხჩა მიაწოდა.

— გამდლობთ, მაგრამ ყელში არაფერი ჩამდის. სახლი მომენატრა. ბებიჩემი ხომ კარგადაა? თევზები როგორღა არიან? ხომ არ დაიხოცნენ?

— დაიხოცნენო?! ისეთი დგაფადგუფი გააქვთ წყალში!.. როდის გამოგიშვებენ?

— ამბობენ, ათი დღის შემდეგო... ერთი კვირის შემდეგ თაბაშორს მომხსნიან.

— ოპო-პო!

— აი შარვალი რომ მქონოდა, აქამდე გადმოვძვრებოდი ფანჯრიდან, გამოვიპარებოდი. ჰოდა, შარვალს არ მაძღვევენ, — ნაღვლიანად თქვა გაბდულამ და ფანჯარასთან მივიდა. ფანჯარა ტყის მხარეს გადიოდა და ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. — ვერც ერთი ძალი ვერ შემინიშნავდა... ამ ფარდას ჩამოვხსნიდი და — ჭირი მოგჭამა!

— ტანსაცმელი გვეყოფა, — ცოცხლად თქვა აიღარმა, — იაკუბს ყველაფერი ორ-ორი აცვია.

ბიჭებს არ უყვარდათ ჰაერზე ლაპარაკი: გაბდულას სააუადმოყოფოს ტანსაცმელი გააძვრეს და შარვლის ჩაცმაში მიეხმარნენ. იაკუბის ხალათი ვიწრო მოუვიდა. თაბაშირში ჩასმული ხელი ვერაფრის დიდებით ვერ გაყო სახელოში. მაგრამ ბიჭები არ დაბნეულან: იაკუბმა მხრიდან მაჯამდე ჩაფხრიწა სახელო.

— სახლში რომ მივალ, დედა გაკერავს. — თქვა მან.

ბეზიასათვის გადანახული ტკბილეული ბიჭების მორთმეული ძღვენით სავსე ბოხჩაში ჩატენეს. აიღარმა ფანჯრიდან ფრთხილად ჩამოხსნა ფარდა. როცა უკვე გადასახტომად მოემზადნენ, გაბდულამ ამხანაგები შეაჩერა:

— გამოუშვებოდებლად წასვლა უხერხულია.

კარადის უჯრიდან ქალაღი და ფანქარი ამოიღო და პატარა ბარათი დაწერა:

ძვირფასო ძია ექიმო! დიდად მაღლობელი ვარ თქვენი. მე უკვე მთლიანად გამოვჯანმრთელდი. ახლა კი შინ მივდივარ, ჩემს აულში. ბიჭებმა ტანსაცმელი მომიტანეს. ერთი კვირის შემდეგ, როცა თაბაშირის მოხსნის დრო იქნება, მე თვითონ მოვალ. ძალიან გთხოვთ არ გაჯავრდეთ.

გ ა ბ დ უ ლ ა ი უ ლ ა მ ა ნ ო ვ ი .

ფანჯარა მიწიდან მაღლა არ იყო. პირველად აიღარი გადახტა. მერე ფრთხილად ჩაცოცდა გაბდულა. აიღარმა გაბდულას ორივე ხელი მოხვია და ფეხზე დადგომაში მოეხმარა. ბოლოს იაკუბი გადახტა. დაცემისას მუხლი ფიჭვისა მაგარ ფესვს დაკრა. ძალიან ეტკინა, მაგრამ არც კი დაუკვნესია.

ბიჭებმა ირგვლივ მიმოიხედეს და ტყისაკენ გაიქცნენ. თვალს

რომ მიეფარნენ, შეჩერდნენ. აიღარმა ჩიტის გალობის მსგავსად დაუსტვინა. ვაზირის მახვილ ყურს ეს სტვენა ყველაზე სასიამოვნო მუსიკად მოესმა, მაგრამ ამხანაგების ნიშანზე უცებ არ წამოიხტარა ადგილიდან.

— ცოტა ხანს აი იმ ბუჩქს იქით გავივლი. — მშვიდად თქვა მან.

მაგრამ მის გვერდით მჯდომი ქალი სწორედ ამ დროს გატაცებით უყვებოდა იმ უკანასკნელ წარმოდგენაზე, რომელიც თვითონ დაედგათ კლუბში.

— მოიცადე, — თქვა მან, — ახლავე დაეამთავრებ.

— მე უკვე ვნახე ეს წარმოდგენა, ჩვენს აულში აჩვენეს. — მოუთმენლად თქვა ვაზირმა.

— თუ ნანახი გქონდა, ადრევე უნდა გეთქვა, მაშინ სხვას მოგიყვებოდი. ახლა იმ სპექტაკლზე მოგიყვები, რომელშიც...

ტყიდან ხელახლა მოისმა ფრინველის სტვენა.

— რა კარგია ზაფხული, — ამოიხვნეშა ქალმა, — გული ხარობს, როცა ფრინველები გალობენ!

— ვაი, ვაი, მუცელი! — უცებ დაიკვნესა ვაზირმა.

— კარგი მაშინ, წადი, — თქვა ქალმა უკმაყოფილო ხმით.

მოხრილი და მუცელზე ხელმიჭერილი ვაზირი ტყისკენ გაიქცა. უკან დაბრუნებისას ბიჭებს არც მანქანები უსწრებდნენ წინ, არც ცხენები. ისინი ფეხით მიდიოდნენ, მაგრამ საუბარში შეუშინევლად გადიოდა დრო. დადლილობა არც ერთს არ უგრძვნია.

გაბდულა მათ საავადმყოფოში გატარებულ უფერულ დღეებზე უყვებოდა.

— როგორ გამიხარდა, ბებიას წერილი რომ მივიღე! — გაიხსენა მან.

— მე დავწერე. — თავი მოიწონა ვაზირმა.

— კარგი ხელი გქონია. — მოწონების ნიშნად თავი დაუქნია გაბდულამ.

— წერილში ეწერა, რომ ბებია ნაგიმა ზამისეულ მედალს მოგცემს და შენ მთელი დღე ატარებ მკერდზე. — თქვა აიღარმა.

— მართალია, ასე ეწერა, — დაუდასტურა გაბდულამ, — მადლობელი ვარ ბებიასი, მაგრამ არ გავიკეთებ. — სერიოზულად დაუმატა მან.

— რატომ? ასეთ პატივზე რატომ ამბობ უარს? — გაიოცეს ბიჭებმა.

გაბდულამ თავი გააქნია.

— მამის დიდება შეიღზე ერთი ღლითაც კი არ გადადის. დიდება მამისეული ქუდი არ არის. — მტკიცედ თქვა მან.

ბიჭები გაჩუმდნენ, ისინი პატივისცემით შესცქეროდნენ თავიანთ მეთაურს.

— შეიძლება ასეც იყოს, — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა აიდარმა, — დიდება არ გადადის, მაგრამ ვაჟკაცობა კი გადადის შეილებზე. ასე თქვა შარიფულამ!

— ვაჟკაცობა გადადის! — მკერდზე ხელის მიდებით დაემოწმა ვაზირი.

— გაბდულაზე უკვე გადავიდა მამის ვაჟკაცობა! — აღფრთოვანებით თქვა იაკუბმა.

— ეს მართალია! — სიამაყით დაემოწმნენ ბიჭები.

გაბდულამ მხარზე ხელი გადახვია ამხანაგებს.

— შეხედეთ, აგერ კირამეტი!

ოთხი მგზავრი ბორცვზე შეჩერდა. კირამეტის მწვერვალზე უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთივით დაეშვა მზე. მზით განათებული მთა იმ ვულკანს ჰგავდა, რომელიც აბობოქრებულ მეწამულ ცეცხლს ანთხევს. ბიჭები აღტაცებით უყურებდნენ კირამეტს-აიდარმა უნებურად სიმღერა წამოიწყო:

და კირამეტი ქათქათებს თვთრად,
ახლაც შორით ჩანს, ყველაფრის იქით...
სად არ უვლიათ,
რა არ უნახავთ
ორივეს ერთად: ცხენსა და ჯიგიტს! —

ჩამოართვეს ბიჭებმა.

წინ კირამეტი! რამდენიმე ღლის შემდეგ თავის ოთხ საყრდენზე მაგრად მდგარი „სამფეხა“ სალაშქროდ გაემართება, რომ სიცოცხლე შთაბეროს მის მკერდზე მოკალათებულ ტბას! ნამდვილი ადამიანი, თუ ერთხელ დაადგა არჩეულ გზას, არ შეუშინდება არავითარ დაბრკოლებას და სანამ მიზანს არ მიაღწევს, უკან არ დაიხევს. არც

„სამფენა“ დაიხვეს უკან და მარტო უმაღლეს მწვერვალზე კი არა, უღიადეს მწვერვალზეც ავა!

გაივლის წლები. ჩვენი ბიჭები გაიზრდებიან და ჯიგიტები დადგებიან. ისინი სულ ახალ-ახალ მწვერვალებს დაიპყრობენ, უფრო მაღალს, ვიდრე კირამეტია. ბევრ ტბას ჩაუდგამენ აულს და დაამშვენებენ მარტო მიწას კი არა, ცასაც!

არა გჯერათ? მე მჯერა მათი.

მკითხველებს

დროა, ჩემს არწივეთელ მეგობრებს დავემშვიდობო. ამ წიგნის უკანასკნელ ფურცელს რომ ჩაათავებ, ჩემო მკითხველო, ალბათ შენც დაემშვიდობები. მეგობრებთან განშორება ძნელია და ამიტომ მე, ცოტა არ იყოს, მოვიწყინე. შენ?

წიგნში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩვენი პატარა გმირებიც ხომ სალსალამათნი დარჩნენ; თავსაც ბევრი არაფერი გადახდენიათ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გაბღულა დაშავდა. თუმცა მასაც ჭრილობები მალე მოუტრია. ჩემმა მეგობრებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს განსაკუთრებული საგმირო საქმეების ჩადენა, არაფრით გაუთქვამთ სახელი, არც მშობლიური აული უსახელებიათ, მაგრამ მათში მოხდა რაღაც ძალიან დიდი გარდატეხა. ზაფხულის რამდენიმე კვირის განმავლობაში ბიჭებმა ბევრი რამ გადაიფიქრეს, ბევრად უკეთესი მისწრაფებები გაუჩნდათ. მათ დაამტკიცეს, რომ მზად არიან ვაჟკაცური საქმეების ჩასადენად; თუ საჭირო იქნება, უკან არ დაიხვევენ.

ჰო, გმირობაზე მოგახსენებთ. მე მკონი, გმირობას არავინ იღენს წინასწარი განზრახვით: მოდი, ჩავიდენ გმირობას, ხალხსაც გავაკვირებ და დიდებასაც მოვიხვეჭო... ადამიანი მთელი თავისი შესაძლებლობით ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოსა და ხალხის წინაშე — შრომაში თუ ბრძოლაში — უანგაროდ. გმირობას არ ეძებენ; მას გამოიჩენენ ხოლმე იქ, სადაც საჭიროა გმირული ძალა და ნებისყოფა. სიმამაცე ვლინდება არა მხოლოდ გმირულ მოქმედებაში, იმგვარ გამოჩნდება შემთხვევებში, როგორცაა მაგალითად, ალექსანდრე მატროსოვის, ანდა ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირო-

ბა, არამედ ყოველგვარ, ერთი შეხედვით, უბრალო საქმეშიც. მე ვფიქრობ, მთავარია, გქონდეს შეუღრეკელი გული, ბავშვობიდანვე გამოიწროთ ვაჟკაცური ხასიათი, იჩენდე პატიოსნებას და გამბედაობას ყველგან და ყოველთვის.

მე მასსოვს ერთი შემთხვევა ჩემი ფრონტული ცხოვრებიდან. 1944 წლის გაზაფხულზე დნესტრის გადაღმა, პატარა პლაცდარშივე, მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოქცეული ჩვენი ერთი საარტილერიო გათვლა პირდაპირი დამიზნებით ურტყამდა იერიშზე გადმოსულ ფაშისტების ტანკებს. გარშემო ტყვიები ზუზუნებდა, ყუმბარები ფეთქდებოდა. მე როგორღაც გამტენს მივაქციე ყურადღება — ისე მშვიდად ტენიდა ქვემებს, თითქოს სახლშია და ღუმელს უკეთებს შეშასო. ის ამ დროს გმირობაზე და დიდებაზე კი არ ფიქრობდა, უბრალოდ გულისყურითა და რწმენით ასრულებდა არტილერისტის მოვალეობას, ამავე დროს, რა თქმა უნდა, გმირობასაც ჩადიოდა.

მართალია, ცოტათი გადავუხვებე, მაგრამ მეგობრები არ დამვიწყებია. როდესაც ამ წიგნს ვწერდი, ჩემშიც მოხდა რაღაც: სულითა და გულით შევიყვარე ჩემი ბიჭები და დავუმეგობრდი მათ. ეს კი არც ისე ცოტას ნიშნავს.

უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები, თუ შენც, ჩემო მკითხველო, დაუმეგობრდები მათ. მე ვიცი, რომ ძალით დამეგობრება არ შეიძლება, მეგობრობა ჩნდება თავისთავად, ჩვენი სურვილის გარეშე.

შენ შეიძლება შემეკითხო: „ბიჭები თუ ავიდნენ კირამეტის მთაზე, და თუ გააცოცხლეს დასაშრობად განწირული ტბა?“ მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ შეასრულეს თავიანთი ჩანაფიქრი. ასე რომ არ ყოფილიყო, არც ვიმეგობრებდი მათთან. არ მიყვარს უსაქმური, ყბედი და ზარმაცი მეოცნებენი. ასეთებზე ვერ დავხარჯავდი ამდენ ქალაღსა და მელანს.

მე ისეთი ადამიანები მომწონს, რომლებიც ჩაიფიქრებენ იმას, რისი ვაკეთებაც შეუძლიათ, და ვაკეთებენ იმას, რაც ჩაიფიქრეს. აი ეს მინდოდა მეოქვა. მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზოფელი არწივეთი	5
საუბარი კუკრეკის მთაზე	8
ვინ იქნება წინამძღოლი?	11
ვაზირის პირველი მარცხი	19
შინაური საქმეები	22
მესამე ბიჯგი	26
დიდება განა მამის ნაქონი ქუდია?	31
„სამაგალითოს“ გამოსწორება	33
„გორგალო, ბურთივით მრგვალო...“	37
როგორ იქცა „სამაგალითო“ ჩვეულებრივ იაკუბად	43
ტბაში თევზი თამაშობს	49
დილა იყო წვიმიანი	52
ნავს ცურვას ვასწავლი...	54
წვიმის შემდეგ	60
ვაზირის მეორე მარცხი	67
წამოეგე, თევზო, ანკესზე?!	70
ხართან შებმა	81
წერილი	85
პასუხი	90
გზა	94
მოულოდნელი სტუმრები	101
მკითხველებს	105

Каримов Мустафа Сафич
ТАГАН ОК
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1986

თ ა რ გ მ ე ე ს ზ. ს ა ნ ა დ ი რ ა კ ე მ დ ა კ. კ ო ნ ა ე რ ი კ ე მ

რედაქტორი მ. ახვლედიანი
მხატვარი თ. კარბელაშვილი
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნორედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი ლ. სულთანიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XII-65 წ.
ქალღმრთის ზომა 60×84¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 6,75
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,31
ტირაჟი 5000 შეკვ. № 3015
ფასი 19 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5
სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

